პალიტრა მედია

# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

8 ნოემბერი **ხუთშაბათი** 2012 **№265 (13 871)** ფასი 80 თეთრი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა




2

# დიდია ბრიტანეთი

UEFA CHAMPIONS LEAGUE

## ჩელსიმ შახტარი, მანჩესტერმა ბრაგა, სელტიკმა ბარსელონა...

## საქართველოს ნაკრებში ცვლილებაა: ვანაძე დვალი



5-6

## -15 ქართველთათვის ევროპა ცუდად დაიწყო




12



## პეიგმა ნაკრებს ზურგი გაუმაგრა

13

ქართული ფეხბურთი

ეროვნული ნაკრები



ჯაბა დვალი

# ჯაბა დვალი ნაკრებშია

## ხუთი იძულებითი შეცვლა

ჩვენი ეროვნული გუნდი 14 ნოემბერს თბილისში ეგვიპტის ნაკრებს რომ ისტუმრებს ამხანაგური მატჩისთვის, ადრეც გაუწყეთ. საქართველოს ნაკრების თავკაცმა **თემურ ქეცბაიამ** ამ შეხვედრისთვის გამოძახებულთა სიაც დაასახელა, თუმცა ისე მოხდა, რომ ამ სიიდან ხუთი ფეხბურთელი ამოვარდა და მათ ნაცვლად სხვა მოთამაშეების მოწვევა გახდა საჭირო.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვებგვერდის განმარტებით, ლვოვის "კარპატის" ხელმძღვანელობა უშუალოდ ესაუბრა ჩვენი ნაკრების მწვრთნელს, უკრაინის ჩემპიონატში ორი მნიშვნელოვანი მატჩი გველის და **ბუბა დაუშვილი** და **ლევან ყენია** ,იქნებ კლუბში დაგვიტოვოთო. მათი შემცვლელები **ირაკლი ძარია** ("დინამო") და **ზურაბ არზიანი** ("დილა") იქნებიან.

ფედერაციის ვებგვერდის ცნობით, **ლევან მჭედლიძე** ("ემპოლი") და **დავით დევდარიანი** ("ორჰუსი") ტრავმების გამო ვერ ჩამოვლენ თბილისში. მათ ნაცვლად ქეცბაიამ **ვლადიმერ დვალიშვილს** ("პოლონია") და **თორნიკე გორგიაშვილს** ("ზესტაფონი") უხმო. ეგვიპტესთან მატჩს გამოტოვებს "ორჰუსის" თავდამსხმელი **მათე ვაწაძე**, ფედერაცია ამის მიზეზად სავიზო პრობლემებს ასახელებს. ვაწაძის მაგივრად ნაკრებში დინამოელ **ჯაბა დვალს** დაუძახეს.

**დავით თავართქილაძე**

ფიფას რეიტინგი

# უცვლელად 65-ზე და მესამე პოსტსაბჭოეთში

ფინეთში მოპოვებულმა ქულამ და ბელარუსში განცდილმა მარცხმა საქართველოს ეროვნული ნაკრები არც წინ წასწია და არც უკან. ჩვენი ქვეყნის უმთავრესი საფეხბურთო გუნდი ფიფასა და "კოკა კოლას" მორიგ სანაკრებო რეიტინგში კვლავ 65-ე ადგილზეა. რეიტინგში აღზევების შანსი კი 14 ნოემბერს მოგვეცემა, როცა **თემურ ქეცბაიას** გუნდი ამხანაგურად ეგვიპტეს უმასპინძლებს.

გადავხედოთ, რა მდგომარეობაში არიან ის გუნდები, რომლებიც 2014 წლის მუნდიალის შესარჩევ ჯგუფში ჩვენი მეტოქეები არიან: რა გასაკვირია და მსოფლიოსა და ევროპის მოქმედი ჩემპიონი ესპანეთი ლიდერობას ინარჩუნებს, საფრანგეთმა კი 5-პუნქტიანი ვარდნა განიცადა და დღეისთვის მე-18 პოზიციაზეა; იმის მიუხედავად, რომ ბელარუსი 13 ადგილით დაწინაურდა და რეიტინგში 74-ეა, მას კვლავაც ვუსწრებთ; სამი საფეხურით დაქვეითდა ფინეთი, რომელიც დღეისთვის 91-ე ადგილზეა.

გადავხედოთ პოსტსაბჭოეთის ქვეყნებს, რომელთაგანაც რეიტინგში ჩვენზე უკეთესი პოზიცია მხოლოდ ორ მათგანს უკავიათ - რუსეთს (მე-9) და უკრაინას (55-ე). ცნობისთვის, მეოთხეა უზბეკეთი (69-ე), მეხუთე – ბელარუსი (74), მეექვსე – სომხეთი (82-ე), მეშვიდე – ესტონეთი (84-ე) და ა.შ.

რაც შეეხება რეიტინგის საუკეთესო ათეულს, პირველმა ორმა გუნდმა პოზიციები შეინარჩუნა, არგენტინამ და პორტუგალიამ მესამე-მეოთხე ადგილები გაცვალეს, სამ-სამი საფეხურით კი იტალია და რუსეთი დაწინაურდნენ.

1. ესპანეთი
2. გერმანია
3. არგენტინა
4. პორტუგალია
5. იტალია
6. ინგლისი
7. ჰოლანდია
8. კოლუმბია
9. რუსეთი
10. ხორვატია
18. საფრანგეთი
65. საქართველო
74. ბელარუსი
91. ფინეთი

**ლევან ჯანეზაშვილი**

# დროც არის, გუნდმა ფეხბურთი ითამაშოს...

ბოლო კვირაა, ქართველი ლეგიონერების თავს დამაიმედებელი ამბები ხდება: **გურამ კაშიას, გიორგი ჭანტურიასა** და **ვაკო ყაზაიშვილის** "ვიტესმა" "ამსტერდამ არენაზე" "აიაქსი" 2:0 დაამარცხა. თუმცა ქართველთაგან მხოლოდ არნემელთა კაპიტანმა **გურამ კაშიამ** ითამაშა.

პოლონური „იაგელონიას" შემტევმა ნახევარმცველმა **ნიკა ძალამიძემ** თავის ყოფილ კლუბს „ვიძევს" ორი გოლი გაუტანა.

ბოლო დროს, **ჯანო ანანიძეს** მოსკოვის „სპარტაკის" ესპანელი მთავარი მწვრთნელი **უნაი ემერი** მეტად ენდობა და ისიც იმედებს ამართლებს: ჩემპიონთა ლიგაში ლისაბონის "ბენფიკასთან" მშვენივრად ითამაშა, რუსეთის პრემიერლიგის ბოლო, მე-14 ტურის მატჩში კი სტუმრად „კრილია სოვეტოვთან" მოედანზე მეორე ტაიმში შესულმა ულამაზესი გოლი შეუგდო ბელარუსის ნაკრების მეკარე **სერგეი ვერემკოს**.

პოპულარულმა რუსულმა ინტერნეტ-გვერდმა „ჩემპიონატ.კომ"-მა ჯანოს გოლი ტურის საუკეთესოებში მეორეზე დაასახელა – პირველზე კი "კრასნოდარის" სენეგალელი ლეგიონერის, **მუსა კონატეს** მიერ მოსკოვის "დინამოს" კარში გატანილი გასაოცარი გოლი გავიდა.

მე-14 ტურის საუკეთესო ფეხბურთელის გამოკითხვაში, რომელიც ასევე „ჩემპიონატ.კომ"-მა ჩაატარა, ქართველმა პირველობა არავის დაუთმო.

ჯანოს "წყალი გადაესხა" **ლევან ყენიასაც**, რომელმაც ზედიზედ მეორე შეხვედრაში გამოიჩინა თავი: უკრაინის თასის 1/8-ფინალში ლვოვის "კარპატმა" ხარკოვის "მეტალისტთან" დამატებით დროში სწორედ ქართველი პლეიმეიკერის გოლით გაიმარჯვა (2:1). პრემიერლიგის მე-14 ტურში ლევანმა კრივოი როგის "კრივბასს" პირველი გოლი გაუტანა, მე-40 წუთზე **სემირ შტილიჩს** საგოლედ უპასა და მეტოქის განადგურებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა (6:0). ქართველს გარჯა უკრაინულმა გამოცემა football.ua-m დაუფასა და ტურის სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანა.

*"ზედიზედ მეორე შეხვედრაა, გამაქვს და ეს ძალიან მახარებს. ჯერ ოპტიმალური ფორმა არ აღმიდგენია, მაგრამ მიმაჩნია, რომ 70 პროცენტით მზად ვარ და უკეთ თამაშიც შემიძლია. ჩემპიონატში შემდეგი შეხვედრა ხარკოვის "მეტალისტთან" გვაქვს და მოდუნება არ შეიძლება. მასაც აქტიურად უნდა შევეწინააღმდეგოთ. რა განსხვავებაა გერმანიისა და უკრაინის ჩემპიონატებს შორის? ბუნდესლიგაში ოდნავ უფრო სწრაფად თამაშობენ. მაგრამ თამაში აქაც ძნელი და საინტერესოა, უკრაინელი გულშემატკივარიც ემოციურია და კარგად გვამხნევებს"*- თქვა ყენიამ.


ლევან ყენია

ახლა მთავარზე: სასიხარულოა, ეს ორი ნიჭიერი შემტევი ნახევარმცველი, ჯანო ანანიძე და ლევან ყენია ტურიდან ტურამდე უკეთ გამოიყურებიან, კარგი თამაშით გამოირჩევიან და თავინთ გუნდებში საკვანძო ფიგურები ხდებიან. მუდმივი სათამაშო პრაქტიკა აქვთ **სანდრო კობახიძეს, თორნიკე ოქრიაშვილს, დავით თარგამაძეს,** ნიკა ძალამიძეს. თითოეული მათგანი შემოქმედებითი სტილის ფეხბურთელია, შეუძლიათ თამაშის საკუთარ თავზე აღება და გაშწავება. ანუ, ნახევარდაცვაში შემტევების ნაკლებობა არ არის. ამავე დროს, არიან ჩამშლელებიც, **ჯაბა კანკავა, მურთაზ დაუშვილი**. ანუ, მეტნაკლებად მაინც არის საშუალება, რომ გუნდის თამაში, შეტევა და დაცვა დაბალანსდეს.

უპირველესად, ეს საქართველოს ნაკრების გულშემატკივრებს გვახარებს. გუნდის მწვრთნელი ტაქტიკას მოთამაშეების მიხედვით არჩევს და არა წინასწარ აკვიატებული იდეებით. ჯერ ჩვენს ეროვნულ გუნდს **მესი** და **მარადონა** არ ჰყავს, მაგრამ ზემოთ ჩამოთვლილ მოთამაშეებს ნაკრების ტაქტიკის გარდაქმნა და უფრო შემტევი ფეხბურთის ჩვენება შეუძლიათ. დროც არის, გუნდი ჭიდაობიდან ფეხბურთის თამაშზე გადაეწყოს.

**მერაბ მამულაშვილი**

U17. შეჯამება

# ჩვენი გუნდი ელიტრაუნდის წინ: სტატისტიკა და წილისყრის მოლოდინი

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა მარცხით დაწყებული საკვალიფიკაციო ეტაპი წარმატებით დაასრულა და ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ელიტრაუნდის საგზური მოიპოვა. შეგახსენებთ, **გიორგი დევდარიანის** გუნდი ჯერ უკრაინასთან 1:3 დამარცხდა (ერთადერთი ქართული გოლი **გიორგი თევზაძის** ანგარიშზეა), შემდეგ ლუქსემბურგს 3:1 სძლია (გოლები: **ლუკა ზარანდია, ცოტნე მესხი, ილია კერძევაძე**), გადამწყვეტ მატჩში კი შოტლანდია ზარანდიას დუბლითა და **თენგიზ გოროზიას** გოლით 3:0 გაანადგურა.



გიორგი დევდარიანი

**გადავხედოთ ჩვენი ნაკრების მონაცემს**

| № | თ | ძ | გ | გფ |
|---|---|---|---|---|
| 1. ოთო გოშაძე (მეკ.) | 3 | 3 | - | - |
| 2. ნიკა ველიაშვილი | - | - | - | - |
| 3. ზურაბ მალანია | 3 | 3 | - | 1 |
| 4. გაგი მარგველაშვილი | 3 | 3 | - | - |
| 5. ჯემალ ტაბიძე | 3 | 3 | - | - |
| 6. გიორგი თევზაძე | 3 | 3 | 1 | 1 |
| 7. ლუკა ზარანდია | 3 | 3 | 3 | - |
| 8. თენგიზ გოროზია | 2 | 1 | 1 | 1 |
| 9. რომან ჭანტურია | 1 | - | - | - |
| 10. ცოტნე მესხი | 3 | 1 | 1 | - |
| 11. ილია კერძევაძე | 3 | 3 | 1 | 1 |
| 12. ბექა ქურდაძე (მეკ.) | - | - | - | - |
| 13. გრიგოლ ჩაბრაძე | 1 | - | - | - |
| 14. გიორგი ხარაიშვილი | 3 | 3 | - | - |
| 15. ზურაბ გელაშვილი | 3 | 3 | - | 2 |
| 16. ნიკა ლაშხია | 1 | 1 | - | - |
| 17. აკაკი შულაია | 3 | 3 | - | 1 |
| 18. ომარ პატარკაციშვილი | 1 | - | - | - |

*შენიშვნა: თ-თამაში; ძ-ძირითადში; გ-გოლი; გფ-გაფრთხილება*

უეფას ოფიციალურ ვებგვერდზე 17-წლამდელთა საკვალიფიკაციო ტურნირის სრული სტატისტიკაა გამოქვეყნებული და რამდენიმე საინტერესო მონაცემს გაგაცნობთ:

- შესარჩევი ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი 8 გოლით გერმანელი **ტიმო ვერნერია**, ქართველთაგან კი 3 გოლით **ლუკა ზარანდია** ლიდერობს;

- ყველაზე მეტი, 4-4 საგოლე პასია გერმანელი **მორის მულტჰაუპისა** და ხორვატი **ფრან ბროდიჩის** ანგარიშზე. ქართველებმა, **გრიგოლ ჩაბრაძემ** და **აკაკი შულაიამ** თითო საგოლე გადაცემა შეასრულეს;

- მეტოქის კარის ჩარჩოში ჩვენი გუნდიდან ყველაზე მეტჯერ, 5-ჯერ, ზარანდიამ დაარტყა და 3-ჯერ გაიტანა;

- საქართველოს ნაკრების შემადგენლობიდან არავინ გაუძევებიათ, სხვებზე მეტი, ორი ყვითელი ბარათი კი **ზურაბ გელაშვილმა** მიიღო, რაც ელიტრაუნდის პირველი მატჩის გამოტოვებად დაუჯდება;

- ქართველთაგან ყველაზე მეტჯერ, 6-ჯერ, თამაშის წესები დაარღვიეს აკაკი შულაიამ, **ზურაბ მალანიამ** და გიორგი თევზაძემ;

- ჩვენი ნაკრებიდან შულაიას მეტოქეები ყველაზე მეტჯერ, 8-ჯერ ეუხეშნენ;

- ყველაზე მეტი, 23 გოლი გერმანიის ნაკრებმა გაიტანა, ყველაზე მეტი, 15 კი ლიხტენშტაინმა მიიღო;

- მეტოქის კარის ჩარჩოში გერმანელებმა ყველაზე მეტჯერ, 41-ჯერ დაარტყეს. ქართველებმა – 20-ჯერ;

- გერმანელები კუთხურებშიც ლიდერობენ, მათ ეს სტანდარტული სიტუაცია 29-ჯერ შეასრულეს, ქართველებმა – 19-ჯერ;

- ყველაზე უხეში გუნდი 57 ჯარიმით კვიპროსია, საქართველოს ნაკრები 41-ჯერ დაჯარიმდა;

- ყველაზე მეტჯერ, 53-53-ჯერ ეუხეშნენ მაკედონიელებსა და იტალიელებს, ქართველთა წინააღმდეგ თამაშის წესები 38-ჯერ დაირღვა;

- ყველაზე მეტი, 12 გაფრთხილება კვიპროსელებმა მიიღეს, ქართველებმა – 7;

ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატის ფინალური ეტაპი მომავალი წლის მაისში სლოვაკეთში გაიმართება, ელიტრაუნდი კი გაზაფხულზეა. უკვე ცნობილია ელიტრაუნდში გასული ყველა გუნდი, გარდა ერთისა, თუმცა ბოლო საგზურს, დიდი ალბათობით, თბილისურ ჯგუფში მესამე ადგილზე გასული შოტლანდია მიიღებს. ასე რომ, სიაში მასაც შევიყვანთ. აღსანიშნავია, რომ ელიტრაუნდში ესპანეთმაც საუკეთესო მესამეადგილოსნის სტატუსით გააღწია.

მაშ ასე, ელიტრაუნდში ითამაშებენ: **სერბეთი, ბელარუსი, გერმანია, ფინეთი, ჰოლანდია, ბელგია, პოლონეთი, ბულგარეთი, ესპანეთი, სლოვენია, საფრანგეთი, შვეიცარია, ავსტრია, ინგლისი, ჩრდილოეთ ირლანდია, უნგრეთი, იტალია, ნორვეგია, პორტუგალია, ირლანდია, შვედეთი, ჩეხეთი, რუსეთი, ხორვატია, ისრაელი, უკრაინა, საქართველო, შოტლანდია.**

ელიტრაუნდის წილისყრა 5 დეკემბერს გაიმართება, მანამდე კი კალათების შემადგენლობაც დამტკიცდება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

● თვალსაზრისი

# სასიცოცხლო მნიშვნელობის შეღავათი

რა ბედი ელით ეგრეთ წოდებულ საბიუჯეტო კლუბებს? აქტუალური კითხვაა, ოღონდაც ყველაზე აქტუალური არის თუ არა ქართული საკლუბო ფეხბურთისთვის, ძალიან დასაფიქრებელია.

თუ გამგეობები, ადგილობრივი მუნიციპალიტეტები და სხვადასხვა სამინისტროები გააგრძელებენ კლუბების დაფინანსებას, ეს წინგადადგმული ნაბიჯი ვერ იქნება. ევროპულ ქვეყნებში არის იმის მაგალითები, როცა მერია კლუბის თანამფლობელია რაღაც ფორმით, მაგრამ კლუბი მთლიანად რომ მერიას ან პრეფექტურას ეკუთვნოდეს, ალბათ ძალიან იშვიათი შემთხვევაა (თუ ასეთი საერთოდ არსებობს).

ანუ, რა უნდა მოხდეს: საბიუჯეტო კლუბები თანდათან უნდა გადაეცეს კერძო მფლობელებს, ან ისევ ანაქრონიზმისკენ წავიდეთ.

ცხადია, პირველი გზა უკეთესია. თუ ამაზე ვთანხმდებით, ახლა ისიც ვიკითხოთ, როგორ უნდა გადაეცეს საბიუჯეტო კლუბები კერძო მფლობელებს.

საქართველოში ფეხბურთი ჯერ არ არის ბიზნესი და შესაბამისად, ბიზნესმენისთვის ვერ იქნება მომხიბვლელი საფეხბურთო კლუბის ყოლა.

სიტუაცია კი მოითხოვს, რომ ფეხბურთი საქართველოში საინტერესო იყოს ბიზნესმენისთვის.

პოლიტიკური ცვლილებები ალბათ იმისთვის არ მომხდარა, რომ ხელისუფლებამ რომელიმე ბიზნესმენს დაავალოს ამა თუ იმ კლუბის შენახვა. უკვე სხვა მიმართულებაა საჭირო, მაგრამ ეს მიმართულება ჯერ მკაფიოდ არ ჩანს.

ველოსიპედს თუ არ გამოვიგონებთ, საკითხი ასე უნდა მოგვარდეს: შეიქმნას ისეთი საკანონმდებლო ბაზა, რითაც საფეხბურთო კლუბი მიმზიდველი გახდება ბიზნესმენისთვის ან რომელიმე ბიზნეს ჯგუფისთვის.

საკანონმდებლო ბაზა კი ძირითადად საგადასახადო შეღავათებს უნდა გულისხმობდეს. რამდენად შესაძლებელია ამ ყველაფრის საქართველოში განხორციელება, ეს უკვე ახალი ხელისუფლების ამოცანაა. თუ მანამდე ბევრი კლუბი ფინანსდებოდა ბიუჯეტიდან, ეს იმას



ნიშნავს, რომ ქვეყანაში არის იმდენი დოვლათი, რომ ფული ფეხბურთზეც დაიხარჯოს. ეს დოვლათი კი ახლა ისე უნდა გადანაწილდეს, რომ ფული კერძო სტრუქტურიდან მივიდეს კლუბში. ეს დაახლოებით იგივეა, რაც პირველი კლასის მათემატიკა: შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი არ იცვლება.

მოკლედ, ამ ხელისუფლებას შეუძლებელის გაკეთება არ მოუწევს, თუმცა ამით იმის თქმას როდი ვაპირებ, რომ ეს ადვილად გასაკეთებელია.

საქართველოში არის რამდენიმე ბიზნესმენი, რომელსაც ფეხბურთი ძალიან უყვარს და ამ საქმისთვის ბევრი გაუკეთებია.

"ვიტ ჯორჯიას" პრეზიდენტი **გურამ რუხაძე** ამ საქმეს 1998 წლიდან აკეთებს. ის საკუთარი ჯიბიდან დებს ფულს ფეხბურთში. მას არანაირი შეღავათი არ მიუღია სახელმწიფოსგან. მე მიმუშავია ამ კლუბში და კარგად ვიცი, თუ რა სირთულეებთან არის დაკავშირებული საქართველოში საფეხბურთო გუნდის შენახვა. 14 წლის განმავლობაში რომ ახორციელებ სოციალურ პროექტს და სახელმწიფო შენზე არ ზრუნავს, არ უნდა იყოს მოსაწონი ამბავი.

ფეხბურთზეა შეყვარებული "ზესტაფონის" პრეზიდენტი **ილია კოკაია**ც. შეცდომებისგან დაზღვეული არავინაა, მაგრამ ფაქტია, რომ ამ კაცის ხელშეწყობით ზესტაფონში მძლავრი საფეხბურთო კერა შეიქმნა.

კარგი საქმე კეთდება ქუთაისშიც. "ტორპედო" რაც "ვისოლის" და პრეზიდენტ **ლევან ფხაკაძის** ხელში მოხვდა, კლუბის პროგრესი სახეზეა.

დავა დაიწყო "დინამოზე", მაგრამ კლუბის ახლანდელი მფლობელის, **რომან ფიფიას** თაოსნობით რომ მნიშვნელოვანი პროექტები განხორციელდა, დღესავით ნათელია.

რუსთავის "მეტალურგს" ამ ქალაქის მეტალურგიული ქარხანა ინახავს და ქარხნის დამფუძნებლებმა სახელმწიფოსგან მხარდაჭერა თუ ვერ იგრძნეს, უსასრულოდ ალბათ ველარ დახარჯავენ ფულს ფეხბურთში.

მარტვილის "მერანსაც" ბიზნესმენი ინახავს, **ფრიდონ ინჯია** და მასაც სჭირდება თავისებური სტიმული.

სახელმწიფო თუ ასეთ ხალხს დაეხმარება საგადასახადო შეღავალებით, ეს მაგალითი იქნება იმ ბიზნესმენებისთვის, რომლებიც ჯერ არ იყურებიან ფეხბურთისკენ, მაგრამ ხვალ შესაძლოა ის ეგრეთ წოდებული საბიუჯეტო კლუბები გადაიბარონ.

დღეს საფეხბურთო მოედანი რომ ირწყვება, კლუბის მფლობელს ამაზეც კი არ აქვს შეღავათი სახელმწიფოსგან. ამ საკითხის შესწავლა და ეფექტური ზომების განხორციელება პრიორიტეტი თუ არ იქნება ახალი მთავრობისთვის, ისევ ერთ ადგილზე მოგვიწევს ყურყუტი. თურქეთი, ავსტრია, აზერბაიჯანი... ეს ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული ქვეყნების პატარა ჩამონათვალია, სადაც ხელისუფლებამ მოახერხა და ფეხბურთში ფულის მიმტან ხალხს შეღავათები დაუწესა. ანუ ეს არის იმის მაგალითი, რომ მთავრობის კეთილი ნების და გეგმაზომიერი მუშაობის შედეგად საფეხბურთო შეღავათების დაწესება-ამუშავება სავსებით რეალურია.

**დავით თავართქილაძე**

● მინისტრის პოზიცია

## ლევან ყიფიანი:

# უკიდურესობაში არ უნდა გადავვარდეთ



ლევან ყიფიანი

რა ბედი ელით სახელმწიფო სტრუქტურების (მუნიციპალიტეტებისა და სამინისტროების) მიერ დაფინანსებულ სპორტულ კლუბებს? ამის შესახებ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა **ლევან ყიფიანმა** მორიგი განცხადება გააკეთა და საზოგადოებაში არსებული გაურკვევლობის გაფანტვა სცადა.

*"სწრაფი გადაწყვეტილების მიღებას არ ვაპირებთ. შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროსთან საკონსულტაციო ჯგუფი შეიქმნება, რომელიც საკითხს შეისწავლის. მესმის, რომ ასეთი გუნდების არსებობა ჩემპიონატს არაკონკურენტუნარიანს ხდის და სხვა გუნდების განვითარებას პრობლემას უქმნის. მაგრამ ლაპარაკია ნამყვან კლუბების მომავალზე და ერთი უკიდურესობიდან მეორეში არ უნდა გადავვარდეთ. ამიტომ, ასაწონ-დასაწონი ბევრი გვაქვს. სწორედ ეს არის განხილვის თემა და არა ის, რომ გუნდები შუა გზაზე დავშალოთ, დაფინანსება შევუწყვიტოთ და ჩემპიონატები ვაზარალოთ.*

*თავისთავად ცხადია, უწყებრივი ჩემპიონატები არასწორია და მსოფლიო პრაქტიკა ამაზე მიუთითებს. მაგრამ ჩვენთვის ეს ასპექტია მთავარი - საკუთრების ფორმა ისე უნდა შეიცვალოს, რომ არც სპორტი ვაზარალოთ და არც კლუბები. რეალობა სწორად უნდა აღვიქვათ და აქედან გამომდინარე ვიმოქმედოთ. ეს გზებია მოსანახია და ის ფაქტიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამჟამად ქართული სპორტი გარდამავალ ეტაპზეა.*

*სხვათა შორის, საინტერესოა, კლუბის შერეული ტიპის საკუთრების ფორმა. ასეთი მოდელი აპრობირებულია გერმანიაში: სახელმწიფო ინფრასტრუქტურას აშენებს და შემდეგ მმართველობაში კლუბს გადასცემს. მაგრამ ამ ყველაფერს სპორტის კანონი უნდა არეგულირებდეს, რომელიც საქართველოში უნდა შეიცვალოს - დღეს მოქმედი კანონი ხომ 1996 წელს დაიწერა, მას შემდეგ კი უამრავი რამ შეიცვალა. გარემოს კი სწორედ კანონმდებლობა ცვლის"* – ამბობს ყიფიანი.

**მერაბ მამულაშვილი**

კულტურათა გადაკვეთის საპროექტო ასოციაციის ღია საფეხბურთო სახალისო სკოლა ღრმა სამძიმარს უცხადებს ამავე სკოლის თანამშრომელს ბადრი მაჭავარიანს დედის **გულიკო ხოშტარიას** გარდაცვალების გამო.

გამოსვენება 8. XI, 14 საათზე. მისამართი: რუსთავი, დონეცკელ მეტალურგთა I გასასვლელი, კორპ. 3.

მერაბ ჟორდანია მწუხარებას გამოთქვამს ვეტერანი ფეხბურთელის

**ენუქი თევზაძის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

● ტურის მწვრთნელი

## დუშან უჰრინი:

# ჩვენთვის ქუთაისური შედეგი მისაღებია

**თბილისის "დინამომ" ქუთაისში "ქართული კლასიკო" ფრედ, 2:2 დასრულა, რაც დედაქალაქელებისთვის პოზიტიურ შედეგად შეგვიძლია მივიჩნიოთ. "დინამო" კვლავ ერთპიროვნულად ლიდერობს საქართველოს ჩემპიონატს, მისი ჩეხი თავკაცი დუშან უჰრინი კი "ლელოს" ტურის სიმბოლურ ნაკრებში ზედიზედ მეოთხედ მოხვდა.**

**"დინამოს" პრესსამსახურის დახმარებით დუშან უჰრინს გუშინ მცირე ინტერვიუ ჩამოვართვით.**

**- როგორია ქუთაისური მატჩის თქვენეული შეფასება?**

- ძალიან სანახაობრივი შეხვედრა გამოვიდა. მოედანზე ღირსეული მეტოქეების დაპირისპირება შედგა, რომელშიც, ვფიქრობ, უკეთ ვითამაშეთ და მეტოქეზე ბევრი საგოლე მომენტი შევქმენით. ორივე გუნდი მოსაგებად იბრძოდა. გამარჯვების გოლის გატანა ბოლო წუთზეც შეგვეძლო. თუმცა თამაშის მიმდინარეობისას ორჯერ ვაგებდით და აქედან გამომდინარე, ჩვენთვის შედეგი მისაღებია.

**- უხეში შეცდომა დაუშვა ახლად გამოჯანმრთელებულმა გიორგი ლორიამ, რაც "დინამოს" გოლად დაუჯდა...**

- მართალია, ლორია შეცდა, მაგრამ ეს თამაშია და ამისგან არავინ არის დაზღვეული. ვიმედოვნებ, მსგავსი შეცდომები აღარ განმეორდება. შეცდომით დიდი მეკარეებიც ცდებოდნენ და ცდებიან. დარწმუნებული ვარ, ტრავმის შემდეგ გიორგი მალე აღიდგენს ფორმას. მე მას სრულად ვენდობი.

**- ტურის სიმბოლური ნაკრების მწვრთნელობას თუ აქცევთ რაიმე ყურადღებას?**

- ცხადია, სასიამოვნოა, როდესაც გამოგარჩევენ. ისე კი, გუნდი თამაშობს და არა — მწვრთნელი. "დინამოს" ნებისმიერი წარმატება ეკუთვნის ყველას, ვინც აქ მუშაობს.

**-მოახლოებულ მატჩებზე გვითხარით?**

- გვინდა, ყველა თამაში მოვიგოთ. ჩვენ პირველები უნდა ვიყოთ. ბათუმის "დინამოსა" და ფოთის "კოლხეთის" ბარიერები აუცილებლად უნდა გადავლახოთ, ყველაზე რთული და დიდი თამაში კი გორის "დილასთან" გველის. მასპინძლები ვართ და ნებისმიერ შემთხვევაში გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ.

**ლევან ჯანეზაშვილი**



დუშან უჰრინი

ფოტო: www.fcdinamo.ge

### I ლიგა, XII ტური

**B ჯგუფი**

| | |
|---|---|
| სამტრედია – ჩხერიმელა | 2:0 |
| შუქურა – სამგურალი | 3:2 |
| სპარტაკი – ლიახვი | 2:0 |
| ლოკომოტივი – ზოოვეტი | 0:1 |
| კოლხეთი (ხ) – ადელი | 4:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სპარტაკი | 11 | 9 | 1 | 1 | 29-4 | 28 |
| 2. კოლხეთი | 11 | 8 | 1 | 2 | 18-11 | 25 |
| 3. შუქურა | 11 | 7 | 1 | 3 | 20-10 | 22 |
| 4. ლოკომოტივი | 11 | 6 | 2 | 3 | 28-10 | 20 |
| 5. სამტრედია | 11 | 6 | 2 | 3 | 13-7 | 20 |
| 6. სამგურალი | 11 | 4 | 3 | 4 | 18-20 | 15 |
| 7. მერცხალი | 10 | 3 | 3 | 4 | 16-13 | 12 |
| 8. ზოოვეტი | 11 | 3 | 3 | 5 | 13-17 | 12 |
| 9. ლიახვი | 11 | 2 | 2 | 7 | 8-26 | 8 |
| 10. ჩხერიმელა | 11 | 2 | 0 | 9 | 9-34 | 6 |
| 11. ადელი | 11 | 1 | 0 | 10 | 12-32 | 3 |

*შენიშვნა: სოხუმის „აეტი" მოიხსნა გათამაშებიდან და ამ გუნდის ყველა შედეგი გაუქმებულია*

სტაჟირების შემდეგ

# გია ჭიაბრიშვილი: ჩვენს ფეხბურთს საფუძველი სჭირდება

**საფეხბურთო კლუბი "საბურთალო" და "ვიტესის" პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია პარტნიორები არიან. ამის შედეგად ოქტომბერში, ჰოლანდიაში სტაჟირებაზე ჩვენთვის კარგად ნაცნობი სახეები, გორის "დილასა" და "ზესტაფონის" ყოფილი მთავარი მწვრთნელები, თემურ შალამბერიძე და გია ჭიაბრიშვილი გაემგზავრნენ.**

**ისინი ჰოლანდიაში 10-დღიან სტაჟირებაზე იმყოფებოდნენ, დაესწრნენ "ვიტესისა" და კლუბის საფეხბურთო სკოლის ვარჯიშებს, ნახეს საკლუბო სტრუქტურა, ფეხბურთელთა მომზადებისა და გაზრდის მეთოდიკა. არნემელებს ჰოლანდიას ერთ-ერთი საუკეთესო სამწვრთნელო სკოლა აქვს.**

**ვფიქრობთ, გია ჭიაბრიშვილის თვალით დანახული ჰოლანდიიური ფეხბურთი საინტერესო იქნება.**

- "საბურთალოს" ხელმძღვანელებისთვის კვალიფიციური მწვრთნელების აღზრდა ბევრს ნიშნავს. მე სწორედ ამ სკოლაში დავიწყე მუშაობა, თემურ შალამბერიძე კი დღესაც სკოლის მთავარი მწვრთნელია.

"ვიტესი" სერიოზული კლუბია და შესაბამისი აკადემიაც აქვს. მერაბ ჟორდანიამ და კლუბის მდივანმა ნუკა რატიანმა ყურადღება არ მოგვაკლეს და ყველაფერი გააკეთეს, რომ ეს დღეები მაქსიმალურად აგვეთვისებინა. გვქონდა საშუალება გავსაუბრებოდით მთავარი, ახალგაზრდული და საფეხბურთო სკოლის მწვრთნელებს.

ძალიან მაღალ დონეზეა მომზადების დაგეგმვა, დამკვიდრებულია ერთი მიმართულება, "ვიტესის" აღზრდილებს ძლიერი ევროპული კლუბები ყიდულობენ. მაგალითად, წლეულს "მანჩესტერმა" ალექსანდრ ბუტნერი გადაიყვანა. ამიტომაც საინტერესოა, ფეხბურთელების მიწვევის დროს რა კრიტერიუმებით სარგებლობდნენ. ისინი ყველა წვრილმანს ითვალისწინებენ, შეცდომა მინიმუმამდე რომ დაიყვანონ და ფეხბურთელიდან მაქსიმუმი მიიღონ.

"ვიტესს" ძალიან მაღალი დონის ინფრასტრუქტურა აქვს, რაც მოთამაშეთა გაზრდის ერთ-ერთი უმთავრესი წინაპირობაა. არანაკლებ მნიშვნელოვანია მაღალი დონის სპეციალისტების აღზრდა, რასაც ჰოლანდიელები ყოველთვის ახერხებდნენ – მათ მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო სკოლა აქვთ.

**- საქართველო წამყვან ქვეყნებს ისედაც ყველანაირად ჩამორჩებოდა, მაგრამ ინფორმაციულმა ვაკუუმმა და კავშირების არქონამ ეს ზღვარი უფრო თვალსაჩინო გახადა.**

- ჩვენთან მწვრთნელებისთვის სხვადასხვა სახის კურსები ტარდება. ეს აუცილებელია და კარგი საქმეა. მაგრამ კურსების დასრულების შემდეგ მწვრთნელი მუდამ თვითრეალიზაციასა და ზრდაზე უნდა მუშაობდეს. სამწუხაროდ, ამის საშუალება არ გვაქვს. კავშირების არქონა მართლაც უდიდეს გავლენას ახდენს. ვაკუუმში ძნელია განვითარება. იმდენი სიახლეა, თვალი უნდა მიადევნო. არადა, ჩვენ ამის საშუალება არ გვაქვს და სანამ საკუთარ წვენში ვიხარშებით, მანამდე ძნელია იმის გაგება, რა არის თანამედროვე ფეხბურთი და მას რა სჭირდება. "ზესტაფონის" მაგალითზე ვიტყვი: საქართველოს ჩემპიონატზე კარგად კი ვთამაშობდით, მაგრამ ნაკლოვანებებს უცხოური შეკრებებისა და თამაშების დროს ვხედავდით.

ევროპასთან არასათანადო კავშირი დიდი პრობლემაა. არადა, კომუნიკაცია ინფორმაციის გადამუშავების, შენს გარემოსთან ადაპტირებისა და შენებურად "გადახარშვის" საშუალებას გაძლევს.



გიორგი ჭიაბრიშვილი

ვერ ვიტყვი, რომ ჰოლანდიაში ყველაფერი პირველად ვნახეთ. მაგრამ იმდენი საინტერესო ნიუანსი აღმოვაჩინეთ, რომელიც აუცილებლად გამოგვადგება. ფეხბურთში ნიუანსების წვდომა და შენს სასარგებლოდ გამოყენება ძალიან მნიშვნელოვანია.

**- "ვიტესის" აკადემიის მუშაობაზე რას გვეტყვით?**

- უპირველესად, დიდხანს არჩევენ მწვრთნელებს, რადგან დარწმუნებულები უნდა იყვნენ მათ შესაძლებლობებში, ვისაც მომავალი თაობის გაზრდას ანდობენ.

საერთოდ, კლუბს თუ დიდი მიზნები აქვს, ასეთი საფუძველი უნდა ჩაყაროს და მხოლოდ მერე თუ გაზრდის მოთამაშეებს, რომლებიც თავადაც გამოადგებათ და ასაკობრივ და ეროვნულ ნაკრებებსაც. "ვიტესის" მწვრთნელმა გვითხრა კიდეც, კლუბს ეს ძირი რომ არ ჰქონდეს, ვერაფერს გავაკეთებდიო.

ჩვენ ერთმანეთს ბევრი რამით ვგავართ. კარგად იციან, რომ რესურსით ესპანეთს, იტალიას, გერმანიისა და საფრანგეთს ვერ შეეჯიბრებიან და მიმწოდებელი ქვეყანა უნდა იყოს. ამიტომაც მათი ფილოსოფია არის, გაზარდონ მომავალი თაობები და შემდეგ გაყიდონ. ეს თვითდაფინანსების საშუალებაცაა.

**- ეს პრიორიტეტი ჩვენთან ჯერ გააზრებული არ არის. თუმცა, ჰოლანდიის ფინანსური რესურსი არ გაგვაჩნია.**

- ჩვენ უნდა ვიცოდეთ, ქვეყანას რა რესურსი გააჩნია. ეს აუცილებელიც არის, ილუზიებით ცხოვრება დამღუპველია. სხვაგვარად ვერც საკლუბო სისტემას ავაწყობთ და ვერც ნაკრებებს მოვამარაგებთ. ამას ყველა ამბობს, მაგრამ პრობლემა ის არის, რომ სათანადო კლასის მოთამაშეებს ვერ ვზრდით. ამიტომ აბრკოლებენ კლუბები გუნდის ლიდერებს და არ უშვებენ, რადგან მათი შემცვლელი საკლუბო სტრუქტურაში არ იზრდება. არადა, ყველა ცდილობს, ფეხბურთელი ფორმის პიკში გაყიდოს და კლუბის ბიუჯეტი შეივსოს. ძირი რომ გექნება, მერე ლიდერს აღარ დააბრკოლებ და უკეთეს ლიგაში გაუშვებ.

მეორე უკიდურესობა ის არის, ჩვენ ნიჭიერ ფეხბურთელებს ვერ ვზრდით და უცხოეთში ისეთ ასაკში ვყიდით, როდესაც მათ ფასი არ აქვთ. ტალანტებს რომ ვერ ვინარჩუნებთ, საქართველოს ჩემპიონატიც უფასურდება.

**- ფეხბურთში მრავალი პრობლემა დაგროვდა. ამავე დროს, შეიცვალა პოლიტიკური ვითარება და ისმის მოწოდება, გაიმართოს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები. თქვენ რას ფიქრობთ?**

- არჩევითმა პირმა თანამდებობაზე ვადა სრულად უნდა ჩაამთავროს, რაც უნდა ცუდი არჩევანი გვქონდეს. მაგრამ თუ მიიჩნევენ, რომ წინა არჩევნებში გარეშე ძალა იყო ჩარეული, მაშინ რიგგარეშე ყრილობის მოთხოვნა შესაძლებელია.

**- "ზესტაფონიდან" წამოსვლის შემდეგ რაიმე შეთავაზება ხომ არ მიგიღიათ?**

- ჯერჯერობით, არანაირი. მაგრამ კლუბში მუშაობიდან და მიღწეული შედეგიდან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ უმაღლესი ლიგის რომელიმე კლუბს ჩავიბარებ.

მერაბ მამულაშვილი

სიონი




ეროვნული ბიბლიოთეკა

# არმაზ ჯელაძე: შევცვალეთ სისტემა და შევიკარით

**ბოლნისი ისეთი პერიფერიაა, სადაც განსაკუთრებულად უყვართ ფეხბურთი. იყო დრო, ბოლნისიდან ქულის წამოღება ყველა გუნდს უჭირდა. ბოლნისის "სიონს" თავისი ნიშა ეკავა. ბოლო დროს კი საქმეები დაღმა წაუვიდა "სიონს". მიმდინარე სეზონში გუნდი მოწინავეთა შორის არ არის და ცხადია, ზედა ექვსეულში მოხვედრაზე უფრო სხვა რამეზე ფიქრობს.**

**ეროვნული ჩემპიონატის ბოლო ორ ტურში "სიონმა" ქულათა მაქსიმუმი აიღო, თანაც ორივე შეხვედრა სტუმრად მოიგო – ჯერ "ბათუმთან", მერე კი "კოლხეთთან".**

**"სიონის" მთავარ მწვრთნელს არმაზ ჯელაძეს რამდენიმე კითხვა დავუსვით...**

**- ფაქტია, რომ "სიონი" ბოლო შეხვედრებში უწინდელზე უკეთესად ათამაშდა. რითია გამოწვეული ეს წინსვლა?**

- წინა თამაშები ცუდად ჩავატარეთო, ასე არ ვიტყოდი, არ გვიმართლებდა, თორემ იყო იმის შანსი, რომ უკეთესი შედეგი გვქონოდა. ბოლო ორი თამაშისთვის კარგად მოვემზადეთ, ურეკში მოგვიწია ხანმოკლე შეკრებაზე ყოფნამ, მანამდე სანაკრებო პაუზაც ნაყოფიერად გამოვიყენეთ. ფაქტია, რომ ჩვენი ფეხბურთელები ახლა უწინდელზე უკეთეს ფიზიკურ კონდიციაში არიან.

**- ტაქტიკური ცვლილებებიც განახორციელეთ?**

- ბოლო მატჩებში დაცვითი სისტემა ავირჩიეთ, აქცენტი კონტრშეტევებზე გავაკეთეთ.

**- რა ვითარებაა დაფინანსების მხრივ? ვინ არის ახლა "სიონის" პატრონი?**

- კლუბს ისევ ადგილობრივი მუნიციპალიტეტი აფინანსებს, მერე კი ვნახოთ, რა როგორ იქნება. ხელფასი, პრემიები – ყველაფრის გადახდა დროულად ხდება, დავალიანებები არ არის.

**- სავარჯიშო პირობებით რამდენად კმაყოფილი ხართ? ბოლო დროს "სიონისთვის" ეს არცთუ უმნიშვნელო პრობლემა იყო...**

- თბილისში, 35-ე საფეხბურთო კლუბის მოედანზე, ეგრეთ წოდებულ "მარაკანაზე" ვვარჯიშობთ. ხელოვნურ საფარზე ვარჯიში ტრავმის ალბათობას ზრდის, თუმცა ნელ-ნელა მივაღწიეთ იმას, რომ სტაბილური შემადგენლობით ვთამაშობთ. ქემოკლიძე და ხუბუა ტრავმირებულები არიან, ჯიქია ფოთში დაშავდა და მალე განაახლებს ვარჯიშს, კემუხტაშვილი და უგულავაც ვერ არიან ჯანმრთელად.

**- "სიონი" ამ დროისთვის მე-9 ადგილზეა ჩემპიონატში და ალბათ ეს ის პოზიციაა, რაც ამ ეტაპზე თქვენი გუნდისთვის დამაკმაყოფილებელია...**

- ყველაფერს დრო გვიჩვენებს. თუ რამდენიმე მოწინავე გუნდს არ ჩავთვლით, საქართველოს ჩემპიონატში ყველა მეტ-ნაკლებად თანაბარი დონისაა. შეგვეძლო მოგება „ვიტ ჯორჯიასთან", "ზუგდიდთან"... „სიონი" ახლა უფრო ერთსულოვანი გუნდია, "შევიკარით", მეორე ტაიმშიც უკვე კარგად იხარჯებიან ფეხბურთელები.

**- ყველაზე უფრო რა პოზიციაზე უჭირს ახლა "სიონს"?**

- მარჯვენა განაპირა მცველი არ გვყავს და იძულებული ვართ, რომ ამ პოზიციაზე ორბელაძე ვათამაშოთ, ვინც ნომინალურად ცენტრალური მცველია.

**- ბოლნისში ბოლო დროს ბევრი მაყურებელი აღარ დადის სტადიონზე – ამის მიზეზი რა უნდა იყოს?**

- ალბათ შედეგი, როგორც კი გუნდს უკეთესი შედეგი ექნება, იმედია, მეტი გულშემატკივარიც მოვა "სიონის" საქომაგოდ.

**- მომდევნო ტურში ერთ-ერთ ლიდერს, გორის" დილას" მასპინძლობთ...**

- ძნელი იქნება "დილასთვის" ქულებისართმევა, მაგრამ ყველაფერია შესაძლებელი. "დილა" თამაშიდან თამაშამდე უმატებს. ჩვენთვის ასეთ მეტოქესთან მთავარი ის იქნება, რომ გოლი არ გავუშვათ.

დავით თავართქილაძე

სიტუაცია

# კვახაძე ტორპედოდან წავიდა?



ლექსო კვახაძე

გუშინ გავრცელდა ხმები, რომ ქუთაისის "ტორპედო" **ლექსო კვახაძემ** დატოვა. კლუბში ოფიციალურად არაფერს ამბობენ და არ აკონკრეტებენ, ეს ჭორია თუ სეზონის მსვლელობის დროს კლუბი ერთ-ერთმა წამყვანმა მოთამაშემ მართლაც დატოვა.

ინფორმაციის გადასამოწმებლად "ლელომ" თავად კვახაძესთან სცადა დაკავშირება, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა.

დავუკავშირდით "ტორპედოს" მთავარ მწვრთნელს, **გია გეგუჩაძეს** და კომენტარი რომ ვთხოვეთ, შემდეგი რამ გვიპასუხა: *"რა უნდა მომხდარიყო? ვერანაირ კომენტარს ვერ გავაკეთებ. კვახაძემ ტრავმა მიიღო და დღეს ვერ ივარჯიშა. ხვალ და ზეგ ვნახავთ, რა იქნება".*

სიტყვაც არ თქმულა, გაშვებულია თუ არა კვახაძე, რომელიც „ტორპედოში" 2012 წლის იანვარში ჩაირიცხა და კლუბთან 3-წლიანი ხელშეკრულება გააფორმა.

მანამდე, 28 წლის მცველმა კარიერა თბილისის „ვიტ ჯორჯიაში" დაიწყო, სადაც 2005-დან 2010 წლამდე ჩემპიონატის 128 მატჩში 7 გოლი გაიტანა. ცენტრალურმა მცველმა რუსთავის "მეტალურგში" 2010-2012 წლებში 58 მატჩი გამართა (3 გოლი) და მისი ვიცე-კაპიტანი გახლდათ.

გარდა ამისა, ლექსოს ეროვნულ ნაკრებში 12-ჯერ აქვს ნათამაშები, სადებიუტო მატჩი კი 2007 წლის 12 სექტემბერს აზერბაიჯანის ნაკრებთან ჰქონდა, მაგრამ **თემურ ქეცბაია** აღარ იწვევდა. 2009 წელს სეზონის საფეხბურთო გალასალამო „დიაზე" საუკეთესო მცველის ნომინაციაში გაიმარჯვა.

აგვისტოში, როდესაც „ტორპედოში" გუნდის კაპიტნის არჩევნები ჩატარდა, კვახაძე "ტორპედოს" პირველ ვიცე-კაპიტნად აირჩიეს. მიმდინარე სეზონში ჩატარებულ 13 ტურში გამოცდილმა ფეხბურთელმა 12 მატჩი ითამაშა და 1 გოლი გაიტანა.

მერაბ მამულაშვილი

ლეგიონერი

# ჯანო: მხოლოდ ნახევარი საათი

რუსეთის პრემიერლიგის გასულ ტურში ჩატარებულმა შესანიშნავმა მატჩმა, სამარის "კრილია სოვეტოვის" კარში გატანილმა ლამაზმა გოლმა და ტურის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელებამ იმის საფუძვლიანი იმედი გაგვიჩინა, რომ **ჯანო ანანიძეს** ამჯერად მაინც ვიხილავდით მოსკოვის "სპარტაკის" ძირითად შემადგენლობაში, მაგრამ, სამწუხაროდ, მოლოდინი კვლავ გაგვიცრუვდა.

ჩემპიონთა ლიგაზე პორტუგალიურ "ბენფიკასთან" გასვლით დაპირისპირებაში "სპარტაკის" ესპანელმა თავკაცმა **უნაი ემერიმ** ქართველი ნახევარმცველისთვის მხოლოდ სათადარიგოთა სკამზე გაიმეტა ადგილი და იგი მატჩში 62-ე წუთზე ჩართო. ამ დროს პორტუგალიელები უკვე დაწინაურებულები იყვნენ, მალე მეორე გოლიც გაიტანეს და შეხვედრის ბედი სათავისოდ გადაწყვიტეს. მეორე ტაიმში "სპარტაკი" მოედანზე ათი კაცის შემადგენლობით დარჩა და მასპინძლებს სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწია.

რაც შეეხება ჯანოს, მან მოსკოველთა თამაში აშკარად გაამწვავა და ანგარიშის შემცირებაც შეეძლო – მისი დარტყმა ოდნავ არაზუსტი გამოდგა.

ანანიძემ მიმდინარე ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მეორე მატჩი ჩაატარა. პირველად მან სწორედ "ბენფიკას" წინააღმდეგ ითამაშა, როცა მოსკოვში სასტარტო შემადგენლობაში გაამწესეს.

მის გუნდს კი საქმე არცთუ სახარბიელოდ აქვს – "სპარტაკს" ჯერ კიდევ დარჩა ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში გასვლის შანსი, მაგრამ უფრო რეალურად მისთვის ევროპის ლიგაზე გამსვლელი მესამე საგზურისთვის ბრძოლა მოსჩანს.

ლევან ჯანეზაშვილი

ევროპალიგა. IV ტურის წინ

# ევროპალიგა: ექვსგუნდის აქეთ საგზურებიც გამოჩნდა

**A ჯგუფი**

ანჟი-ლივერპული 21:00
უდინეზე-იანგ ბოიზი 22:00

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლივერპული | 3 | 2 | 0 | 1 | 8-6 | 6 |
| 2. ანჟი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-2 | 4 |
| 3. უდინეზე | 3 | 1 | 1 | 2 | 5-6 | 4 |
| 4. იანგ ბოიზი | 3 | 1 | 0 | 2 | 6-8 | 3 |

**B ჯგუფი**

აკადემიკა-ატლეტიკო 22:00
პლზენი-ჰაპოელი 22:00

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ატლეტიკო | 3 | 3 | 0 | 0 | 6-1 | 9 |
| 2. პლზენი | 3 | 2 | 0 | 1 | 5-3 | 6 |
| 3. აკადემიკა | 3 | 0 | 1 | 2 | 3-6 | 1 |
| 4. ჰაპოელი | 3 | 0 | 1 | 2 | 2-6 | 1 |

**C ჯგუფი**

მარსელი-გლადბახი 22:00
ფენერბაჰჩე-აელ 22:00

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ფენერბაჰჩე | 3 | 2 | 1 | 0 | 7-4 | 7 |
| 2. მარსელი | 3 | 1 | 1 | 1 | 7-5 | 4 |
| 3. გლადბახი | 3 | 1 | 1 | 1 | 4-4 | 4 |
| 4. აელ | 3 | 0 | 1 | 2 | 1-6 | 1 |

**D ჯგუფი**

ბრიუგე-ნიუკასლი 22:00
ბორდო-მარიტიმუ 22:00

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ნიუკასლი | 3 | 2 | 1 | 0 | 4-0 | 7 |
| 2. ბორდო | 3 | 1 | 1 | 1 | 5-4 | 4 |
| 3. ბრიუგე | 3 | 1 | 0 | 2 | 2-5 | 3 |
| 4. მარიტიმუ | 3 | 0 | 2 | 1 | 1-3 | 2 |

**E ჯგუფი**

მიოლდე-სტიაუა 22:00
კოპენჰაგენი-შტუტგარტი 22:00

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სტიაუა | 3 | 2 | 1 | 0 | 5-2 | 7 |
| 2. კოპენჰაგენი | 3 | 1 | 1 | 1 | 2-2 | 4 |
| 3. მიოლდე | 3 | 1 | 0 | 2 | 3-4 | 3 |
| 4. შტუტგარტი | 3 | 0 | 2 | 1 | 2-4 | 2 |

**F ჯგუფი**

აიკ-პსვ 22:00
ნაპოლი-დნიპრო 22:00

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დნიპრო | 3 | 3 | 0 | 0 | 8-3 | 9 |
| 2. პსვ | 3 | 1 | 1 | 1 | 4-3 | 4 |
| 3. ნაპოლი | 3 | 1 | 0 | 2 | 5-6 | 3 |
| 4. აიკ | 3 | 0 | 1 | 2 | 3-8 | 1 |

**G ჯგუფი**

ბაზელი-ვიდეოტონი 00:05
სპორტინგი-გენკი 00:05

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გენკი | 3 | 2 | 1 | 0 | 7-3 | 7 |
| 2. ვიდეოტონი | 3 | 2 | 0 | 1 | 5-4 | 6 |
| 3. ბაზელი | 3 | 0 | 2 | 1 | 3-4 | 2 |
| 4. სპორტინგი | 3 | 0 | 1 | 2 | 1-5 | 1 |

**H ჯგუფი**

ნეფთჩი-რუბინი 21:00
პარტიზანი-ინტერი 00:05

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 3 | 2 | 1 | 0 | 6-3 | 7 |
| 2. რუბინი | 3 | 2 | 1 | 0 | 5-2 | 7 |
| 3. ნეფთჩი | 3 | 0 | 1 | 2 | 1-4 | 1 |
| 4. პარტიზანი | 3 | 0 | 1 | 2 | 0-3 | 1 |

**I ჯგუფი**

შმონა-სპარტა 00:05
ბილბაო-ლიონი 00:05

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლიონი | 3 | 3 | 0 | 0 | 8-5 | 9 |
| 2. სპარტა | 3 | 2 | 0 | 1 | 7-4 | 6 |
| 3. შმონა | 3 | 0 | 1 | 2 | 5-8 | 1 |
| 4. ბილბაო | 3 | 0 | 1 | 2 | 3-6 | 1 |

**J ჯგუფი**

ლაციო-პანათინაიკოსი 00:05
ტოტენჰემი-მარიბორი 00:05

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლაციო | 3 | 1 | 2 | 0 | 2-1 | 5 |
| 2. მარიბორი | 3 | 1 | 1 | 1 | 4-2 | 4 |
| 3. ტოტენჰემი | 3 | 0 | 3 | 0 | 2-2 | 3 |
| 4. პანათინაიკოსი | 3 | 0 | 2 | 1 | 2-5 | 2 |

**K ჯგუფი**

მეტალისტი-როსენბორგი 00:05
ლევერკუზენი-რაპიდი 00:05

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლევერკუზენი | 3 | 2 | 1 | 0 | 5-0 | 7 |
| 2. მეტალისტი | 3 | 2 | 1 | 0 | 4-1 | 7 |
| 3. როსენბორგი | 3 | 1 | 0 | 2 | 3-4 | 3 |
| 4. რაპიდი | 3 | 0 | 0 | 3 | 1-8 | 0 |

**L ჯგუფი**

ჰანოვერი-ჰელსინგბორგი 00:05
ტვენტე-ლევანტე 00:05

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰანოვერი | 3 | 2 | 1 | 0 | 6-4 | 7 |
| 2. ლევანტე | 3 | 2 | 0 | 1 | 5-2 | 6 |
| 3. ტვენტე | 3 | 0 | 2 | 1 | 4-7 | 2 |
| 4. ჰელსინგბორგი | 3 | 0 | 1 | 2 | 3-5 | 1 |

ბომბარდირები: 3 - აბუჰაცირა (კირიათ შმონა), ბობადილია (იანგ ბოიზი), დე სოლაე (გენკი), შელვი (ლივერპული), ვარგასი (ნაპოლი).



ემრეს და მის თანაგუნდელებს ატლეტიკოს პლეი ოფში გაყვანა დღესვე შეუძლიათ

**მოქმედი ჩემპიონი, მადრიდის „ატლეტიკო“ იმ ჩამონათვალშია, რომელთაც დღესვე შეუძლიათ ევროპალიგის პლეი ოფის საგზურის მოპოვება. დღეს კი ჯგუფური ეტაპის მეორე წრე იწყება...**

## ატლეტიკოს დღესვე შეუძლია

B ჯგუფის ლიდერი „ატლეტიკო“ კოიმბრაში „აკადემიკას“ ეთამაშება და პორტუგალიაშიც თუ მოიგო (აქამდე სამივე შეხვედრა მოიგო), 1/16-ფინალის საგზურს მოიპოვებს და მისთვის ჯგუფში ბოლო ორ შეხვედრას მხოლოდ რეკორდული სვლის გასაგრძელებლად ექნება აზრი. მაგრამ მადრიდელებს პორტუგალიაში გამარჯვება წესით უნდა გაუჭირდეთ - **დიეგო სიმეონეს** კოიმბრაში არცთუ ოპტიმალური შემადგენლობა მიჰყავს, არ იქნება ევროპალიგის უპირველესი ვარსკვლავი **რადამელ ფალკაო.**

შაბათს ვალენსიაში „ატლეტიკოს“ 23-მატჩიანი წაუგებელი სერია დასრულდა, თუმცა ჯერ კიდევ ძალაშია „როხიბლანკოს“ 16-მატჩიანი მოგებათა სერია ევროთასებზე.

## რიგში ლიონი, დნიპრო, ინტერი და რუბინია

ძალიან საინტერესო მატჩი გველის ბასკეთში, სადაც „ლიონი“ ბილბაოს „ატლეტიკს“ მასპინძლობს. შარშანდელ ფინალისტს არ ულხინს არც ევროსარბიელზე და არც ლა ლიგაში. „ლიონს“ კი ჯერ ქულა არ დაუკარგავს და ბასკების დამარცხებით გუნდი პლეი ოფის საგზურს მოიპოვებს. „სტად ჟერლანზე“ ამ გუნდების დაპირისპირება „ლიონმა“ 2:1 მოიგო.

მესამე უდანაკარგო გუნდი კი **ხუან დე რამოსის** „დნიპროა“. თუკი უკრაინელები „ნაპოლის“ 15-მატჩიან წაუგებელ საშინაო სერიას შეწყვეტენ, ისინიც 1/16-ფინალში გავლენ.

მოგება ჰყოფნის მილანის „ინტერს“ ბელგრადში „პარტიზანთან“, „რუბინს“ კი - „ნეფთჩისთან“.

აღსანიშნავია, რომ ამ უქმეებზე „ბრიუგეს“ მწვრთნელი **ჟორჟ ლეეკენსი** თანამდებობიდან გადააყენეს. ბელგიელები შინ „ნიუკასლს“ მიიღებენ, რომელსაც ევროპალიგაზე ჯერ გოლი არ გაუშვია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ამბები



## მოუ ფორვარდების გარეშე დარჩა

**ჟოზე მოურინიოს** ამ სეზონში საკადრო პრობლემები უხვად აქვს - „რეალის“ თავკაცს ჯერ დაცვაში შექმნილი მცირე კრიზისისთვის ვერ მოუვლია, რომ უკვე თავდასხმის ხაზია მისახედი. დორტმუნდის „ბორუსიასთან“ თამაშამდე დაშავდა ფრანგი **ქარიმ ბენზემა**, მატჩისას კი ტრავმა არგენტინელმა **გონსალო იგუაინმა** მიიღო.

გონსალო მატჩის დასაწყისშივე დაშავდა - კუნთი დაიჭიმა - თუმცა მან თამაში განაგრძო. შესვენების შემდეგ პორტუგალიელმა მწვრთნელმა იგუაინის ნაცვლად **ხოსე კალეხონი** გაიყვანა. ბენზემასაც კუნთი აწუხებს, ამის გამო ის საერთოდ ვერ მოხვდა „ბორუსიასთან“ მატჩის განაცხადში.

დღეს-ხვალ გაირკვევა მათი ტრავმების სირთულე და შეძლებენ თუ არა ისინი კვირას, ლა ლიგის მე-11 ტურის მატჩში „ლევანტეს“ წინააღმდეგ თამაშს. ყველაზე უარეს შემთხვევაში მოურინიო ცენტრფორვარდის პოზიციაზე **კრიშტიანო რონალდოს** გაამწესებს.

## ბარკერო ლევანტეში დარჩა

33 წლის ნახევარმცველმა **ხოსე ხავიერ ბარკერომ** „ლევანტესთან“ ხელშეკრულება 2014 წლის ივლისამდე გააგრძელა. ვეტერანს ვალენსიურ კლუბთან კონტრაქტი ამ სეზონის ბოლომდე ჰქონდა, თუმცა კლუბის ხელმძღვანელობა მისი გარჯით კმაყოფილია და 1 წლით კიდევ გაახანგრძლივა მასთან თანამშრომლობა. ახალ კონტრაქტში ასეთი პუნქტია: თუკი ბარკერო მომავალ სეზონში 25 მატჩს მაინც ითამაშებს, ხელშეკრულება კიდევ ერთი წლით გაგრძელდება. „აქ თავს ბედნიერად ვგრძნობ, ფულს კი მნიშვნელობა ნაკლებად აქვს“, - განაცხადა ბარკერომ. შეგახსენებთ, რომ „ლევანტე“ ესპანურ ელიტაში ერთ-ერთი ყველაზე მცირებიუჯეტიანი კლუბია.

ბარკერო „რეალ სოსიედადის“ აღზრდილია. მას „ტულუზში“, „ალბასეტეში“, „ნუმანსიაში“ და კიდევ რამდენიმე დაბალი რანგის გუნდში უთამაშია. ბარკერო ესპანეთის ყველა ასაკობრივი ნაკრების წევრი იყო. 1999 წელს მსოფლიოს 20-წლამდელთა ჩემპიონატი მოიგო და ფინალში იაპონიას გოლი გაუტანა.

## სამუელის ექვსი თვე

ვიგოს „სელტას“ ექიმთა დასკვნით, **სამუელ ლორკას** ტრავმა მძიმეა - „სამეფო თასზე“ „ალმერიასთან“ მატჩში დაშავებული მცველი, სულ მცირე, 6 თვეს გამოტოვებს. 27 წლის სამუელმა მარცხენა მუხლზე ჯვარედინი იოგები დაიზიანა. მას უახლოეს დღეებში გაუკეთებენ ოპერაციას. სამუელ ლორკა ამ ზაფხულში გადავიდა „ერკულესიდან“ „სელტაში“.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური

**E ჯგუფი**

**ჩელსი-შახტარი 3:2**

**ჩელსი** (4-2-3-1): ჩეხი – ბერტრანი, კეჰილი, ლუისი, ივანოვიჩი – მიკელი, რამირესი – ოსკარი (81. ოსკარი), მატა, აზარი – ტორესი (90. სტარიჯი)

**შახტარი** (4-2-3-1): პიატოვი – სრნა, კუჩერი, რაკიცკი, რატი – ჰუბშმანი, ფერნანდინიო – ტეიშეირა (78. ილსინიო), მხითარიანი, ვილიანი - ადრიანო

**გოლები:** 1:0 ტორესი (6), 1:1 ვილიანი (9), 2:1 ოსკარი (41), 2:2 ვილიანი (47), 3:2 მოზესი (90+3)

**გაფრთხილება:** ლუისი - ტეიშეირა

**კარში დარტყმა:** 13-10 (7-6) **კუთხური:** 9-9 **თამაშგარე:** 1-1 **ჯარიმა:** 10-14 **ბურთის ფლობა:** 44%-56%

**მაყურებელი:** 41 067

**იუვენტუსი-ნორდსიელანდი 4:0**

**იუვენტუსი** (3-5-2): ბუფონი – კიელინი (69. ლუსიო), ბონუჩი, ბარძალი – ასამოა, მარკიზიო, პირლო, ვიდალი (53. პოგბა), ისლა – მატრი, ჯოვინკო (60. კვალიარელა)

**ნორდსიელანდი** (4-2-3-1): ჰანსენი – პარკჰერსტი, ოკორე, რუნიე, მტილიგა – ადუ (46. კრისტენსენი), სტოკჰოლმი – ლორენცენი, ლაუდრუპი (46. კრისტიანსენი), ჯონი – ბეკმანი (72. ნორდსტრანდი)

**გოლები:** 1:0 მარკიზიო (6), 2:0 ვიდალი (23), 3:0 ჯოვინკო (37), 4:0 კვალიარელა (75)

**გაფრთხილება:** მარკიზიო, პოგბა -

**კარში დარტყმა:** 16-3 (10-1) **კუთხური:** 9-1 **თამაშგარე:** 10-2 **ჯარიმა:** 13-10 **ბურთის ფლობა:** 57%-43%

**მაყურებელი:** 37 165

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩელსი | 4 | 2 | 1 | 1 | 10-6 | 7 |
| 2. შახტარი | 4 | 2 | 1 | 1 | 7-5 | 7 |
| 3. იუვენტუსი | 4 | 1 | 3 | 0 | 8-4 | 6 |
| 4. ნორდსიელანდი | 4 | 0 | 1 | 3 | 1-11 | 1 |

**F ჯგუფი**

**ბაიერნი-ლილი 6:1**

**ოლიმპიაკოსი** (4-2-3-1): ნოიერი – ალაბა, დანტე, ბოატენგი, ლამი – შვაინშტაიგერი (67. ტიმოშჩუკი), მარტინესი – მიულერი (60. კროოსი), რიბერი (72. შაჩირი), რობენი - პისარო

**მონპელიე** (4-3-2-1): ლანდრო – დებუში, ბასა, შეჯუ, ბერია – როზენალი (46. მავუბა), ბალმონი, პედრეტი – კალუ (72. მარტინი), პაიე (46. დე მელო) - რუ

**გოლები:** 1:0 შვაინშტაიგერი (5), 2:0 პისარო (18), 3:0 ბალმონი (23-ს.კ.), 4:0 პისარო (28), 5:0 პისარო (33), 5:1 კალუ (57), 6:1 კროოსი (66)

**გაფრთხილება:** შვაინშტაიგერი, რიბერი, ტიმოშჩუკი – დებუში, ბალმონი, მავუბა

**კარში დარტყმა:** 15-7 (12-4) **კუთხური:** 8-5 **თამაშგარე:** 4-2 **ჯარიმა:** 10-10 **ბურთის ფლობა:** 62%-38%

**მაყურებელი:** 64 500

**ვალენსია-ბატე 4:2**

**ვალენსია** (4-2-3-1): გუაიტა - სისოკო, რ. კოშტა, რამი, პერეირა – გაგო, ტ. კოსტა – გუარდადო (87. ალბელდა), ჟონასი (67. ბანეგა), ფეგული – სოლდადო (79. ვალდესი)

**ბატე** (4-1-4-1): გორბუნოვი – პოლიაკოვი, ფილიპენკო, რადკოვი, ბორდაჩოვი – ლიხტაროვიჩი (54. სივაკოვი) – ვოლოდკო, რენანი (87. კონცევოი), გლები (77. მოზოლევსკი), ბაგა - როდიონოვი

**გოლები:** 1:0 ჟონასი (26), 2:0 სოლდადო (29), 3:0 ფეგული (51), 3:1 რენანი (53), 3:2 მოზოლევსკი (83), 4:2 ფეგული (86)

**გაფრთხილება:** გაგო – ბორდაჩოვი, როდიონოვი, სივაკოვი, რადკოვი

**კარში დარტყმა:** 11-7 (5-6) **კუთხური:** 2-5 **თამაშგარე:** 3-2 **ჯარიმა:** 13-25 **ბურთის ფლობა:** 55%-45%

**მაყურებელი:** 38 000

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვალენსია | 4 | 3 | 0 | 1 | 10-4 | 9 |
| 2. ბაიერნი | 4 | 3 | 0 | 1 | 10-5 | 9 |
| 3. ბატე | 4 | 2 | 0 | 2 | 8-9 | 6 |
| 4. ლილი | 4 | 0 | 0 | 4 | 2-12 | 0 |

**G ჯგუფი**

**სელტიკი-ბარსელონა 2:1**

**სელტიკი** (4-4-2): ფორსტერი – ლუსტიგი (ვატი 72), ემბროუზი, უილსონი, მეტიუზი – კომონსი, ვანიამა, ლედლი, მალგრიუ – სამარასი (ქაიფლი 79), მიკუ.

**ბარსელონა** (4-3-3): ვალდესი – დანი ალვეში, ბარტრა (პიკე 71), მასკერანო, ალბა – სონგი (ფაბრეგასი 71), ჩავი, ინიესტა – პედრო, სანჩესი (ვილია 67), მესი.

**გოლები:** 1:0 ვანიამა (21), 2:0 ვატი (83), 2:1 მესი (90).

**გაფრთხილება:** მიკუ – სონგი, ალბა.

**კუთხური:** 2-6; **ჯარიმა:** 8-5; **თამაშგარე:** 3-0; **კარში დარტყმა:** 5-20 (3-8); **ბურთის ფლობა:** 33-67;

**მაყურებელი:** 60 000

**ბენფიკა-სპარტაკი 2:0**

**ბენფიკა** (4-3-3): არტური – მაქსი პერეირა (ანდრე გომეში 82), ჟარდელი, გარაი, მელგარეხო – ანდრე ალმეიდა, ე. პერესი, როდრიგო (ო. კარდოსო 46) – ო. ჯონი, სალვიო, ლიმა (ბრუნო სეზარი 74).

**სპარტაკი** (4-4-1-1): რებროვი – მაკეევი, პარეხა, ინსაურალდე, კ. კომბაროვი (ანანიძე 62) – დ. კომბაროვი, რაფაელ კარიოკა, კალსტრიომი (ძიუბა 71), ბილიალეტდინოვი (სუხი 79) – ხურადო – არი.

**გოლები:** 1:0 ო. კარდოსო (55), 2:0 ო. კარდოსო (69).

***გამოუყენებელი პენალტი:*** *ო. კარდოსო (77).*

**გაფრთხილება:** ანდრე ალმეიდა – რებროვი, მაკეევი, პარეხა, ხურადო.

**გაძევება:** - პარეხა (76)

**კუთხური:** 5-2; **ჯარიმა:** 11-25; **თამაშგარე:** 4-11; **კარში დარტყმა:** 24-7 (5-5); **ბურთის ფლობა:** 55-45;

**მაყურებელი:** 52 000

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 4 | 3 | 0 | 1 | 8-5 | 9 |
| 2. სელტიკი | 4 | 2 | 1 | 1 | 6-5 | 7 |
| 3. ბენფიკა | 4 | 1 | 1 | 2 | 3-4 | 4 |
| 4. სპარტაკი | 4 | 1 | 0 | 3 | 6-9 | 3 |

**H ჯგუფი**

**კლუჟი-გალათასარაი 1:3**

**კლუჟი** (4-4-2): მარიო ფელგეირაში – სეპსი (რაფაელ ბასტოსი 31), კადუ, პიკოლო, პინტუ – სუგუ, მურეშანი, გოდემეში (ბიელანოვიჩი 46), ლუის ალბერტო – კამორა, კაპეტანოსი (დიოგო ვალენტე 77).

**გალათასარაი** (4-4-2): მუსლერა – ებუე, კრისი, ნუნკუ, რიერა – ჰამით ალთინთოფი (სემიჰ კაია 90), კურტულუში (საბრი სარიოღლუ 89), ჩოლაქი, ინანი – ბ. ილმაზი, უ. ბულუთი (ამრაბატი 76).

**გოლები:** 0:1 ბ. ილმაზი (18), 1:1 სუგუ (53), 1:2 ბ. ილმაზი (61), 1:3 ბ. ილმაზი (74).

**გაფრთხილება:** - ჰამით ალთინთოფი, რიერა.

**კუთხური:** 2-0; **ჯარიმა:** 21-20; **თამაშგარე:** 1-4; **კარში დარტყმა:** 10-10 (3-7); **ბურთის ფლობა:** 33-67;

**მაყურებელი:** 16 232

**ბრაგა-მან. იუნაიტედი 1:3**

**ბრაგა** (4-4-1-1): ბეტუ – ლეანდრო სალინო, ნუნო კოელიო, დუგლაო, ეჩიეჯილე (ზე ლუისი 90) – ალანი, კუშტოდიო, უგო ვიანა (მარსიო მოსორო 87), რუბენ ამორიმი (ელდერ ბარბოსა 85) – რუბენ მიკაელი – ედერი.

**მან. იუნაიტედი** (4-3-3): დე ხეა – ვალენსია, სმოლინგი, ევანსი (ფერდინანდი 59), ევრა – ნანი (რაფაელი 73), ანდერსონი, გიგზი – რუნი, ხ. ერნანდესი, უელბეკი (ვან პერსი 64).

**გოლები:** 1:0 ალანი (49-პენ), 1:1 ვან პერსი (80), 1:2 რუნი (84-პენ), 1:3 ხ. ერნანდესი (90).

**გაფრთხილება:** ედერი, კუშტოდიო – სმოლინგი.

**კუთხური:** 2-4; **ჯარიმა:** 13-11; **თამაშგარე:** 3-3; **კარში დარტყმა:** 14-9 (7-8); **ბურთის ფლობა:** 43-57;

**მაყურებელი:** 30 000

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუნაიტედი | 4 | 4 | 0 | 0 | 9-4 | 12 |
| 2. გალათასარაი | 4 | 1 | 1 | 2 | 4-5 | 4 |
| 3. კლუჟი | 4 | 1 | 1 | 2 | 5-6 | 4 |
| 4. ბრაგა | 4 | 1 | 0 | 3 | 5-8 | 3 |



ბაიერნმა ლილი მინახთან გაასწორა

## უცხოური ფეხბურთი

ჩემპიონთა ლიგა. IV ტური. ოთხშაბათის მატჩების მიმოხილვა

# ჟოზემ დორტმუნდი შეაქო!

## ამას მოურინიო ძალიან იშვიათად აკეთებს ხოლმე...

**„მანჩესტერ სიტის“ საქმე ცუდადაა - რობერტო მანჩინის გუნდი წელსაც ჯგუფში რჩება; პსჟ-მ ჩემპიონთა ლიგის ყველაზე უსუსური გუნდი გაანადგურა, იბრაჰიმოვიჩმა კი ამჯერად უგოლო გალა-კონცერტი ჩაატარა; „პორტუმ“ და „მალაგამ“ მერვედფინალში თამაში გაინაღდეს, საფრანგეთის ჩემპიონი ჯგუფიდან ველარ გავა, ხოლო „მილანი“, მიუხედავად ბედოვლათობისა, მაინც მეორე ადგილზეა...**

### A ჯგუფი

**პსჟ-დინამო (ზ) 4:0**

გოლები: 1:0 ალექსი (16), 2:0 მატუიდი (61), 3:0 მენეზი (65), 4:0 ორო (80)

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** ზლატან იბრაჰიმოვიჩი (პსჟ)

თავიდანვე ცხადი იყო, რომ ზაგრების „დინამო“ ჩემპიონთა ლიგის ამ გათამაშებაშიც ერთ-ერთი უსუსტესი გუნდი იქნებოდა - ზედიზედ სამი 0:2-ზე წაგებული მატჩის შემდეგ, ხორვატიის ჩემპიონმა პარიზში მოსალოდნელი კრახი განიცადა: 0:4 განადგურდა.

პსჟ-მ კი დაამტკიცა, რომ ამ გუნდიდან გოლების გატანა არა მარტო **ზლატან იბრაჰიმოვიჩს**, არამედ სხვებსაც შეუძლიათ. თუმცა, მიუხედავად მოედნის უგოლოდ დატოვებისა, შვედი თავდამსხმელი მაინც საუკეთესო გახლდათ და ამჯერად საგოლე პასები არიგა. მე-16 წუთზე იბრამ **ალექსს** გაატანინა, მეორე ტაიმის მე-16 წუთზე **მატუიდის** მოემსახურა, მერე კი ზლატანის ფენომენალური მოედნის ხედვით **მენეზმა** და **ოარომაც** იხეირეს. „დინამო“ თავიდანვე არ ჰგავდა ანგარიშგასაწევ ძალას, 2:0-ის შემდეგ კი ხორვატები საბოლოოდ დანებდნენ. ამ გამარჯვებით **კარლო ანჩელოტის** გუნდმა მერვედფინალში ცალი ფეხით შეაბიჯა - პარიზელები მესამეადგილოსან კიევის „დინამოს“ 5 ქულით უსწრებენ.

**დინამო (კ)-პორტუ 0:0**

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** ანდრეი იარმოლენკო (დინამო /კ/)

„პორტუს“ მერვედფინალის საგზურის გასანაღდებლად ფრეც ჰყოფნიდა და პორტუგალიელებმა კიევში მოთხოვნის შესაბამისად ითამაშეს: ძალების მინიმალური ხარჯით მაქსიმალური შედეგის მიღწევას შეეცადნენ და მიზანს მიაღწიეს კიდეც - „პორტუ“ მერვედფინალში ითამაშებს. კიეველებს კი ჯგუფიდან გასვლის ოდენ თეორიული შანსიღა შერჩათ, რომლის პრაქტიკულობაც თითქმის ნულის ტოლია.

გამარჯვებისთვის ბრძოლა უკრაინელებს უფრო მოეთხოვებოდა, მაგრამ კიეველებმა მეტოქეს ბევრი ვერაფერი შესთავაზეს. ვერც მძაფრი შეტევები ვნახეთ და არც გოლები გავიდა - იყო მხოლოდ რამდენიმე გამოუყენებელი მომენტი. ასე დაფიქსირდა უგოლო ფრე, რომელმაც მაინც გამოავლინა გამარჯვებულიც (პორტუ) და დამარცხებულიც (დინამო). კიეველთა ერთადერთი შელავათი ისაა, რომ სავარაუდოდ ევროპალიგაზე გადაინაცვლებენ. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ზაგრების „დინამო“ აბსოლუტურად უმაქნისი გუნდი ჩანს, წესით, უკრაინელებს მესამე ადგილზე გასვლა არ უნდა გაუჭირდეთ.

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პორტუ | 4 | 3 | 1 | 0 | 6-2 | 10 |
| 2. პსჟ | 4 | 3 | 0 | 1 | 10-2 | 9 |
| 3. დინამო (კ) | 4 | 1 | 1 | 2 | 5-7 | 4 |
| 4. დინამო (ზ) | 4 | 0 | 0 | 4 | 0-10 | 0 |

### B ჯგუფი

**შალკე-არსენალი 2:2**

**გოლები:** 0:1 უოლკოტი (18), 0:2 ჟირუ (26), 1:2 ჰუნტელაარი (45+2), 2:2 ფარფანი (67)

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** ჯეფერსონ ფარფანი (შალკე)

შეხვედრა ლონდონელთა ორი, საკმაოდ სწრაფი გოლით დაიწყო და ის-ის იყო, ვიფიქრეთ, „შალკე“ „არსენალს“ მესამე ტურის „ვალს უბრუნებსო“ (ლონდონში გერმანელებმა 2:0 გაიმარჯვეს), რომ გელზენკირხენელები აზრზე მოვიდნენ, მედგრად შეუტიეს და პირველი ტაიმის მიწურულს ერთი ბურთი გაქვითეს.

მეორე ტაიმში ფეხბურთს რეალურად მხოლოდ „შალკე“ თამაშობდა. **ჰუბ სტევენსის** შეგირდთაგან საუკეთესო **ჯეფერსონ ფარფანი** გახლდათ და მეორე გოლის ავტორობაც სწორედ მას ხვდა წილად. საბოლოოდ ფრე 2:2, რომელმაც „შალკე“ პირველ ადგილზე დატოვა. მომდევნო ტურში გერმანელები „ოლიმპიაკოსს“ მასპინძლობენ და გამარჯვების შემთხვევაში მერვედფინალის საგზურის განაღდება შეუძლიათ.

რაც შეეხება „არსენალს“: „მონპელიე“ სათვალავში ჩასაგდები აღარაა, „ოლიმპიაკოსს“ კი „მეთოფეები“ მხოლოდ ერთი ქულით უსწრებენ. შეგახსენებთ, რომ „არსენალმა“ დარჩენილ ორ ტურში ჯერ „მონპელიეს“ უნდა უმასპინძლოს, მერე კი საბერძნეთში ჩადის. ასე რომ, **არსენ ვენგერის** ბიჭებს ჯგუფიდან გასვლისთვის ბრძოლა მოუწევთ.

**ჰუბ სტევენსი („შალკეს“ მწვრთნელი):** *„ვაღიარებ, ცოტათი გაგვიმართლა, ანგარიში პირველი ტაიმის მიწურულს რომ გავათანაბრეთ, მაგრამ თუ მატჩს მთლიანობაში შევხედავთ, არათუ წაგებას არ ვიმსახურებდით, უნდა მოგვეგო კიდეც.“*

**არსენ ვენგერი („არსენალის“ მწვრთნელი):** *„შალკე“ კარგი გუნდია და თანაც, ყოველთვის ბოლომდე იბრძვის. მიუხედავად იმისა, რომ 2:0-ს ვიგებდით, ბიჭებს მოვუწოდებდი, კონცენტრაცია არ დაეკარგათ. კარგი იქნებოდა, რომ ლონდონში სამი ქულა წაგველო, მაგრამ ფრითაც კმაყოფილი ვარ.“*

**ოლიმპიაკოსი-მონპელიე 3:1**

**გოლები:** 1:0 მაშადო (4), 1:1 ბელჰანდა (67-პენ), 2:1 გრეკო (80), 3:1 მიტროღლუ (82)

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** კოსტას მიტროღლუ (ოლიმპიაკოსი)

საფრანგეთის ჩემპიონისთვის ჩემპიონთა ლიგაში თამაში ხანმოკლე სიამოვნება გამოდგა: ოთხი თამაში, ერთი ქულა და „მონპელიე“ უკვე უშანსოდაა. ფრანგებს იმედები პირეოსშიც მალე გაუცრუვდათ: „ოლიმპიაკოსი“ თავიდანვე დაწინაურდა. უნდა ვთქვათ, რომ „მონპელიემ“ მეორე ტაიმი კარგად დაიწყო და ანგარიშიც გაათანაბრა (**ბელჰანდამ** სამართლიანად დანიშნული თერთმეტმეტრიანი გარდასახა), მაგრამ ბერძნები უდიდესი ვნებით იბრძოდნენ და შეხვედრის მიწურულს სამი ქულა მაინც დაიტოვეს.

შედეგად, „ოლიმპიაკოსმა“ ჯგუფიდან გასვლის შანსი შეინარჩუნა - ბერძნები „არსენალს“ ახლა უკვე მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩებიან, ლიდერ „შალკეს“ კი - ორით. მომდევნო ტურში „ოლიმპიაკოსი“ გელზენკირხენში ჩადის, ბოლოს კი „არსენალს“ სტუმრობს, რაც იმას ნიშნავს, რომ საბერძნეთის ჩემპიონის ბედი მისსავე ხელშია.

**რენე ჟირარი („მონპელიეს“ მწვრთნელი):** *„არ ვიცი და ვერაფრით ავხსნი, რა დაგვემართა და რატომ დავკარგეთ კონცენტრაცია ბოლო ათ წუთში. „ოლიმპიაკოსმა“ დღეს ბევრით ვერაფრით გვაჯობა და მხოლოდ იმიტომ მოგვიგო, რომ ლანგრით მირთმეული მომენტები გამოიყენა. როგორც ჩანს, ჩვენი მთავარი პრობლემა გამოუცდელობაა.“*

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შალკე | 4 | 2 | 2 | 0 | 8-5 | 8 |
| 2. არსენალი | 4 | 2 | 1 | 1 | 7-6 | 7 |
| 3. ოლიმპიაკოსი | 4 | 2 | 0 | 2 | 7-7 | 6 |
| 4. მონპელიე | 4 | 0 | 1 | 3 | 5-9 | 1 |

### C ჯგუფი

**მილანი-მალაგა 1:1**

**გოლები:** 0:1 ელიზეუ (40), 1:1 პატო (73)

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** ისკო (მალაგა)

ოთხი თამაში, ხუთი ქულა, მეორე ადგილი: „მილანი“ „ანდერლეხტისა“ და „ზენიტის“ უმაქნისობას უნდა უმადლოდეს იმას, რომ მეორე ადგილზეა და მერვედფინალში გასვლის კვლავინდებურად კარგი შანსი აქვს. ამ სეზონში საშინლად არასტაბილურმა „როსონერიმ“ სენსაციურ „მალაგას“ ვერც „სან სიროზე“ მოუგო, მაგრამ იმის გამო, რომ „ზენიტი“ „ანდერლეხტთან“ დამარცხდა, მეორე ადგილი შეინარჩუნა.

თუმცა, უმჯობესია, „მალაგაზე“ ვისაუბროთ: ანდალუსიელები ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშების მთავარი აღმოჩენის სტატუსს ტურიდან ტურამდე ამართლებენ და ყველასათვის მოულოდნელად, მერვედფინალში თამაში ორი ტურით ადრე გაინაღდეს. მაგრამ საინტერესოა, როგორი შედეგები ექნებოდა „მალაგას“, რომ არა **ისკო**?

ახალგაზრდა ესპანელი შემტევი ნახევარმცველი „სან სიროზეც“ საყოველთაო ყურადღების ცენტრში იყო მოქცეული - მისი პასი, რომლითაც **ელიზეუმ** ანგარიში გახსნა, ფანტასტიკური გახლდათ. გაგახსენებთ, რომ ისკო „ზენიტთან“ (დუბლი) და „ანდერლეხტთანაც“ (საგოლე პასი) უაღრესად ეფექტური იყო.



ასე დაემშვიდობნენ ერთმანეთს დორტმუნდის „ბორუსიას“ მთავარი მწვრთნელი იურგენ კლოპი და „რეალის“ თავკაცი ჟოზე მოურინიო საფინალო სასტვენის შემდეგ

თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს იმის აღნიშვნას, რომ „მილანი“ „მალაგას“ სჯობდა. მრავალგზის გაკრიტიკებული და „მილანის“ ხელმძღვანელებისგან ამ ეტაპზე შეწყალებული **მასიმილიანო ალეგრის** ბიჭებმა არაერთი მომენტი გაატანეს ქარს - უმეტესად ძალიან კარგად თამაშობდა „მალაგას“ კარის დარაჯი **ვილი კაბალიერო**.

**რიკარდო მონტოლივო (მილანი):** *„ამ ჯგუფში ჯერ კიდევ ყველაფერი შესაძლებელია და არაფერი არ არის გამორიცხული. დარწმუნებული ვარ, ბოლო ტურამდე ასე იქნება. „მალაგა“ კარგი გუნდია და ლოგიკურია, რომ გაგვიჭირდა, მაგრამ ვფიქრობ, რომ დღეს უფრო უკეთესად ვითამაშეთ, ვიდრე ორი კვირის წინ.“*

**ანდერლეხტი-ზენიტი 1:0**

**გოლი:** 1:0 მბოკანი (17)

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** დიუმერსი მბოკანი (ანდერლეხტი)

მატჩის წინ „ანდერლეხტის“ თავკაცმა **ვან დენ ბრომმა** თქვა, **მბოკანის** საჰაერო ორთაბრძოლებში შესვლის ოდნავადაც არ ეშინია და ყოველთვის მზადაა, თავით ბეტონის კედელიც კი გაანგრიოსო. შესაბამისად, ბელგიელთა დამრიგებელმა ძირითად შემადგენლობაში სწორედ მბოკანი გაამწესა და არა **დე სუიტერი**, რომელიც „ანდერლეხტის“ სასტარტოში კონგოელზე ხშირად ხვდება ხოლმე.

მბოკანიმ ყვრიმალის ძვლის მოტეხილობა გადაიტანა და „ზენიტთან“ სპეციალური ნიღბით თამაშობდა, არაერთი საჰაერო თუ მიწიერი ორთაბრძოლა მოიგო და ის ერთადერთი გოლიც, რომლითაც „ანდერლეხტმა“ „ზენიტი“ დაამარცხა, სწორედ 26 წლის მბოკანის ანგარიშზეა. „ზენიტი“ უმეტესად ვერ უტევდა და როცა უტევდა, პეტერბურგელი წინახაზელები უჩვეულოდ მოუქნელები იყვნენ. ვერ ვიტყვით, რომ ეს მხოლოდ **ჰალკის** არყოფნის ბრალია - როგორც ჩანს, **ლუჩანო სპალეტის** გუნდში მართლაც პრობლემებია. თავად განსაჯეთ: „ანდერლეხტს“ ამ მატჩამდე 287-წუთიანი უგოლო სერია ჰქონდა, ამ შეხვედრაშიც მხოლოდ ერთი გაიტანა და მაინც მოიგო. შედეგად, ბელგიელებს ჯერ კიდევ აქვთ მერვედფინალში გასვლის შანსი და სხვათა შორის, „ზენიტზე“ უკეთესი, მაგრამ „მალაგას“ პლეი ოფში ალბათ მაინც „როსონერი“ მიჰყვება - თუ, რა თქმა უნდა, მილანელები სულმთლად არ გამოთაყვანდებიან...

**ლუჩანო სპალეტი („ზენიტის“ მწვრთნელი):** *„მართალია, ფეხბურთელებს ცდა არ დაუკლიათ, მაგრამ ფაქტია, რომ ეს არ იყო „ზენიტის“ საუკეთესო თამაში. გულახდილი ვიქნები და ვიტყვი, რომ სწორედ წაგება დავიმსახურეთ, თუმცა ჯგუფიდან გასვლის შანსი ჯერ კიდევ გვაქვს და ამისათვის ორივე დარჩენილი მატჩის მოგებაა საჭირო.“*

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მალაგა | 4 | 3 | 1 | 0 | 8-1 | 10 |
| 2. მილანი | 4 | 1 | 2 | 1 | 4-4 | 5 |
| 3. ანდერლეხტი | 4 | 1 | 1 | 2 | 1-4 | 4 |
| 4. ზენიტი | 4 | 1 | 0 | 3 | 3-7 | 3 |

### D ჯგუფი

**რეალი-ბორუსია (დ) 2:2**

**გოლები:** 0:1 როისი (28), 1:1 პეპე (34), 1:2 არბელოა (45-საკ. კარში), 2:2 იოზილი (89)

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** მარიო გიოტცე (ბორუსია /დ/)

აქამდე ამის თქმას ვერიდებოდით, ახლა კი აუცილებლად უნდა დავსვათ ეს კითხვა: იქნებ დორტმუნდის „ბორუსია“ ბუნდესლიგაში ძალებს ჩემპიონთა ლიგის სასარგებლოდ ზოგავს? „რეალთან“ ორივე მატჩმა დაგვარწმუნა, რომ ამ მოსაზრებას აქვს არსებობის უფლება. **იურგენ კლოპის** შეგირდებმა „სანტიაგო ბერნაბეუზეც“ ძალიან კარგად ითამაშეს, რაც განსაკუთრებით პირველ ტაიმზე ითქმის, რომელიც გერმანიის ჩემპიონმა მართალია, **არბელოას** ავტო-გოლით, მაგრამ აბსოლუტურად დამსახურებულად მოიგო.

პირველ 45 წუთში „დორტმუნდმა“ „რეალს“ თავისებური თამაში მოახვია - კლოპის ბიჭები ბევრს დარბოდნენ, მოხდენილად კომბინირებდნენ და ლოგიკური გოლებიც გაიტანეს. განსაკუთრებით თვალსასეირო **მარკო როისის** მძლავრი და ზუსტი დარტყმა გახლდათ - მას მართლაც ეფექტური გოლი გამოუვიდა.

მეორე ნახევარში „რეალი“ დომინირებდა, რაც მოსალოდნელიც იყო, მაგრამ მადრიდელებმა ანგარიშის გათანაბრება მხოლოდ 89-ე წუთზეღა მოახერხეს - ჟოზე მოურინიოს გუნდი უსიამოვნო მარცხისგან **მესუთ იოზილმა** იხსნა.

„ბორუსია“ ახლოს იყო ჩემპიონთა ლიგაში 3520-დღიანი პაუზის შემდეგ პირველი გასვლითი მატჩის მოგებისგან, მაგრამ ფაქტია, რომ კლოპის გუნდს „ბერნაბეუდან“ წაღებული ქულაც ძალიან კარგ მიღწევად უნდა ჩაეთვალოს.

**ჟოზე მოურინიო („რეალის“ მწვრთნელი):** *„პირველ ტაიმში ორი უპატიებელი შეცდომა დავუშვით და როცა ისეთ კარგ გუნდს ეთამაშები, როგორიც დორტმუნდის „ბორუსიაა“, ლოგიკურია, რომ ასეთი შეცდომების გამო დაისჯები. კარგია, რომ მეორე ტაიმში აშკარად მოვუმატეთ და აგრესიულებიც გავხდით, მაგრამ სამწუხაროდ მხოლოდ ფრე გადავარჩინეთ.“*

**იურგენ კლოპი („ბორუსიას“ მწვრთნელი):** *„რეალთან“ ზედიზედ ორი დუელის მოგება შეუძლებელია და ჩვენ ასეთ ფანტასტიკურ მიღწევასთან ძალიან ახლოს ვიყავით. ბოლო წუთებში „რეალმა“ უმძიმესი წნეხის ქვეშ მოგვაქცია, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც შეგვეძლო მესამე გოლის გატანა. „რეალთან“ ორი მატჩის ჯამში 4 ქულის ალება ჩვენთვის ბრწყინვალე შედეგია, მაგრამ ახლა ეიფორიის დრო არ არის. მერვედფინალში თამაში ჯერ არ გაგვინაღდებია, წინ კიდევ ორი ურთულესი შეხვედრა გველის.“*

**მანჩესტერ სიტი-აიაქსი 2:2**

**გოლები:** 0:1 ს. დე იონგი (10), 0:2 ს. დე იონგი (17), 1:1 იაია ტურე (22), 2:2 აგუერო (74)

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** სიემ დე იონგი (აიაქსი)

როგორც ჩანს, ჩემპინთა ლიგა არ არის „მანჩესტერ სიტის“ ტურნირი. **რობერტო მანჩინის** გუნდი ევროპის ელიტარულ საკლუბო ლიგას შარშანაც ჯგუფურ ეტაპზე გამოეთიშა და საქმეს ახლაც ასეთი პირი უჩანს: „აიაქსთან“ საშინაო ფრის შემდეგ „სიტი“ ბოლო ადგილზეა და მეორეადგილოსან „რეალს“ ჯგუფური ეტაპის ფინიშამდე ორი ტურით ადრე 5 ქულით ჩამორჩება. თანაც, მანჩინის გუნდმა მომდევნო ტურში „რეალს“ უნდა უმასპინძლოს, ბოლოს კი დორტმუნდში ჩადის.

არ შეიძლება, არ აღვნიშნოთ, რომ მატჩის მიწურულს **სერხიო აგუეროს** წესების სრული დაცვით გატანილი გოლი არ ჩაუთვალეს (მსაჯმა არგენტინელზე თამაშგარე დააფიქსირა). მთლად ასე გადაჭრით ვერ ვიტყვით, მაგრამ **ბალოტელიზე** უხეშობისას „აიაქსის“ კარში პენალტის დანიშვნაც შეიძლებოდა. იტალიელმა მსაჯს, რა თქმა უნდა, ცოცხალ-მკვდარი აგინა, მაგრამ ამან „სიტის“ ვერაფერი მოუტანა - მანჩინის გუნდი ისევ ჯგუფში რჩება.

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბორუსია (დ) | 4 | 2 | 2 | 0 | 6-4 | 8 |
| 2. რეალი | 4 | 2 | 1 | 1 | 10-7 | 7 |
| 3. აიაქსი | 4 | 1 | 1 | 2 | 6-8 | 4 |
| 4. მანჩესტერ სიტი | 4 | 0 | 2 | 2 | 6-9 | 2 |

**გოტფრიდ ლენცი**

რომა



დანიელე დე როსი რომაული დერბისთვის ემზადება

# დე როსიმ ზემანთან კონფლიქტი უარყო

## დერბიში ალბათ ითამაშებს

**დანიელე დე როსიმ** "პალერმოსთან" შეხვედრა გამოტოვა, რამაც "რომას" გულშემატკივრები მეტად შეაშფოთა. იტალიურ სპორტულ პრესაში უმალ დაიწერა იმის შესახებ, რომ **ზდენეკ ზემანსა** და ფეხბურთელს შორის შავმა კატამ გაირბინა. ითქვა იმის შესახებაც, რომ კონფლიქტი დანიელეს "მანჩესტერ სიტიში" შესაძლო გადაბარგებასთან დაკავშირებით წარმოიშვა. საქმე იმაშია, რომ ბოლო პერიოდში, დე როსის ინგლისელებთან მიმდინარე მოლაპარაკების შესახებ აქტიურად იწერება. თუმცა, მსგავსი ცნობები 29 წლის ფეხბურთელმა უარყო და შემდეგი განაცხადა:

*"ზემანთან ყოველთვის კარგი ურთიერთობა მქონდა და ასეა ამჯერადაც. გავრცელებული ცნობები ჩვენ შორის არსებული კონფლიქტის შესახებ, სისულელეა და მეტი არაფერი. "პალერმოსთან" თამაში ტრავმის გამო გამოვტოვე, რომელიც ვარჯიშზე მივიღე და ამის შესახებ განვაცხადე კიდეც. საბედნიეროდ, ტრავმა მსუბუქია და მოედანს უახლოეს მომავალში დავუბრუნდები. კვირას რომაული დერბია და თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, "ლაციოს" წინააღმდეგ აუცილებლად ვითამაშებ".*

დე როსიმ რომაული დერბის შესახებაც ისაუბრა: *"როგორც ყოველთვის, დერბი მძიმე ბრძოლაში ჩაივლის და გამარჯვება მას დარჩება, ვინც დამაგვირგვინებელ ფაზაში მეტ სიზუსტეს გამოიჩენს. ჩვენც და თანაქალაქელებსაც მოგება ჰაერივით გვჭირდება და ამიტომ, შემტევი ფეხბურთის მოლოდინში ვარ. "პალერმოსთან" გამარჯვება უმნიშვნელოვანესი იყო და მთავარია, რომ ტემპი არ დავაგდოთ. მჯერა, რომ გამარჯვება "რომას" დარჩება, განურჩევლად იმისა, დამაყენებს თუ არა მწვრთნელი ძირითად შემადგენლობაში".*

სამპდორია

# ფერარას არაფერი ემუქრება

"სამპდორიამ" სერია A-ს მიმდინარე გათამაშება სამი გამარჯვებით დაიწყო, რასაც ორი ფრე და შემდეგ, წაგებათა მთელი სერია მოჰყვა. შედეგად, გენუურმა გუნდმა პოზიციები დათმო და ცხრილის ქვედა ნაწილში აღმოჩნდა. იტალიურ სპორტულ პრესაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, კლუბის მესვეურები საკადრო ცვლილებებისთვის ემზადებიან, რასაც შესაძლოა სპორტული დირექტორი და მთავარი მწერთნელი შეეწირონ. აქვე აღვნიშნოთ, რომ "სამპაში" სპორტული დირექტორის პოსტი **პასკუალე სენსიბილეს** უკავია, მთავარი მწვრთნელი კი **ჩირო ფერარა** გახლავთ. აღნიშნულ საკითხზე კომენტარი გენუური კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა **ედუარდო გარონემ** გააკეთა და შემდეგი განაცხადა:

*"გავრცელებული ცნობები ჭორია და მეტი არაფერი, რადგან ჩვენ სრულ ნდობას ვუცხადებთ როგორც სპორტულ დირექტირს, ისე მთავარ მწვრთნელს. პირადად მე, მჯერა როგორც სენსიბილესი, ისე ფერარასი და მათ გათავისუფლებას ნამდვილად არ ვაპირებ. მჯერა იმ შემადგენლობის, რომელიც დღეს ფერარას განკარგულებაშია და მთლიანობაში, ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. დარწმუნებული ვარ, კრიზისს მალე დავძლევთ და აღმავლობის გზას დავადგებით".*


ჩირო ფერარას "სამპდორიას" მესვეურები ნდობას უცხადებენ

მილანი

# გალიანი: ნოემბერში ბევრი რამე გაირკვევა

## ჩიგარინი მილანელთა სამიზნეში


ადრიანო გალიანი

"კიევოსთან" დიდი ანგარიშით გამარჯვების შემდეგ, "მილანმა" ცოტა თვალებში გამოიხედა, მაგრამ კრიზისის დაძლევაზე ლაპარაკი ჯერ მაინც ნაადრევია. მით უმეტეს, **მასიმილიანო ალეგრის** შეგირდებმა ჩემპიონთა ლიგაზე ვერ ივარგეს და "მალაგასთან" საკუთარ მოედანზე მხოლოდ ქულას დასჯერდნენ. სწორედ ესპანელებთან არცთუ სახარბიელად ჩატარებულმა მატჩმა გააღვივა საუბრები იმის შესახებ, რომ "მფრინავი ვირების" განადგურება ფრაგმენტული წარმატება იყო და არა რეალური წინსვლის მაჩვენებელი. კლუბის ვიცე-პრეზიდენტი **ადრიანო გალიანი** მიიჩნევს, რომ ნოემბრის თვეში ბევრ კითხვას გაეცემა პასუხი:

*"ნოემბერში ექვსი მატჩი გვიწევს, რომლებიც გაარკვევენ კიდეც თუ რისთვის უნდა ვიბრძოლოთ მიმდინარე სეზონში. ძალიან მნიშვნელოვანი ბატალიები გველოდება როგორც ეროვნულ ჩემპიონატში, ისე ჩემპიონთა ლიგაზე. საბედნიეროდ, რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი გამოჯანმრთელდა, რომლებიც ფორმაში შედიან. თუნდაც ალეშანდრე პატო ავიღოთ, რომელმაც მორიგი ტრავმა მოიშუშა და მასიმილიანო ალეგრის განკარგულებაშია. კარგი დროა იმისთვის, რომ კრიზისი საბოლოოდ დავძლიოთ და აღმავლობის გზას დავადგეთ. ჩვენ ვენდობით ალეგრის და გვჯერა მისი. სხვა ნებისმიერ გუნდში მწვრთნელი უკვე გათავისუფლებული იქნებოდა, მაგრამ ჩვენ მოთმინებით გამოვირჩევით... წლების განმავლობაში, სწორედ ამას მოჰქონდა წარმატება და ტრადიციას არ ვღალატობთ".*

ამასობაში, პრესას "მილანის' ცოცხალი ლეგენდა **პაოლო მალდინი** გაესაუბრა და გუნდში არსებულ ვითარებაზე გააკეთა კომენტარი: *"მილანურ გრანდში იმდენი წელი მაქვს გატარებული, რომ ჩემთვის უჩვეულო სიტუაცია უბრალოდ არ არსებობს. მახსოვს პერიოდები, როდესაც საერთოდ არ მიგვდიოდა თამაში და ყველაფერს ვაგებდით. კარგად მესმის როგორც ალეგრის, ისე თითოეული ფეხბურთელის. მინდა გავამხნევო ისინი და დავარწმუნო იმაში, რომ დაღმასვლას აღმასვლა ცვლის და ეს ყოველთვის ასე იქნება. გუნდი აუცილებლად ათამაშდება და შედეგიც გაუმჯობესდება. მართალია, სკუდეტოს მოპოვების იმედი უკვე აღარ მაქვს, მაგრამ სამეულში მოხვედრაც დიდი საქმე იქნება. ამასთან, ჩემპიონთა ლიგაზე ვასპარეზობთ, სადაც მაქსიმალურად შორს უნდა წავიდეთ".*

'მილანთან" დაკავშირებით სატრანსფერო ცნობა გავრცელდა, რომლის თანახმადაც მასიმილიანო ალეგრი **ლუკა ჩიგარინის** გადაბირებით არის დაინტერესებული. 26 წლის შუახაზელი "ატალანტას" ღირსებას იცავს და გუნდის ერთ-ერთ ლიდერად ითვლება. ჩიგარინის პირადმა აგენტმა **ჯოვანი ბიამ** ეს ინფორმაცია დაადასტურა:

*"ლუკა შესანიშნავად ასპარეზობს და არ მიკვირს, რომ მისით არაერთი გუნდია დაინტერესებული. აქამდე ყველაზე მეტად "ნაპოლის" მესვეურები აქტიურობდნენ, ბოლო დღეებში კი "მილანის" ვარიანტი გამოიკვეთა. ლომბარდიელები ჩიგარინის გადაბირებას ზამთრის სატრანსფერო პერიოდში ფიქრობენ და ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. ჯერჯერობით, თავად ლუკა მხოლოდ "ატალანტაზეა" კონცენტრირებული და სურს, რომ ბერგამოული გუნდის წარმატებაში თავისი წვლილი შეიტანოს".*

ტალანტი

# პერინი ზამთრის მოლოდინში


მატია პერინი

იტალიურ სპორტულ პრესაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, **მატია პერინის** გადაბირებით არაერთი გუნდია დაინტერესებული, როგორც იტალიური, ასევე უცხოური. ყველაზე ხშირად მის "რომაში" შესაძლო გადასვლაზე საუბრობენ, სადაც **ზდენეკ ზემანი** ახალი კიპერის ძიებაშია. საქმე იმაშია, რომ ჩეხ სპეციალისტს დიდად არ მოსწონს **მარტინ სტეკელენბურგი** და ამის შესახებ ერთხელ ღიადაც განაცხადა. აქვე ვთქვათ, რომ მატია პერინი "პესკარას" 19 წლის მეკარეა, რომელსაც დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. ცნობისთვის, მატიას სატრანსფერო უფლებებს "ჯენოა" ფლობს და დაინტერესებულ კლუბებს სწორედ გენუელებთან მოუწევთ ურთიერთობის გარკვევა. აღნიშნულ საკითხზე კომენტარი ფეხბურთელის პირადმა აგენტმა **მატეო როგიმ** გააკეთა:

*"მატია ძალიან კარგად თამაშობს და არ მიკვირს, რომ მისით არაერთი გუნდი იჩენს ინტერესს. თუმცა, კონკრეტული წინადადებით ჯერ მხოლოდ ორმა გუნდმა მოგვმართა და ორივე უცხოური გახლავთ. დიახ,. იტალიური კლუბები ჯერ არ აქტიურობენ და ვნახოთ, შეიცვლება თუ არა ამ მხრივ რამე. "რომას' დაინტერესების შესახებ მსმენია, მეტიც, ეს ინფორმაცია სანდო წყაროდან მაქვს, მაგრამ ფაქტია, რომ კონტაქტზე არავინ გამოსულა. რაც შეეხება უცხოურ ვარიანტებს, შემოთავაზებები გერმანიიდან და ინგლისიდან იყო, თუმცა გუნდების დასახელებისგან თავს შევიკავებ".*

მოსაზრება

# მოჯიმ ფავორიტად იუვე შერაცხა

გასულ უქმეებზე გამართულ დიდ იტალიურ დერბის "იუვენტუსის" ყოფილი გენერალური დირექტორი, "მისტერ კალჩოპოლი" **ლუჩანო მოჯი** გამოეხმაურა. ტრადიციულად, საინტერესო მოსაზრებები აფრქვია და საფეხბურთო იტალიის ყურადღება მიიპყრო:

*"დიდი იტალიური დერბი ძალიან საინტერესოდ წარიმართა და ლოგიკური შედეგით დასულდა. "ინტერმა" დამსახურებულად გაიმარჯვა და დაგვანახვა, რომ "იუვენტუსის' დამარცხება შესაძლებელია. თუმცა, აქვე უნდა ვაღიარო, რომ ანტონიო კონტეს "იუვენტუსი" ძალიან მომწონს და ვთვლი, რომ იტალიაში საუკეთესო გუნდია. რაც შეეხება "ინტერს", მიუხედავად გამარჯვებათა შთამბეჭდავი სერიისა, თამაშში ბევრი ხარვეზი შეინიშნება, რომლებზეც ანდრეა სტრამაჩონის მართებს მუშაობა. პირველ რიგში, ახალგაზრდა მწვრთნელმა უნდა ირწმუნოს, რომ დიდი მიზნების მიღწევა შეუძლია - ჯერ არც ერთი ტიტული არ აქვს მოგებული და პირველ რიგში, სწორედ საკუთარ თავს უნდა აჯობოს. შეძლებს თუ არა "ინტერი" სკუდეტოსთვის ბრძოლას? - არა მგონია. "იუვე" გაცილებით ძლიერია და ეს მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტულად დერბიში "ინტერმა" უკეთესი შთაბეჭდილება დატოვა. ვფიქრობ, მიმდინარე სეზონში "ბიანკონერი" ჩემპიონი გახდება, "ინტერი" კი ალბათ სამეულში მოხვდება. დიახ, ალბათ, რადგან "ნაპოლის", "ფიორენტინას", "ლაციოს" და "რომას" არ სძინავთ".*

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**


ლუჩანო მოჯი

საფეხბურთო რადიკალიზმი

# როგორი გახდა ჩვენი ფეხბურთი





ბრიტანული საზოგადოება აღშფოთებულია არსენალის ვაიგულშემატკივრის საქციელით

**"დეილი მეილის" ჟურნალისტმა მარტინ დონიმმა სკანდალური მასალა გამოაქვეყნა, სადაც კადრს მიღმა მდგომი "არსენალის" გულშემატკივარი თავის შვილს რობინ ვან პერსის შეურაცხმყოფელ ყოვლად ამაზრზენ სიმღერებს ასწავლის. შოკი – აი, როგორ შეაფასა ბრიტანულმა საზოგადოებამ იუთუბზე გამოქვეყნებული ვიდეო.**

სამი წლის ანგელოზი სიხარულით ასრულებს საშინელ სიმღერას ძალადობაზე, სადაც აღმატებული ტონით ისმის სიტყვა ###, ისე თითქოს საბავშვო სიმღერა იყოს. მსგავსი რამ ძალიან ცუდ ხასიათზე მაყენებს, რადგან ფეხბურთი ნელ-ნელა ეშვება უზრდელობისა და გულისრევის ჭაობში და მგონია, რომ ეს არის და მას სრულად გადაყლაპავს. პატარა კაის (ვიდეოს "მთავარი გმირი". რედ) ორმოცფუნტიან მაისურში და ყელსაბამში ამ ჭაობისგან თავის დაღწევის შანსიც კი არასოდეს ჰქონია აქამდე.

უცბად სიბრაზემ და იმედგაცრუებამ შემიპყრო. რა ხდება ამ ფეხბურთის თავს? ჩვენი თამაშის? არ ვაპირებ მისი მონაწილე ვიყო. რამ აიძულა ადამიანი შვილისთვის ეს სიმღერა ესწავლებინა, რომელიც ფეხბურთელს ასეთ მძიმე ბრალდებებს უყენებს? ნამდვილად არ მაქვს წარმოდგენა, რა უნდა მომხდარიყო. შეიძლება თუ არა ამ უტვინო იდიოტს, ვისაც თავისი თავი მამა ჰგონია, მსგავსი სიძულვილი ამოძრავებდეს რობინ ვან პერსის მიმართ, რომ თავისი შვილით ასე მანიპულირებდეს? კიდევ მაშინებს ის, თუ რატომ მიიჩნევს კეთილ საქმედ მისი საყვარელი გუნდის ყოფილი კაპიტნის ლანძღვას, ვინც თავისი ელემენტარული უფლება გამოიყენა და კარიერა სხვა კლუბში განაგრძო?

ყველაზე ცუდი კი ყველაზე გვიან გავაცნობიერე: ამ ტვინარეულ სულელს არ ჰგონია, რომ ცუდი საქციელი ჩაიდინა. ის ალბათ ფიქრობს, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ ხუმრობაა. ამას გარდა, შემიძლია ვთქვა, რომ ეს ადამიანი ნამდვილი მშიშარაა. ის არ ჩნდება კადრში, მაშინ, როცა მისი შვილი სავარძელში ხტუნაობს, მღერის და ასეთ საზიზღარ სიტყვებს წვალებით გამოთქვამს. ამ შემთხვევაში ბავშვი დამნაშავე ნამდვილად არ არის. საბრალო კაიმ ალბათ არც იცის, რას მღერის.

აი, ასეთია ჩვენი ფეხბურთი? გასართობი სულაც არ არის, როცა ოდესმე პატარას პირველად სტადიონზე წაიყვან, უყიდი მაისურს, სამაგიეროდ კი მერე უდანაშაულო არსებას ღვარძლით სავსე სიმღერებს ასწავლი. იმედია, რომ ფეხბურთი ასეთი არ არის, მაგრამ იმედმა, რომ სხვანაირია, კიდევ ერთი გემრიელი პანღური მიიღო უკანალში.

მანჩესტერ სიტი

# უეფა: არანაირი დისკვალიფიკაცია

შაბათს "მანჩესტერ სიტიმ"-"აიაქსს" უმასპინძლა. შეხვედრა 2:2 დასრულდა. პრაქტიკულად უკვე გარკვეულია, რომ ინგლისის ჩემპიონი ჯგუფურ ეტაპზე ჩარჩა. მატჩის დასრულების შემდეგ **რობერტო მანჩინი** არბიტრ **პეტერ რასმუსენს** საქმის გასარჩევად მიეჭრა. მართალია, დანიელის მოქმედებები მის კომპეტენციაში დაეჭვების საფუძველს იძლეოდა, მაგრამ უეფა მსაჯებთან მსგავს დამოკიდებულებას მაინც ყველას უკრძალავს. *"ნამდვილად არ დამინახავს, თუ რა მოხდა მარიო ბალოტელის ეპიზოდში, მაგრამ არბიტრს მაინც ვუთხარი, რომ მან აშკარა გოლი გაგვიუქმა. მთავარი მსაჯი და მისი ასისტენტები ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებდნენ,"* – განაცხადა მანჩინიმ.

აღსანიშნავია, რომ სწორედ მსგავსი გამონათქვამების გამო შარშან "არსენალის" მთავარ მწვრთნელ **არსენ ვენგერს** ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია მისცეს. ასე რომ, ლოგიკური იქნებოდა, უეფას "ქალაქელთა" მთავარი მწვრთნელის დასჯაზე ეზრუნა, მაგრამ როგორც აღმოჩნდა ციურიხის ოფისში ამას არ გეგმავენ. არგუმენტაცია ისეთია, რომლის მოტანაც მხოლოდ ამ ორგანიზაციაში შეუძლიათ, თურმე პეტერ რასმუსენს მატჩის ოქმში მანჩინის უხეშად მიმართვაზე არაფერი ჩაუწერია. ბრიტანული ვებგვერდები იმაზეც ამახვილებენ ყურადღებას, რომ გაბრაზებული იტალიელის მსხვერპლი მსაჯების გარდა კინაღამ ერთი ოპერატორიც შეიქმნა, ვისაც მანჩინიმ კატეგორიული ტონით მოსთხოვა გადაღების შეწყვეტა, იმ მოტივით, რომ ეს ფეხბურთი იყო და არა დოკუმენტური ფილმი მის ცხოვრებაზე.

"დეილი მეილი" ვეტერან ინგლისელ არბიტრ **გრემ პოლს** დაუკავშირდა და კომენტარი სთხოვა. პოლის თქმით, მანჩინის ტონი, რომლითაც ის რასმუსენს ელაპარაკა, დისკვალიფიკაციის საფუძველი შეიძლებოდა გამხდარიყო, რადგან მიუხედავად იმისა, რამდენად გაბრაზებულია პიროვნება, გუნდის ნებისმიერი წარმომადგენელი ვალდებულია, ნერვები მოთოკოს.

## ბალოტელი შობას ინგლისში გაატარებს

**მარიო ბალოტელის** ყოფილი მეგობარი გოგონა **რაფაელა ფიკო** 22 წლის ფეხბურთელისგან შვილს რომ ელოდება, ჩვენი გაზეთის მკითხველმა ალბათ უკვე იცის. რაფაელა და მარიო ბავშვის ერთობლივ მეურვეობაზე წინდაწინ შეთანხმდნენ. "სიტის" უმთავრესი სკანდალისტი შვილს შობის დღეებში ელოდება. იტალიურმა გაზეთებმა ერთი ამბავი ატეხეს, მარიო რამდენიმე დღეს მაინც სამშობლოში გაატარებსო, მაგრამ "ქალაქელთა" პრესსამსახურის წარმომადგენელმა ინფორმაცია უარყო: *"მარიოს კლუბის ხელმძღვანელობისთვის შობის დღეებში გათავისუფლების თხოვნით არ მიუმართავს. ასე რომ, საიდან მოიტანა იტალიურმა მასმედიამ ეს ამბავი ვერ გეტყვით".* ვეჭვობთ, ბალოტელიმ მსგავსი რამ მანჩესტერელებს რომ სთხოვოს, ამისგან რამე გამოვიდეს, რადგან სწორედ შობისა და ახალი წლის დღეებშია ინგლისური ფეხბურთი ყველაზე დატვირთული. 10 დღის განმავლობაში პრემიერლიგელებს 4 ტურის ჩატარება მოუწევთ.




რობერტო მანჩინი აიაქსთან მატჩის შემდეგ ყველას ეჩხუბა

არსენალი

# უოლკოტის იმედები



თეო უოლკოტი ძირითადში დაბრუნებას აშკარად იმსახურებს

"შალკესთან" ჩემპიონთა ლიგაში 2:2-ის დასრულების შემდეგ "არსენალის" 23 წლის თავდამსხმელმა **თეო უოლკოტმა** განაცხადა, რომ მას იმედი აქვს, რომ **არსენ ვენგერი** ამის მერე მაინც ინებებს ძირითად შემადგენლობაში უფრო ხშირად მის დაყენებას. აი, რა უთხრა ფეხბურთელმა "გარდიანს": *"ერთადერთი რაც ამ ეტაპზე მჭირდება, ძირითად შემადგენლობაში თამაშია. ვფიქრობ, რომ ამას 100%-ით ვიმსახურებ. "შალკესთან" შეხვედრაზე კი იმას ვიტყოდი, რომ შედეგი დამაკმაყოფილებელია. ცხადია, უკეთესი იქნებოდა 3 ქულა რომ აგველო, მაგრამ მაინც არა უშავს".*

აქვე გეტყვით, რომ მიმდინარე სეზონში უოლკოტმა შეცვლაზე 8-ჯერ ითამაშა და 2-ჯერ მოახერხა თავის გამოჩენა. სულ კი მის ანგარიშზე 15 შეხვედრაში 8 გოლი და 5 საგოლე გადაცემაა.

## სანტოსის ნაცვლად კოენტრაუ

უკანასკნელი, ვინც "არსენალის" 29 წლის ბრაზილიელი მცველი **ანდრე სანტოსი რობინ ვან პერსისთან** მაისურის უდროო დროს გაცვლისთვის გააკრიტიკა, "მეთოფეთა" მთავარი მწვრთნელი გახლდათ. ვენგერმა შეგირდის ამ საქციელს უბრალოდ მიულებელი უწოდა. სხვები კი ფიქრობენ, რომ ანდრე არც აქამდე იმსახურებდა "არსენალის" რიგებში თამაშს, ხოლო ამის მერე მას მორალური უფლებაც კი არ აქვს, რომ "ემირიტსზე" დარჩეს. რაც ყველაზე მთავარია, მის მიმართ ფანების განწყობა თვალის დახამხამებაში გაფუჭდა. ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ ბრაზილიელი იანვარში გუნდს დატოვებს. ის კარიერას ალბათ თურქეთის ჩემპიონატში განაგრძობს. Goal.com–ის ინფორმაციით, მისით "ფენერბაჰჩეა" დაინტერესებული. ბრაზილიური გაზეთები წერენ, რომ ფეხბურთელი შესაძლოა სამშობლოში დაბრუნდეს. არსებობს ვერსია, რომ სანტოსის მაგივრად ლონდონელებმა "რეალიდან" **ფაბიო კოენტრაუ** გადაიბირონ, ვისაც **ჟოზე მოურინიოსთან** ურთიერთობა გაუფუჭდა და მადრიდში აღარ დაედგომება. თუკი 24 წლის პორტუგალიელი "ემირიტსზე" გადავიდა, ინგლისის ნაკრების მცველ **კირან გიბსს** ტრავმებთან ერთად უთამაშებლობაც დაემუქრება.

ამბები

## დიდიე დროგბა ჩინეთში რჩება



ფიფას ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, [illegible]რისა და "შანხაი შენხუას" 34 წლის თავდამსხმელი **დიდიე დროგბა** ჩინეთში ერთ წელიწადს კიდევ გაატარებს. ფეხბურთელსა და მის გუნდს წელს საქმეები დიდად არ წაუვიდათ. 30 შეხვედრაში აღებული 38 ქულით მათ სუპერლიგაში მე-9 ადგილი დაიკავეს, თუმცა დროგბას პირად სტატისტიკას, 11 შეხვედრაში გატანილი 8 გოლი, ცუდი ნამდვილად არ ეთქმის. ინგლისური ვებგვერდები წერდნენ, რომ რიგი მიზეზების გამო დიდიე აზიას სეზონის დასრულებისთანავე დატოვებდა. ჩინეთის ჩემპიონატის ბოლო ტური 3 ნოემბერს გაიმართა. "ჩელსის" ყოფილმა ვარსკვლავმა მიზანშეწონილად მიიჩნია, კომენტარი გაეკეთებინა საკუთარ გეგმებთან დაკავშირებით. აი, რა თქვა მან: *"სამწუხაროდ, ობიექტური მიზეზების გამო, "შენხუას" გვიან შევუერთდი. მოსამზადებელი ციკლი გუნდთან ერთად არ გამივლია, ასე რომ, შედეგიც არადამაკმაყოფილებელია. იმედია, ხელს არაფერი შემიშლის, რომ გუნდთან ერთად მომდევნო სეზონის დასაწყისშივე ვივარჯიშო".*

## ჩაბი ალონსო უკან ბრუნდება

ინგლისური სპორტული ვებგვერდები ბოლო ხანს სულ უფრო ხშირად წერენ, რომ მადრიდის "რეალის" 30 წლის საყრდენი ნახევარმცველი **ჩაბი ალონსო** "სამეფო კლუბთან" კონტრაქტს აღარ გააგრძელებს და სათამაშოდ ინგლისს დაუბრუნდება. მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონს ხელშეკრულება 2014 წლის 30 ივნისს უმთავრდება. "სანტიაგო ბერნაბეუს" მკვიდრებმა დაადასტურეს, რომ ფეხბურთელთან ახალ კონტრაქტზე მოლაპარაკებების დაწყებას მიმდინარე სეზონის დასრულებამდე არ აპირებენ. „დეილი მირორის" ჟურნალისტების ვარაუდით, ალონსოსთვის ყველაზე რეალური "არსენალისა" და "ჩელსის" ვარიანტები უნდა იყოს. შეგახსენებთ, რომ ჩაბი 2004/09 წლებში "ლივერპულის" ღირსებას იცავდა.

## სამგზის უარი განსაკუთრებულს

"ლივერპულის" 32 წლის კაპიტნის **სტივენ ჯერარდის** განცხადებით, მან სამჯერ უთხრა უარი **ჟოზე მოურინოს** კონტრაქტზე მიუხედავად იმისა, რომ არასოდეს დაუმალავს აღფრთოვანება მისი სამწვრთნელო ნიჭით. პირველად ეს 2004 წელს მოხდა, როცა პორტუგალიელი მას "ჩელსიში" უხმობდა. სტივი მაშინ სერიოზულად ფიქრობდა, მიეღო თუ არა ლონდონელთა წინადადება, მაგრამ ბოლოს უარი თქვა, *"მგონი, არავისთვის არის სიურპრიზი, რომ ყოველთვის მინდოდა ჟოზე მოურინიოს ხელმძღვანელობით მეთამაშა. პირველად როცა მომმართა, დავფიქრდი, მაგრამ "ლივერპულისადმი" სიყვარულმა ყველაფერს სძლია. ჩემი გუნდი მაშინ კრიზისში იყო, ასე რომ, დაფიქრების საფუძველი ნამდვილად მქონდა. ერთი წლის მერე კიდევ ერთხელ ვთქვი კონტრაქტზე უარი. მესამედ კი მან თანამშრომლობა მაშინ შემომთავაზა, როცა "რეალი" ჩაიბარა. ხშირად მინახავს ფეხბურთელები, რომელთაც ხმაურიანად დაუტოვებიათ თავიანთი გუნდები "რეალის" ან "ბარსას" გამო, მაგრამ არასოდეს ვყოფილვარ მათი ღირებულებების გამზიარებელი. გარწმუნებთ, მსგავსი რამ ჩემს თავს არასოდეს მოხდება,"* – აცხადებს სტივენ ჯერარდი.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ინტერვიუ. რონალდო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აღიარებაზე ყველა ფეხბურთელი ოცნებობს



**ლუის ნაზარიო დე ლიმა, იგივე რონალდო, რომელიც ახლა მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტში მუშაობს, ფიფას წლის საუკეთესო ფეხბურთელი სამჯერ გახდა (1996, 1997, 2002 წლებში).
ფიფას ოფიციალური საიტი, 36 წლის ყოფილ ფეხბურთელს, სწორედ 2012 წლის ოქროს ბურთის ნომინანტებზე და ფეხბურთელისთვის ამ პრიზის მოგების მნიშვნელობაზე გაესაუბრა. გარდა ამისა, "ფენომენმა" გაიხსენა ის ფეხბურთელები, რომლებიც ამ პრიზს იმსახურებდნენ, მაგრამ არასდროს მოუგიათ.
წლევანდელი ფიფას ოქრის ბურთის მფლობელის ვინაობას 2013 წლის 7 იანვარს, ციურიხში გასამართ დაჯილდოვების ცერემონიაზე შევიტყობთ.**

**- როდესაც ფეხბურთელი იყავით, ოქროს ბურთის მფლობელის ვინაობა წლის ამ პერიოდში ირკვეოდა. ანიჭებდით თუ არა ამ პრიზს დიდ მნიშვნელობას?**

- ყველა ფეხბურთელს სურს, რომ მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშე გახდეს. მართალია, ყოველ წელს მხოლოდ ერთი გამარჯვებული შეიძლება იყოს, თუმცა მიუხედავად ამისა, ასეთ აღიარებაზე ყველა ოცნებობს. ეს პრიზი მთელი წლის განმავლობაში გაწეული შრომის შეჯამებაა. თუ შენ კარგად თამაშობდი, გოლებს იტანდი, ტიტულებს იგებდი და გუნდისთვის მნიშვნელოვანი ფეხბურთელი იყავი, წლის ბოლოს, ოქროს ბურთის მოგების იმედიც გაქვს. ძალიან ბევრი კრიტერიუმი არსებობს, რომელთა შეჯამებითაც წლის საუკეთესო ფეხბურთელის ვინაობა ირკვევა.

**- 1996 წელს მოგებულმა წლის საუკეთესო ფეხბურთელის ტიტულმა თქვენს კარიერაზე დიდი გავლენა მოახდინა?**

- პირველი ტუტული მართლაც განსაკუთრებული იყო. ასეთი პრიზის მოგების შემდეგ, ოპონენტებიც უფრო მეტად გაფასებენ და პასუხისმგებლობაც იზრდება, თუმცა პირადად ჩემზე, გაზრდილი ზეწოლა ყოველთვის კარგად მოქმედებდა, რადგან ზედმეტი პასუხისმგებლობა მოტივაციას მმატებდა, უფრო მეტს ვშრომობდი და კიდევ უფრო კარგად ვთამაშობდი.

**- 1996 წლის დასაწყისში "პსვ ეინდჰოვენში" თამაშობდით, ზაფხულში ოლიმპიადაზე იასპარეზეთ, შემდეგ "ბარსელონაში" გადახვედით და ბოლოს წლის საუკეთესო ფეხბურთელიც გახდით. მიგაჩნიათ, რომ ყველაზე მეტად, სწორედ ამ წელს შეიცვალა თქვენი ცხოვრება?**

- მართლაც საოცარი წელი იყო. მიუხედავად იმისა, რომ "პსვ ეინდჰოვენში" მუდმივად ვთამაშობდი და გოლებიც გამქონდა, ბრაზილიის ნაკრების მუდმივ წევრად მაინც არ ვითვლებოდი. ზაფხულში კი "ბარსელონაში" გადავედი და ყველაფერი შეიცვალა. ამ წელს მართლაც ბევრი რამ შეიცვალა და მეც მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებამ მომიწია, რადგან კლუბის და ქვეყნის შეცვლა იოლი არ არის. საბედნიეროდ, "ბარსელონაში" ძალიან კარგად მიმიღეს და მხოლოდ ფეხბურთზე კონცენტრაციის საშუალება მომცეს.

**- 2002 წელს უმძიმესი ტრავმა მოირჩინეთ, მსოფლიოს ჩემპიონი გახდით და წლის ბოლოს საუკეთესო ფეხბურთელის ტიტული მესამედ მოიგეთ...**

- ტრავმის შემდეგ დაბრუნება და წლის ბოლოს საუკეთესო მოთამაშის პრიზის მოგება მართლაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო. მძიმე ტრავმის შემდეგ, რომლის გამოც წელიწად-ნახევარი გამიცდა, მსოფლიოს ჩემპიონატზე გამგზავრების საშუალება მომეცა, სადაც კარგად ვითამაშე, საუკეთესო ბომბარდირიც გავხდი და წლის ბოლოს ინდივიდუალური აღიარებაც დავიმსახურე. 2002 წლის პრიზი უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე პირველი, რადგან ძალიან ბევრი სირთულის გადალახვამ მომიწია.

**- განსაკუთრებული დაპირისპირება ხომ არ გქონდათ რომელიმე ფეხბურთელთან, მაგალითად ზინედინ ზიდანთან, რომელმაც წლის საუკეთესო ფეხბურთელის ტიტული ასევე სამჯერ მოგო?**

- ჩემი აზრით, მაშინ კონკურენცია უფრო დიდი იყო. დღეს ტიტულისთვის მესი და კრიშტიანო რონალდო იბრძვიან, ჩემს დროს კი პრეტენზიას ზინედინ ზიდანი, რივალდო, ლუიშ ფიგუ, მე, მოგვიანებით კი რონალდინიო ვაცხადებდით... თუ ვინმე ამ ტიტულს იგებდა, ის ამას იმსახურებდა. როდესაც ზიდანი ხდებოდა გამარჯვებული, წლის განმავლობაში საუკეთესო უდავოდ ის იყო.

**- თქვენ წლების განმავლობაში ძალიან ბევრი ისეთი ვარსკვლავის გვერდით გითამაშიათ, ვისაც ეს პრიზი მოგებული აქვს. შეგიძლიათ გამოარჩიოთ რომელიმე მოთამაშე, რომელიც წლის საუკეთესო ფეხბურთელის ტიტულს იმსახურებდა, მაგრამ ეს პრიზი არასდროს მოუგია?**

- ფეხბურთი სპორტის არა ინდივიდუალური, არამედ გუნდური სახეობაა და კოლექტივს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. არიან ფეხბურთელები, რომლებიც წლების განმავლობაში სტაბილურად კარგად ასპარეზობენ, საკუთარი გუნდისთვის უდიდეს ძალას წარმოადგენენ, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო, ინდივიდუალურ პრიზებს ვერ იგებენ. მაგალითად: პაოლო მალდინი, რომელიც საუკეთესო მცველი იყო იმათგან, ვინც კი ოდესმე მინახავს და ვის წინააღმდეგაც მითამაშია. ის ამ ტიტულს რამოდენიმეჯერ იმსახურებდა, მაგრამ სამწუხაროდ ინდივიდუალურ პრიზებს, უმეტესად შემტევი ფეხბურთელები იგებენ, რადგან გულშემატკივრებს გოლების და ფინტების ნახვა სურთ.

**- ევროპის მიღმა მოთამაშე ფეხბურთელებისთვის ხმის მიღება რთულია?**

- ფეხბურთი, ზოგადად კარგად არის დაბალანსებული, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ საუკეთესო ფეხბურთელები ევროპაში თამაშობენ და სწორედ ევროპული ფეხბურთი არის პირველ ადგილზე, შესაბამისად ბუნებრივიც არის ის, რომ მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშე, ევროპულ კლუბებში მოასპარეზე ფეხბურთელებიდან ირკვევა

**- თქვენი აზრით, ნეიმარის მსოფლიოში საუკეთესო ფეხბურთელების გვერდით დაყენება შეიძლება?**

- ნეიმარი ძალიან ნიჭიერი ფეხბურთელია. მე ადრეც ვთქვი, რომ ის სათამაშოდ ევროპაში უნდა ჩამოვიდეს და საკუთარი შესაძლებლობები აქ დაამტკიცოს. ადრე თუ გვიან ეს აუცილებლად მოხდება – ის ევროპულ კლუბში მოეწყობა და ოქროს ბურთის მოგების რეალური კანდიდატიც იქნება.

**- ისიც თქვენსავით ახალგაზრდულ ასაკში მოხვდა ბრაზილიის ნაკრებში და მისგან უკვე საკმაოდ ბევრს ელიან. რას ურჩევდით მას?**

- განსაკუთრებულს ვერაფერს ვურჩევ, რადგან ის ყველაფერს სწორად აკეთებს. ნეიმარი ბევრს შრომობს, დისციპლინას იცავს და ბოლომდე ფეხბურთის თამაშზეა კონცენტრირებული. დარწმუნებული ვარ, რომ ადრე თუ გვიან ის ევროპაში ითამაშებს და მთელ მსოფლიოს დაუმტკიცებს იმას, რომ ბრაზილიელებს, ნიჭიერი ფეხბურთელების გაზრდა ჯერ კიდევ შეგვიძლია.

**- წლევანდელ ოქროს ბურთს ვის გადასცემდით და რატომ?**

- პრიზისთვის წელსაც მესი და რონალდო იბრძოლებენ. ტიტულს ინიესტა და ჩავიც იმსახურებენ, მაგრამ იმის გამო, რომ ისინი ნახევარმცველები არიან, მათი შანსი შედარებით მცირეა. მე ჩემს ხმას მესის მივცემდი – გარდა იმისა, რომ მას ბევრი გოლი გააქვს და ტიტულებს იგებს, მესი მოედანზე სასწაულებს სჩადის, ის ნამდვილი ჯადოქარია. რონალდო ძალიან ტექნიკური, ძლიერი და პრაგმატული მოთამაშეა, მაგრამ მესი უფრო მაღლა დგას და რაც უფრო მნიშვნელოვანია, ის წლიდან წლამდე ახერხებს ყველას გაოცებას.

**- წლის საუკეთესო მწვრთნელად ვის დაასახელებდით?**

- ჩემს ხმას მოურინიოს მივცემდი. ის საოცარი ტაქტიკოსია, შესანიშნავად გეგმავს გუნდის თამაშს და ძალიან კარგი სავარჯიშო მეთოდები აქვს. იოლი ნამდვილად არ არის, ყოველდღე ასე კარგად გაუმკლავდე 25 ვარსკვლავს და გუნდში ყოველი მათგანი ბედნიერი გყავდეს.

**- ქალთა ფეხბურთზე რას იტყოდით?**

- მინდა რომ მარტამ მოიგოს (იცინის). რამდენი ტიტული აქვს, ხუთი ხომ? ჰოდა, მსურს, რომ მეექვსედაც გაიმარჯვოს, ამიტომ ჩემ ხმას მარტას მივცემდი.

**- სიმბოლურ ნაკრებსაც მივადექით. რომელ 11 ფეხბურთელს შეარჩევდით?**

- კარში აუცილებლად კასილიასი იდგებოდა. დაცვაში დანიელ ალვეშს, სერხიო რამოსს და ჯონ ტერის დავაყენებდი. მარცხენა მცველად კი... რობერტო კარლოსს (იცინის), მარცხენა მცველად მარსელოს ვათამაშებდი. ნახევარდაცვაში იქნებოდნენ ჩავი, ინიესტა და ლამპარდი. შეტევაში კი მესი, რონალდო და ნეიმარი.

**- თქვენი სათამაშო კარიერის დროს პუშკაშის პრიზი რომ ყოფილიყო, თქვენი რომელი გოლი მოიგებდა ამ ტიტულს?**

- ალბათ გოლი, რომელიც "ბარსელონაში" თამაშის დროს "კომპოსტელას" გავუტანე. ჩემი აზრით, ის გოლი ამ პრიზს ნამდვილად მოიგებდა.

**- მსოფლიოს ჩემპიონატზე გატანილი გოლებიდან, რომელია საუკეთესო?**

- ალბათ, 2002 წლის ჩემპიონატის ფინალში, გერმანიის კარში გატანილი მეორე გოლი.

ამბები

## ჩელსიმ ულასი შეიძინა

ბრაზილიური "გლობოს" ცნობით, ლონდონის "ჩელსიმ" 5.5 მილიონ ევროდ, "ფლუმინენსეს" ახალგაზრდა მარჯვენა მცველი **ულასი** შეიძინა. "არისტოკრატები" ფეხბურთელზე უფლებათა 40 პროცენტს ისედაც ფლობდნენ, ახლა კი მოთამაშის მთლიანად გამოსყიდვა განიზრახეს. ბრაზილიის 20-წლამდელთა ნაკრების წევრი, ლონდონელებს 2013 წლის ივნისში უნდა შეუერთდეს.

18 წლის ულასი "ფლუმინენსეს" ძირითადი შემადგენლობის წევრია და ბრაზილიის სერია A-ს ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ ფეხბურთელად მიიჩნევა. ის იმ ბრაზილიის 17-წლამდელთა ნაკრების წევრი იყო, სადაც ამჟამად უკვე "ჩელსის" ფეხბურთელი **ლუკას პიაზონი** თამაშობდა. ულასმა ამ სეზონის სერია ა-ში 16 თამაშში 1 გოლი გაიტანა, სულ კი "ფლუს" რიგებში 23 მატჩი აქვს ჩატარებული.

## ჟილბერტო სილვა ატლეტიკო მინეიროში ბრუნდება

"გრემიოს" ვეტერანი ფეხბურთელი **ჟილბერტო სილვა** "ატლეტიკო მინეიროში" ბრუნდება. ეს ინფორმაცია პრესას "გრემიოს" ახალმა სპორტულმა დირექტორმა **რუი კოშტამ** გაანდო: *"ოთხშაბათს მითხრეს, რომ ჟილბერტო "ატლეტიკოში" დაბრუნებას აპირებს. ჩვენ პატივს ვცემთ მის გადაწყვეტილებას და იმედი გვაქვს, რომ ახალ კლუბში ბედნიერი იქნება".*

36 წლის ფეხბურთელი "გრემიოში" ბერძნული "ოლიმპიაკოსიდან" 2011 წელს გადავიდა და წელს სერია A-ში, ცენტრალური მცველის პოზიციაზე 26 მატჩიც ჩაატარა. ბრაზილიის ნაკრების ყოფილი წევრი, რომელიც "სელესაოსთან" ერთად 2002 წელს მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, "ატლეტიკო მინეიროში", ლონდონის "არსენალში" გადასვლამდე თამაშობდა და ამ გუნდში 62 შეხვედრაშიც ითამაშა.

## პასტორე რონალდოს ტრანსფერს მიესალმება

ზაგრების "დინამოსთან" მოპოვებული შთამბეჭდავი გამარჯვების შემდეგ, "პარი სენ ჟერმენის" არგენტინელმა შემტევმა ნახევარმცველმა, **ხავიერ პასტორემ** პრესასთან პარიზულ გუნდში **კრიშტიანო რონალდოს** შესაძლო ტრანსფერზე ისაუბრა: *"რონალდო მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია. ის ამას ყოველ შეხვედრაში ამტკიცებს. თუ კრისტიანო ჩვენთან გადმოვა, ეს შესანიშნავი ამბავი იქნება ჩვენი კლუბისთვის და თითოეული ფეხბურთელისთვის. პირადად მე მის ტრანსფერს მხოლოდ მივესალმები".*

გვერდი მოამზადა
**ტატო ბაციკაძემ**

# ქართული სპორტი

## სპორტის სამინისტროში

# შეხვედრები ფედერაციებთან

**საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ლევან ყიფიანმა შეპირებისამებრ ეროვნულ ფედერაციებთან შეხვედრები და გულახდილი დიალოგი დაიწყო.**

პირველი შეხვედრა მინისტრმა ჭადრაკის ფედერაციასთან გამართა, რომელსაც ესწრებოდნენ მინისტრის პირველი მოადგილე **ზურაბ აზმაიფარაშვილი**, მოადგილეები - **თამაზ თევზაძე** და **რატი ბრეგაძე**, სპორტის დეპარტამენტის უფროსი **ირაკლი დოლაბერიძე**, ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონი **ნონა გაფრინდაშვილი**, ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი **გია გიორგაძე.** განიხილეს ჭადრაკისთვის საჭირბოროტო საკითხები, პერსპექტივები, 2013 წლის ბიუჯეტი. შეხვედრაზე გადაწყდა, რომ დაიწყება ჭადრაკის განვითარების სახელმწიფო პროგრამაზე მუშაობა.

■ ■ ■

**გუშინ** ლევან ყიფიანი სამინისტროს სხვა ხელმძღვანელებთან ერთად საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტ **გიორგი ნიჟარაძეს** შეხვდა. ისაუბრეს ქართული რაგბის სადღეისო მდგომარეობასა და განვითარების პერსპექტივებზე. მინისტრმა რაგბის კავშირს, როგორც ერთ-ერთ წარმატებულ ფედერაციას, ყოველმხრივი ხელშეწყობა და დახმარება აღუთქვა დღემდე არსებული პროექტების განსახორციელებლად.

**ვაჟა დანელია**

## თავისუფალი ჭიდაობა

# მეზობლური წარმატება

**განვლილ უქმეებზე ქართველი თავისუფალი სტილით მოჭიდავეები წარმატებით გამოვიდნენ სომხეთსა და აზერბაიჯანში გამართულ საერთაშორისო ტურნირებში.**

ერევანში 1993-96 წლებში დაბადებულმა ახალგაზრდებმა იასპარეზეს ყარაბაღის ომში დაღუპული გმირის - ვაჰან ზატიკიანის ხსოვნის მემორიალში. იქ ჩვენგან სამი გუნდი წავიდა - თბილისის, ქუთაისისა და აჭარის და სამივემ ბლომად მედალი მოიხვეჭა. თბილისელთა მონაგარი, რომლებსაც **თენგიზ ლამბაშიძე** და **ელგუჯა ქობესაშვილი** წვრთნიან, 6 მედალია - 1 ოქრო და 5 ბრინჯაო. ჩემპიონი **ბუჭია აფხაზიშვილი** (120) გახდა, მესამე ადგილზე კი **ლაშა აბუთიძე** (50), **გიორგი რევაზიშვილი** (60), **ტარიელ გაფრინდაშვილი** (66), **ლევან მურადხანაშვილი** (74) და **მიხეილ კეკელიძე** (120) გავიდნენ.

**რამაზ ჩაჩხიანის** გაწვრთნილმა ქუთაისელებმა 5 მედალი ირგუნეს - 2 ოქრო და 3 ბრინჯაო. კვლავაც წარმატებით გამოვიდა მათი ლიდერი **ომარ გურჯიძე** (66), ვინც ასაკით ჯერ კიდევ პატარაა, ჭაბუკებში გამოდის და წლეულს ჩინებულად იასპარეზა ამ ასაკში - მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, ევროპაზე კი მესამე იყო (ის ევროპის შარშანდელი ვიცე-ჩემპიონია). მან არც ერევანში დაუთმო ვინმეს პირველობა, როგორც მისმა თანაქალაქელმა **გიორგი ბრეგაძემ** (55). ამ გუნდიდან მესამე პრიზიორები **გიორგი შენგელია, საბა დეკანოიძე** (ორივე - 84) და **დავით ლოლაშვილი** (96) გახდნენ. აქვე შევნიშნავთ, რომ დეკანოიძე საჩხერელია, ლოლაშვილი - რუსთაველი, თუმცა ამჯერად ქუთაისელთა შემადგენლობაში ასპარეზობდნენ.

აჭარის ნაკრებს **მარადი არძენაძე** ხელმძღვანელობდა და მათ ანგარიშზე 4 მედალია - 1 ოქრო და 3 ბრინჯაო. ჩემპიონობა **ხუსეინ ირემაძემ** (96) იზეიმა, მესამე საპრიზო ადგილი კი **რამაზ დარჩიძემ** (55), ჭაბუკებში ევროპისა და მსოფლიოს ბრინჯაოს მედალოსანმა **შოთა ფარტენაძემ** (60) და **დავით უნგიაძემ** (74) ირგუნეს.

ერევნის ტურნირის პარალელურად განჯაში 26-ედ უმასპინძლა აზერბაიჯანიდან ყოფილი საბჭოთა კავშირის პირველი დამსახურებული მწვრთნელის - ისაკ ჯაფაროვის მემორიალს ასევე „თავისუფლებში", ოღონდ - უფროსთა შორის. აქ ჩვენებმა უმძიმესი წონის გარდა ყველგან მედლები მოიპოვეს, ჯამში 8 ჯილდო. აქედან თითო-თითო ოქროვერცხლია და 6 - ბრინჯაო. განჯაში ჩემპიონი **ზვიად მეტრეველი** (96) გახდა, **გიორგი კვირჭიშვილმა** (120) კი ფინალი დათმო. ბრინჯაოს მედლებს **მალხაზ ბურჯალიანი** (60), **გიორგი ლობჟანიძე** (66), **ილია ხუციშვილი, დიმიტრი ბასილაშვილი** (ორივე - 74), **ოთარ ჯუროტაძე** (84) და **მირიან ბურდული** (120) დაეუფლნენ.

ხვალიდან, 9 ნოემბრიდან ახალგაზრდა თბილისელი და ქუთაისელი „თავისუფლები" ისევ ეწვევიან ერევანს მორიგ საერთაშორისო ტურნირში საჭიდაოდ.

**ირაკლი თავაძე**

## ჩოგბურთი



ოქსანა კალაშნიკოვა

# ოქსანას სამიზნე

ქართველი ჩოგბურთელები - **სოფიო შაფათავა** და **ოქსანა კალაშნიკოვა** ინდურ პუნეში ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირში (საპრიზო ფონდი 125.000 დოლარი) ჩაებნენ. ძირითადი ბადის სტარტზე შაფათავა ერთ დროს მსოფლიო კლასიფიკაციაში მე-9 ადგილზე მყოფ (ამჟამად 143-ეა) გერმანელს - ანდრეა პეტკოვიჩს დაუპირისპირდა. ქართველი სპორტსმენი პირველ ხელს 5:2-ს იგებდა, მაგრამ გამოცდილმა ალემანმა მატჩში გარდატეხის შეტანა და სეტის მოგება შეძლო - 7:6 (7:4). შაფათავამ მეორე ხელიც დაძაბულ პაექრობაში დათმო - 5:7;

ორთაბრძოლის შემდეგ პეტკოვიჩმა ქალთა საჩოგბურთო ასოციაციის ვებგვერდზე დაწერა, რომ „ძალიან რთული მატჩი იყო... ჩემი მეტოქე სოფიო შაფათავა ძალიან კარგად, აგრესიულად თამაშობდა. მასზე არავითარი ინფორმაცია არ მქონდა. ოპონენტმა ნამდვილად მოახდინა შთაბეჭდილება ჩემზე. იმ პაექრობისგან სიამოვნება მივიღე".

სოფიოსგან განსხვავებით, კალაშნიკოვამ პირველ წრეში ავსტრალიელ მონიკ ადამჩიკს (187-ე) ორ სეტში სძლია (7:5, 6:3) და 22 სარეიტინგო ქულაც დაიმსახურა. მერვედფინალში ტურნირზე მე-3 ნომრად განთესილ დონა ვეკიჩს (ხორვატია) დაუპირისპირდა. პირველი ხელი 2:6 წააგო, სამაგიეროდ, მეორეში იყოჩაღა - 6:4 დაამარცხა მეტოქე, მესამე სეტი კი, ფაქტობრივად, უბრძოლველად დათმო - 0:6.

გუშინვე კალაშნიკოვამ, რომელიც წყვილებში რუს ნინა ბრატჩიკოვასთან ერთად მე-2 ნომრადაა განთესილი, მასპინძელთა დუეტს - ბოსალე-ტომბარეს ორივე სეტი მოუგო.

**ვაჟა დანელია**

## ძიუდო. მეტოქე

# ზაიზენბახერი თავისას ბაქოში იშლის

## ელხან მამადოვი - ავსტრიელის პირველი მსხვერპლი

საქართველოს ძიუდოისტ ვაჟთა ნაკრების ყოფილმა მთავარმა მწვრთნელმა, ავსტრიელმა მსოფლიოსა და ოლიმპიადის ორგზის ჩემპიონმა **პეტერ ზაიზენბახერმა** ახალ ქვეყანაში მისვლისთანავე გამოაჩინა ბრჭყალები. მოგეხსენებათ, ის აზერბაიჯანის ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაინიშნა, მოვალეობის ოფიციალურად შესრულებას 30 ოქტომბრიდან შეუდგა და მაშინვე გუნდიდან ერთ-ერთი ტიტულოვანი სპორტსმენი, ევრიოპის ორგზის და მსოფლიოს ერთგზის ბრინჯაოს მედალოსანი **ელხან მამადოვი** (90) მოკვეთა, ავსტრიელმა მიზეზად გუნდის გაახალგაზრდავება დაასახელა. მართალია, მამადოვი 30 წლისაა და 2016 წელს გასამართ რიო დე ჟანეიროს ოლიმპიადამდე ასაკი მართლაც დაასრულებინებს კარიერას, მაგრამ 30 წელიწადი რომ საგანგაშო არაა, ეს ლონდონის ოლიმპიადის ფინალში **ლაშა შავდათუაშვილის** (66) უნგრელმა მეტოქე **მიკლოშ უნგვარიმაც** დაადასტურა - ის 32 წლისა გავიდა მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი შეჯიბრების ფინალში. თანაც მამადოვი რაღაც სიბერის ჟამს განიცდის ალმავლობას - ევროპული მედლები 2009 (გახსოვთ - ეს ტურნირი თბილისში ჩატარდა) და 2010 წლებში მოიპოვა, მსოფლიოს ბრინჯაოს კი იმავე 2010 წელს დაეუფლა. ამას ისიც ემატება, რომ მამადოვმა 30 ოქტომბერს აზერბაიჯანის პირველობაც უპრობლემოდ მოიგო. თანაც, ახლა 100 კილოგრამში გამოვიდა. მართალია, ამჯერად არ ჭიდაობდა ამ წონის ლიდერი, ევროპის პრიზიორი **ელმარ გასიმოვი,** თუმცა მამადოვს ახალ წონაში უმისოდაც რომ გაემარჯვა, მაინც არაა ეს იოლი საქმე.

ზაიზენბახერის ეს გადაწყვეტილება უცნაური იმითაც ჩანს, რომ აზერბაიჯანელებს 90-ში მამადოვის შესაცვლელად სხვა რეალური კანდიდატი არც ჰყავთ. მართალია, ოლიმპიადამდე მთელი ოთხი წელიწადია და იქნებ ამბიციური ავსტრიელი იმედოვნებს, რომ მანამ ვინმეს გამოზრდის, თუმცა სადღეისოდ ბაქოელებს ასეთი არავინ უჩანთ. მართალია, 2010 წელს მაროკოულ აგადირში გამართულ მსოფლიოს ახალგაზრდულ პირველობაზე **შაჰინ გარამანოვმა** ბრინჯაო კი მოიპოვა, მაგრამ გაგიგონიათ ეს ბიჭი ვინმეს? იმის შემდეგ მას არაფერი მოუგია. საერთოდ, ბაქოში შარშან გამართული მსოფლიოს თასის შემდეგ მას, ვგონებთ, არც უჭიდავია. თუმცა რეალური კანდიდატიც რომ ჰყავდეთ მამადოვის შესაცვლელად, ასეთი მკვეთრი მოძრაობა, რაც ხელის კვრას ჰგავს, მაინც გაუმართლებლად მიგვაჩნია. გარდა იმისა, რომ ეს უპატივცემულობაა ლიდერისა და დამსახურებული კაცისადმი, იმ ახალს კონკურენტი სჭირდება, ამ საქმეში კი მამადოვის ასაკის ხალხს დიდი დახმარების გაწევა შეუძლია. აქვე ძალაუნებურად ჩნდება კითხვა - ზაიზენბახერი საქართველოშიც ავლენდა, ცოტა არ იყოს და აგდებულ დამოკიდებულებას ტიტულოვანი სპორტსმენებისადმი; მის ქცევაში თითქოს იგრძნობოდა „მე შენ-



ზე მეტი ვარ" დამოკიდებულება და ხომ არაა ეს ყველაფერი იმავეს გამოვლინება? ცნობისათვის - აზერბაიჯანელმა ჟურნალისტებმა უკვე დაიწყეს პარალელების გავლება საქართველოში მის სამუშაო მეთოდებთან.

ზაიზენბახერის ამ გადაწყვეტილებას წინ უსწრებდა მამადოვის ინტერვიუ იქაურ პრესაში, სადაც იმედოვნებდა, რომ ახალი მწვრთნელი მის სამსახურს ისევ მოისურვებდა და თვითონ საამისოდ მზადყოფნას გამოთქვამდა, თუმცა ამ დღეებში ავსტრიელს გუნდი ვენაში მიჰყავს კომპლექსურ სამედიცინო შემოწმებაზე, გაფართოებულ სიაში კი მამადოვის გვარი არაა.

**ირაკლი თავაძე**

## ჭადრაკი

# მესამე ცდა რუსული ბარიერით



ლელა ჯავახიშვილი

რუსულ ხანტი-მანსიისკში 11 ნოემბერს დაიწყება მოჭადრაკე ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატი (საპრიზო ფონდი 450.000 დოლარი), რომელშიც 33 ქვეყნის 64 წარმომადგენელი ნოკაუტსისტემით დაფნის გვირგვინისთვის იბრძოლებს.

შეჯიბრება ექვსი რაუნდისგან შედგება. პირველ ხუთ ეტაპზე ასპარეზობის მონაწილენი ორ-ორ კლასიკურ პარტიას ითამაშებენ. ფინალში მეტოქეები ოთხჯერ შეხვდებიან ერთმანეთს. თუ ძირითადი ორთაბრძოლები უძლიერესებს ვერ გამოავლენს, მაშინ დაინიშნება ტაიბრეიკები 25, 10 და ხუთწუთიანი პარტიებით, შესაბამისად, თითოეულ სვლაზე 10-10 და 3-3 წამის დამატებით.

ქართველთაგან ტიტულისთვის ბრძოლაში **ბელა ხოტენაშვილი** (2504), **ლელა ჯავახიშვილი** (2455), **ნინო ხურციძე** (2428) და **სოფიკო ხუხაშვილი** (2383) ჩაებმებიან. პირველ წრეში ისინი მარიზა არიბასს (კუბა, 2273), ანასტასია ბოდნარუკს (რუსეთი, 2415), ელენა დემბოს (საბერძნეთი, 2454) და ელინა დანიელიანს (სომხეთი, 2476) დაუპირისპირდებიან.

შეჯიბრებაზე გამგზავრების წინ ლელა ჯავახიშვილს ვესაუბრე, რომელსაც კარიერის განმავლობაში არაერთი წარმატებისთვის მიუღწევია: სხვადასხვა ასაკში მსოფლიოს და ევროპის პირველობების მრავალგზის გამარჯვებული და პრიზიორი საქართველოს ორგზის ჩემპიონია. დანარჩენი შედეგები: **მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადებზე** - 2006 წელს მე-3 დაფაზე ბრინჯაოს მედალი, 2008 წელს გუნდური ჩემპიონობა, 2010 წელს გუნდური მე-3 ადგილი; **მსოფლიოს გუნდურ ჩემპიონატებზე** - 2007 წელს მე-2 დაფაზე ვერცხლის მედალი, 2011 წელს გუნდური მე-3 ადგილი; **ევროპის გუნდურ ჩემპიონატებზე** - 2009 წელს გუნდური ვერცხლი და მე-2 დაფაზე ოქრო, 2011 წელს გუნდური მე-3 ადგილი; **ევროპის საკლუბო ჩემპიონატებზე** - ორგზის ჩემპიონი, ოთხგზის ვერცხლისა და ორგზის ბრინჯაოს პრიზიორი.

- 2010 წელს თბილისში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე მე-7 ადგილის დაკავებით მსოფლიოს ინდივიდუალურ ჩემპიონატებში მეხუთედ მონაწილეობის უფლება მოვიპოვე. წინა ორ შეჯიბრებაში საუკეთესო შედეგი მეორე წრეში გაღწევა იყო, - გვითხრა ლელამ, - 2008 წელს, როცა ჩინებულ სპორტულ ფორმაში ვიყავით, აგვისტოს ომის გამო ნალჩიკის მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობაზე უარი ვთქვით, შარშანწინ დედა გავხდი და ტურნირზე გამგზავრება ვერ მოვახერხე.

**- გამოდის, რომ მესამე ცდისთვის ემზადები. მეტოქეზე რას იტყვი?**

- 20 წლის რუსი დიდოსტატი ანასტასია ბოდნარუკი საკმაოდ ძლიერი და პერსპექტიული მოჭადრაკეა. მის წინააღმდეგ არასდროს მითამაშია, მაგრამ პეტერბურგელის შემოქმედებას კარგად ვიცნობ. შარშან ერთად გამოვდიოდით ევროპის საკლუბო ჩემპიონატზე რუმინეთის "ტიმოშოარას" შემადგენლობაში და ვერცხლის მედალიც დავიმსახურეთ. ყველაფრის გათვალისწინებით, შემიძლია ვთქვა, რომ პირველი ეტაპის გადალახვა არ უნდა გამიჭირდეს.

რაც შეეხება ჩემპიონატისთვის მომზადებას, სამწუხაროდ, ფედერაციას ჩემთვის დახმარება არ გაუწევია, არც მწვრთნელი მეყოლება ხანტი-მანსიისკში, მხოლოდ გზას და პირველ რაუნდს დამიფინანსებენ. დღეს 8-18 წლის მოჭადრაკეთა მსოფლიოს პირველობა იწყება. შეჯიბრების მონაწილე ქართველებს ჩვენმა ფედერაციამ შეკრებაც მოუწყო და ორი მწვრთნელიც გააყოლა სლოვენიაში. ეს, რა თქმა უნდა, მისასალმებელია, მაგრამ უფროსების მსოფლიოს ჩემპიონატი უფრო პრიორიტეტული არ უნდა ყოფილიყო?!. რაც შევძელი, საკუთარი შესაძლებლობებით ვივარჯიშე, 10 დღის განმავლობაში დიდოსტატი დავით ჯოჯუა მამეცადინებდა. პრობლემების მიუხედავად, უიმედოდ არ ვარ და ვეცდები, ქომაგები გავახარო.

**ვაჟა დანელია**

## ქართული სპორტი

ძიუდო. დიდი სპორტის კარიბჭესთან

# ახალი ქუთაისელი გოლიათი



ქუთაისური ძიუდოს სკოლის სიძლიერეზე სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ისიც კმარა, რომ რიონისპირა ქალაქში ორი ოლიმპიური ჩემპიონი (**დავით ხახალეიშვილი** და **ირაკლი ცირეკიძე**) აღიზარდა. მათ „ნაკვალევზე" ბოლო პერიოდში არაერთი ნიჭიერი ახალგაზრდა გამოჩნდა. რამდენიმე დღის წინ აკაკი კიბორძალიძის სახელობის ტრადიციულ ტურნირზე სპეციალისტების ყურადღება 13 წლის ქუთაისელმა მძიმეწონოსანმა **ამირან წიქორიძემ** (სიმაღლე 189 სმ. წონა 130 კგ.) მიიქცია, რომელიც თანატოლებისგან აშკარად გამორჩეული იყო. მან ყველა ორთაბრძოლა წმინდად და ეფექტურად მოიგო. ვფიქრობთ, ახალგაზრდა გოლიათის გაცნობა ჩვენი მკითხველისთვისაც არ იქნება უინტერესო.

- „ვარჯიში 2010 წელს ქუთაისის მე-17 სპორტულ დაწესებულებაში დავიწყე. იქამდე ძიუდოში ცოტა ხნით თბილისშიც დავდიოდი, მაგრამ ეს უფრო გაჯანსაღების მიზნით იყო და სპორტსმენობაზე არც ვფიქრობდი. ქუთაისში გადმოსვლის შემდეგ მივხვდი, რომ წარმატების მიღწევა შემეძლო და ვარჯიშებსაც უფრო სერიოზულად მოვეკიდე. გურჯაანში ერთ-ერთ ტურნირზე ჩემს ტოლებში მეორე ადგილზე გავედი, რაც ჩემთვის დიდი სტიმული იყო, ამის შემდეგ გადავწყვიტე, რომ ძიუდოს გავყოლოდი. ამჟამადაც მე-17 სპოტსკოლაში ვემზადები. დავით თევდორაძე, ფირუზ ტყეშელაშვილი, ამირან მამრიკიშვილი და ვეფხვია ბალხამიშვილი მავარჯიშებენ.

**- ხსენებულ ტურნირამდე რაიმე წარმატებები თუ გქონდა?**

- ვარჯიში საკმაოდ გვიან დავიწყე, მაგრამ ჩემს ტოლებში სამჯერ გავხდი საქართველოს ჩემპიონი.

**- კიბორძალიძის სახელობის ტურნირზე მეტოქეები საკმაოდ იოლად დაამარცხე, ვინ მიგაჩნია საქართველოში შენს კონკურენტებად?**

- ჯაბა ქარელიშვილი და ლევან ჭელიძე, თუმცა ისეთები, რომლებთანაც ჭიდაობა მიჭირს, უფრო დიდ წონებში არიან და მინდა, რომ იმ დონემდე მივალწიო უფროსებშიც კარგი შედეგები მქონდეს.

**- საერთაშორისო ტურნირებზე asპარეზობის გამოცდილება თუ გაქვს?**

- ორჯერ ბაქოში ვიჭიდავე 1997-99-წლიანებს შორის გამართულ საერთაშორისო ტურნირზე და ორჯერვე მესამე ადგილი დავიკავე.

**- ქუთაისის სპორტის სასახლეში თქვენს ჭიდაობას ოლიმპიური ჩემპიონები დავით ხახალეიშვილი და ირაკლი ცირეკიძეც ადევნებდნენ თვალს...**

- ეს ჩემთვის და ჩემი თანატოლებისთვის ძალიან დიდი სტიმული იყო, ვცდილობდით საუკეთესოდ გვეჭიდავა და დიდი სპორტსმენების ყურადღების ცენტრში მოვხვედრილიყავით. კარგი იქნება, თუ ასეთი ტურნირები ხშირად გაიმართება.

**- რა არის შენი უახლოესი მიზანი?**

- მინდა, რომ 2015 წელს თბილისის ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალზე ჩემპიონი გავხდე და ამისთვის აქედანვე ვემზადები.

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

ჭადრაკი

# მსოფლიო მარიბორში შეიკრიბა

რვა ნოემბერს სლოვენიურ მარიბორში დაიწყება 8-18 წლის მოჭადრაკეთა მსოფლიოს პირველობა, რომელიც 19 ნოემბრამდე გასტანს; თითოეულ ასაკში გამარჯვებულებსა და პრიზიორებს 11 ტური გამოავლენს. საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტის - **გია გიორგაძის** ხელმძღვანელობით სლოვენიაში ჩვენი ქვეყნის 21-კაციანი დელეგაცია გაემგზავრა საპრიზო ადგილებისთვის იბრძოლებენ: **დიანა ლომაია, ნიკოლოზ კაჭარავა** (8-წლიანები), **ნიკოლოზ პეტრიაშვილი, ლუკა ობოლაძე, თამარ ესაძე** (10-წლიანები), **ირაკლი ახვლედიანი, ლილე ქორიძე, დათო კამკია** (12-წლიანები), **ნოე თუთისანი, ნინო დახუნდარიძე, მაია მუმლაძე, გიორგი სიბაშვილი** (14-წლიანები), **გიგლა ბენიძე, ირაკლი ბერაძე, ნინო ხომერიკი** (16-წლიანები), **ნიკოლოზ ქუმსიაშვილი, ანა შამათავა** და **მერი არაბიძე**; მწვრთნელები - **ალექსანდრე არსენიძე** და **აკაკი იაშვილი.**

**ვაჟა დანელია**

## განცხადებები

2012 წლის 7 დეკემბერს, 15 საათზე საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სააქტო დარბაზში გაიმართება საქართველოს ეროვნული **პარაოლიმპიური კომიტეტის** საარჩევნო-საანგარიშო ყრილობა.

დღის წესრიგი: კომიტეტის პრეზიდენტის, ვიცე-პრეზიდენტების, გენერალური მდივნის და გამგეობის წევრების არჩევა.

კომიტეტის პრეზიდენტის კანდიდატურის წარდგენის ბოლო ვადაა 2012 წლის 30 ნოემბრის 17 საათი. კომიტეტის ოფისში (ტელ: 591 33 12 12).

2012 წლის 15 დეკემბერს 11 საათზე სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სააქტო დარბაზში (ჩოლოყაშვილის გამზირი №9) გაიმართება საქართველოს **ფარიკაობის ფედერაციის** საანგარიშო-საარჩევნო ყრილობა.

პრეზიდენტობის კანდიდატების წარმოდგენის ბოლო ვადაა 5 დეკემბერი.

**ფედერაცია**

2012 წლის 15 დეკემბერს, 14 საათზე საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სააქტო დარბაზში გაიმართება საქართველოს **თანამედროვე ხუთჭიდის ფედერაციის** საარჩევნო-საანგარიშო ყრილობა.

ფედერაციის პრეზიდენტის კანდიდატურის წარდგენის ბოლო ვადაა 2012 წლის 10 დეკემბრის 17 საათი (საკონტაქტო ტელ: 593 32 19 00).

**ფედერაცია**



ლელო წარმოგიდგენთ

# ქართული სპორტის კალენდარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შეკითხვა ლელოს



**შეკითხვა:** გამიგია, რომ ადრე ლელოს ცხენზე ამხედრებულებიც თამაშობდნენ. გთხოვთ გვიპასუხოთ, სიმართლეა თუ არა ეს და კარგი იქნება თუ თამაშის შინაარსსაც გაგვაცნობთ.

**ნიკა საბანაშვილი**
გორი

**პასუხი:** ლელო ცხენზე უძველესი ქართული ცხენოსნური თამაშია. ტარდებოდა საერო და საეკლესიო დღესასწაულების დროს. ერთმანეთს ეჯიბრებოდა ცხენოსანთა ორი გუნდი. ინიშნებოდა თამაშის ადგილი და მანძილი, ხშირად ერთი სოფლიდან მეორემდე. მოთამაშენი ცდილობდნენ მოწინააღმდეგეებისთვის ბურთის წართმევას.

გამარჯვებულად ითვლებოდა ის გუნდი, რომლის წევრიც ბურთს მეტოქის მაყაში (კარში) შეაგდებდა და ცხენით თვითონაც შიგ გაივლიდა.

თამაშობის განახლებული წესის მიხედვით, თითოეული გუნდი 6-6 და ზოგჯერ მეტი მხედრისგან შედგება. მოედნის ზომებია 100X1500 მ. ფეხბურთის ჩვეულებრივ ბურთს მსაჯი მინდვრის ცენტრში დადებს. მის წინაშე მოწინააღმდეგე გუნდებიდან თითო მხედარი გამოდის, ისინი ჭენებით მიეშურებიან ბურთისკენ და ვინც მის აღებას მოასწრებს, მოწინააღმდეგის კარისკენ წაიღებს.

ბურთის მიწიდან აღებისთანავე, ისევ მსაჯის ნიშანზე, ორივე გუნდის წევრები თამაშში ებმებიან, ცდილობენ ერთმანეთს ბურთი წაართვან და ლელო გაიტანონ. მიწაზე დავარდნილი ბურთი მხედარმა ცხენდაცხენ უნდა იალოს. მხარეების შეთანხმებით, შეჯიბრების დროს მათრახის ხმარება ნებადართულია. გამარჯვებულად ჩაითვლება ის გუნდი, რომელიც მეტ ლელოს გაიტანს.

## „ლელო"-ში 40 წლის წინათ...

### 8-14 ნოემბერი

**ვნახოთ რას წერდა „ლელო" 40 წლის წინათ ამ პერიოდში. გთავაზობთ ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტებს და მოვლენებს.**

**10 ნოემბერი.** გაზეთი აქვეყნებს 8 ნოემბერს თბილისის „დინამოს" სტადიონზე ფეხბურთში სსრ კავშირის ჩემპიონატის მატჩის ანგარიშს. თბილისელებმა მინსკელ თანაკლუბელებს უმასპინძლეს და გაიმარჯვეს 2:0. ასათიანის პასით პირველი გოლი 63-ე წუთზე ჭელიძემ გაიტანა. 79-ე წუთზე ისევ ასათიანის ჩაწოდებით გავაშელმა რთული მდგომარეობიდან მეორედ აილო მეტოქის კარი. ამ გამარჯვებით თბილისელებმა საპრიზო ადგილისთვის და უეფას ტურნირში მონაწილეობის შანსი გაინაღდეს.

**11 ნოემბერი.** სათაურით „ერთადერთი ქალი - საკავშირო კატეგორიის მსაჯი ჭიდაობაში", „ლელო" პირველ გვერდზე უძღვნის წერილს თბილისელ ლარისა ბერიევას, რომელმაც ეს წოდება 1972 წელს დაიმსახურა.

**12 ნოემბერი.** უჟგოროდში გამართულ ჭაბუკ ფეხბურთელთა საკავშირო ტურნირში თბილისელი მოზარდების გამარჯვებას ეძღვნება სიამაყის მომგვრელი წერილი, რომელსაც გაზეთი პირველ გვერდზე ბეჭდავს. ტურნირის საუკეთესო მოთამაშეთა შორის მოხვდნენ და სპეციალური პრიზები გადაეცათ ნახევარმცველ კოპალეიშვილს და თავდამსხმელ გაგუას (ორივე - თბილისი), ჩვენებს წილად ხვდათ აგრეთვე გაზეთ „სოვეტსკი სპორტის" პრიზი, როგორც ყველაზე ტექნიკურ გუნდს.

**14 ნოემბერი.** ამ ნომერში „ლელო" საინტერესო მასალას ბეჭდავს ზამთრის 1976 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობასთან დაკავშირებით. კოლორადოს შტატის მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ უარი განაცხადა ამ შტატის ქალაქ დენვერში ზამთრის თამაშების ჩატარებასთან დაკავშირებით. მაშინ, საბედნიეროდ, „თეთრი ოლიმპიადის" მასპინძლობის ბევრი მსურველი იყო. გამარჯვება კი ლეიკ-პლესიდს დარჩა.

## ფოტომატიანე



რაც უფრო მეტი დრო გადის, მით უფრო ძვირფასი ხდება თითოეული ჩვენგანის ალბომში შემონახული ფოტოსურათები, რომლებიც ცხოვრების განვლილ წლებთან გვაკავშირებს. ცხოვრებისეული ნებისმიერი ეპიზოდი, დამუნჯებული ფოტოკადრში, იმიტომაც გვეძვირფასება, რომ წარსულს მგრძნობიარედ გვახსენებს, ფიქრებს აღძრავს და მოგონებების ბურანში ჩაგძირავს. ზოგჯერ ეს გახსენება-მოგონება სევდიანიცაა - დრო მიდის, მიდიან ის ადამიანებიც, რომლებთანაც ბევრი რამ გვაკავშირებდა.

აგერ, ამ ფოტოზე ჩემსა და რომან რურუას (მარცხნივ) შუაში ზის 1975-1982 წლებში საქართველოს სპორტკომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე **დავით პერტენავა,** პიროვნება, რომლის ხელმძღვანელობის წლებში ჩვენმა სპორტსმენებმა წარმატებით მოიარეს 1976 და 1980 წლების ზაფხულის ოლიმპიადები. ნებისმიერი შეხვედრისას, ნებისმიერ ადგილზე, ქართული სპორტი და მასზე ზრუნვა იყო ჩვენი საუბრის უმთავრესი თემა.

სამწუხაროდ, დავით პერტენავა ნაადრევად წავიდა ამქვეყნიდან.

**გურამ საღარაძე**
მსოფლიო ორგზის ჩემპიონი
თავისუფალ ჭიდაობაში

## 8 - 14 ნოემბერი

**08. 1948 წ.** დაიბადა **გენადი გიორგაძე** - სამბო.

**08. 1975 წ.** დაიბადა **დავით გვარამაძე** - ფეხბურთი (მეკარე).

**09. 1932 წ.** დაიბადა **გიორგი სხირტლაძე** - თავისუფალი ჭიდაობა.

**09. 1947 წ.** დაიბადა **თამაზ გიორგაძე** - ჭადრაკი.

**09. 1985 წ.** დაიბადა **ალექსანდრე გურული** - ფეხბურთი.

**09. 2007 წ.** ქ. პრაღაში სამბოში მსოფლიო ჩემპიონი გახდა **უშანგი კოზანაშვილი** (52 კგ), მეორე იყო **ზვიად ჩინჩალაძე** (მძიმე), მესამე - **კახა მამულაშვილი** (74).

**10. 1977 წ.** დაიბადა **მიხეილ აშვეთია** - ფეხბურთი.

**11. 1971 წ.** დაიბადა **ელისო ბედოშვილი** - მხატვრული ტანვარჯიში.

**11. 1978 წ.** სსრკ ჩემპიონმა ფეხბურთში თბილისის „დინამომ" სეზონის ბოლო მატჩში მოსკოვის "ტორპედოს უმასპინძლა" - 2:2.

**12. 1986 წ.** ლანჩხუთის „გურიამ" ფეხბურთში საკავშირო პირველობის უმაღლესი ლიგის საგზური მოიპოვა.

**12. 1990 წ.** თბილისის „იბერია" (ყოფილი „დინამო") ფეხბურთში საქართველოს ჩემპიონატის პირველი გამარჯვებული გახდა.

**13. 1933 წ.** დაიბადა **ბუხუტი გურგენიძე** - ჭადრაკი. გარდაიცვალა 2000 წელს.

**14. 1925 წ.** დაიბადა **ჯოკია გუგავა** - ალპინიზმი. გარდაიცვალა 1999 წ.

**14. 1927 წ.** დაიბადა **ნიაზ (ნიაზბეი) ძიაპშიპა** - ფეხბურთელი, მწვრთნელი.

## პირველი, პირველმა, პირველად

**პირველი** შეჯიბრება სსრ კავშირის თასზე ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში გაიმართა თბილისში 1972 წლის ნოემბერში.

**პირველმა** საფეხბურთო გუნდი აფხაზეთში, კერძოდ, სოხუმში ჩამოაყალიბა **ვ. მუხინმა** 1921 წელს.

**პირველად** ზამთრის სპორტის სახეობებში (თხილამურებით სრიალი, სლალომი, ტრამპლინიდან ხტომა) საქართველოს პირველობა ჩატარდა 1935 წელს ბაკურიანში.

## ვიქტორინა

**1. ვინ იყო ცნობილი ქორეოგრაფი და ტანმოვარჯიშე ვახტანგ ვრონსკი?**

ა - ვახტანგ ჭაბუკიანი
ბ - ვახტანგ ნადირაძე
გ - ვახტანგ დიდებულიძე

**2. რომელ წელს აშენდა ლანჩხუთში „გურიას" ახალი სტადიონი?**

ა - 1976 წელს
ბ - 1982 წელს
გ - 1986 წელს

**3. რამდენი მეკარე აღიზარდა ოჩამჩირის ფეხბურთში?**

ა - სამი
ბ - ოთხი
გ - ხუთი

**4. ევროპის ზაფხულისა და ზამთრის ჩემპიონატების რამდენგზის გამარჯვებულია სამხტომში ვიქტორ სანეევი?**

ა - ხუთგზის
ბ - ექვსგზის
გ - რვაგზის

**5. რამდენი სპორტსმენი მონაწილეობდა საქართველოდან მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებში?**

ა - 14
ბ - 16
გ - 18

პასუხები: 1 - ბ, 2 - გ, 3 - ბ, 4 - გ, 5 - ა

კალათბურთი

ევროჩელენჯი



კოტე ტულუში ისრაელში

# ხეზე დააკაკუნება საქმეს რომ შველოდეს...

7 ნოემბერი. ისრაელი

## ჰაპოელ ჰოლონი-არმია 84:69

28:19, 21:18, 23:15, 12:17

მსაჯები: ს. კრუგი (რუსეთი), ნ. სომოსი (საბერძნეთი), ტ. ბენზური (უნგრეთი)

მაყურებელი: 2500

| ჰაპოელი | ნთ | თამ.სრ. | | 2ქ | % | 3ქ | % | 1ქ | % | მ.შეტ. | მ.საკ. | მ | პ | შ | ჩ | დ | ფ | ფ.შეტ. | +/- | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| *4 სმიტი | 34 | 6/12 | 50.0 | 6/12 | 50.0 | 0/0 | 0.0 | 4/5 | 80.0 | 3 | 5 | 8 | 6 | 2 | 0 | 1 | 1 | 5 | 15 | 16 |
| 5 დანიელი | 15 | 3/5 | 60.0 | 2/2 | 100.0 | 1/3 | 33.3 | 2/2 | 100.0 | 0 | 2 | 2 | 0 | 1 | 0 | 0 | 3 | 2 | 8 | 9 |
| *6 ჰასელი | 30 | 9/13 | 69.2 | 9/13 | 69.2 | 0/0 | 0.0 | 4/5 | 80.0 | 4 | 11 | 15 | 1 | 0 | 2 | 2 | 1 | 4 | 31 | 22 |
| *7 როსენი | 28 | 4/7 | 57.1 | 2/4 | 50.0 | 2/3 | 66.7 | 3/3 | 100.0 | 1 | 2 | 3 | 2 | 3 | 0 | 0 | 2 | 2 | 18 | 13 |
| 8 ფარჰი | 14 | 0/2 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/2 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 1 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | -4 | 0 |
| 9 ჩერნუშევიჩი | 2 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | -4 | 0 |
| 10 მოშიაშვილი | არ უთამაშია | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| *11 დაისონი | 30 | 4/12 | 33.3 | 2/7 | 28.6 | 2/5 | 40.0 | 2/7 | 28.6 | 1 | 5 | 6 | 3 | 3 | 2 | 1 | 3 | 7 | 11 | 12 |
| 12 ჰარუში | 12 | 2/4 | 50.0 | 1/2 | 50.0 | 1/2 | 50.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 7 | 5 |
| 14 ზოჰარი | 1 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | -4 | 0 |
| *15 ჰილი | 34 | 3/9 | 33.3 | 3/6 | 50.0 | 0/3 | 0.0 | 1/2 | 50.0 | 1 | 3 | 4 | 4 | 2 | 0 | 1 | 3 | 1 | -3 | 7 |
| გუნდი | | | | | | | | | | 2 | 2 | 4 | | 1 | | | 0 | | | |
| ჯამი | | 31/64 | 48.4 | 25/46 | 54.3 | 6/18 | 33.3 | 16/24 | 66.7 | 12 | 31 | 43 | 18 | 13 | 5 | 6 | 16 | 21 | | 84 |

| პაპოელი | ნთ | თამ.სრ. | | 2ქ | % | 3ქ | % | 1ქ | % | მ.შეტ. | მ.საკ. | მ | პ | შ | ჩ | დ | ფ | ფ.შეტ. | +/- | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| *4 გამყრელიძე | 26 | 2/8 | 25.0 | 1/5 | 20.0 | 1/3 | 33.3 | 2/4 | 50.0 | 0 | 1 | 1 | 2 | 2 | 0 | 0 | 1 | 2 | -8 | 7 |
| *6 ა. ბოისა | 11 | 0/2 | 0.0 | 0/2 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 1 | -9 | 0 |
| 7 ვ. ბოისა | 17 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 2 | 5 | 7 | 0 | 1 | 0 | 0 | 3 | 1 | -15 | 0 |
| 8 უგრეხელიძე | 2 | 1/1 | 100.0 | 1/1 | 100.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 1 | 0 | -3 | 2 |
| *10 მილეიჯი | 33 | 9/16 | 56.3 | 9/12 | 75.0 | 0/4 | 0.0 | 2/4 | 50.0 | 2 | 2 | 4 | 9 | 2 | 4 | 0 | 3 | 6 | -11 | 20 |
| 13 წივწივაძე | 4 | 1/1 | 100.0 | 0/0 | 0.0 | 1/1 | 100.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 3 |
| *14 შელბომი | 13 | 1/3 | 33.3 | 1/3 | 33.3 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 1 | 3 | 4 | 0 | 0 | 1 | 0 | 3 | 1 | -8 | 2 |
| 21 საყვარელიძე | 13 | 2/4 | 50.0 | 1/2 | 50.0 | 1/2 | 50.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 1 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 1 | 5 |
| 22 ფეისონი | 11 | 0/4 | 0.0 | 0/3 | 0.0 | 0/1 | 0.0 | 1/2 | 50.0 | 0 | 1 | 1 | 1 | 1 | 0 | 0 | 2 | 1 | -3 | 1 |
| 24ჯგერენაია | 11 | 3/4 | 75.0 | 3/4 | 75.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 3 | 1 | 4 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 11 | 6 |
| *32 უილსონი | 37 | 5/16 | 31.3 | 0/4 | 0.0 | 5/12 | 41.7 | 0/2 | 0.0 | 3 | 5 | 8 | 1 | 3 | 2 | 2 | 1 | 2 | -13 | 15 |
| 55 ფარლალავა | 21 | 3/10 | 30.0 | 2/5 | 40.0 | 1/5 | 20.0 | 1/2 | 50.0 | 1 | 1 | 2 | 0 | 1 | 0 | 0 | 3 | 2 | -18 | 8 |
| გუნდი | | | | | | | | | | 0 | 3 | 3 | | 1 | | | 0 | | | |
| ჯამი | | 27/69 | 39.1 | 18/41 | 43.9 | 9/28 | 32.1 | 6/14 | 42.9 | 12 | 24 | 36 | 14 | 11 | 7 | 3 | 21 | 16 | | 69 |

"ჰაპოელი"-"არმიას" მატჩი რომ დასრულდა, ადგილობრივმა კომენტატორმა მაგიდაზე დააკაკუნა – ჩვენმა კალათბურთელებმა კარგად ითამაშეს და ასე გაეგრძელებინოთო. "ტფუი" თვალი არ ეცეს და ხეზე კაკუნი საქმეს არ შველის, თორემ, არმიელებმა "სამედიცინოს" რომ სძლიეს (95:45), კლავიატურაზე იმდენი ვაკაკუნეთ, ისრაელში მინიმუმ 50 ქულის სხვაობით უნდა ემარჯვათ. თუმცა საკალათბურთო სამართალი არა სიტყვებზე, არამედ თამაშზეა დამყარებული. "არმიამ" საქართველოში სეზონი მოგებებით დაიწყო, მაგრამ მისი რეალური ძალა საერთაშორისო სარბიელზე უნდა გამოჩენილიყო. ბოლომდე მაინც ვერ გამოჩნდა. რატომ? პასუხს არ დავაყოვნებთ: როცა ამა თუ იმ გუნდის სიძლიერეზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში უნდა მივიღოთ ორი გარემოება - როგორი შემადგენლობა ჰყავს და რამდენად ხერხდება არსებული რესურსით მაქსიმუმის გამოწურვა. ჩვენს ჩემპიონს ევროჩელენჯის პირველ ეტაპზე სერიოზული გამომცდელი შეხვდა – ისრაელის ლიგის წარმომადგენელი "ჰაპოელ ჰოლონი", რომელსაც შიდა ჩემპიონატში 5-დან 4 მატჩი აქვს მოგებული. მასთან შეხვედრაში მწვრთნელმა **კოტე ტულუშმა** მეორე ტაიმში საერთოდ არ ათამაშა შვედი ცენტრი **იოაკიმ შელბომი**; მეორე ნახევარშივე მხოლოდ 5 წუთი გამოჩნდა ბელგიელ-ამერიკელი **მარკუს ფეისონი; ვლადიმერ ბოისას** კი მეტოქის კალათის მიმართულებით 17 წუთში ერთხელაც არ უსვრია. არადა, კარგად გვახსოვს, შარშან შელბომი გუნდისთვის მეტად სასარგებლო იყო, ფეისონმა ბელგიის ნაკრების მაისურით 2010 წელს საქართველოში 16 ქულა ჩააგდო, ვოვას კი ევროლიგაზე არაერთი გრანდი გაუმწარებია. როცა ასეთი დონის კალათბურთელები გუნდს სათანადოდ ვერ ეხმარებიან, თამამად შეიძლება ითქვას, რომ "არმია" შესაძლებლობის ბოლომდე რეალიზებას ვერ ახერხებს. აქვე იმედი უნდა გამოვთქვათ, რომ ისინი რაც შეიძლება მალე შეძლებენ ფორმაში ჩადგომას და გუნდიც კიდევ უფრო შეთამაშდება.



ქართველი გულშემატკივრები ჰაპოელთან მატჩისას

მწვრთნელმა ტულუშმა მეორე ტაიმში მოედანზე **გიორგი ჯგერენაია** შეიყვანა, რომელმაც აშკარად გაამართლა – სწრაფად მოთამაშე მეტოქეს კარგად დაჰყვებოდა და ფიზიკურადაც არავის ჩამორჩებოდა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ჯგერენაიას გამოყვანა დალხინებული ცხოვრებით არ უნდა ყოფილიყო გამოწვეული. მწვრთნელმა პირველ ტაიმში ნომინალური ცენტრები **დავით უგრეხელიძე** და შელბომი ათამაშა, მაგრამ, ალბათ, უფრო მეტოქის სათამაშო სტილის გამო მეორე ტაიმში ნომინალური ცენტრის გარეშე გასვლა ამჯობინა. არადა, "არმიამ" მოხსნებში 36:43 წააგო, ხოლო ფარქვეშიდან ჩაგდებული ბურთების მიხედვით "ჰაპოელს" დიდი უპირატესობა ჰქონდა – 50:24.

როგორც ხედავთ, სამწამიან ზონაზე კონტროლმა მატჩის შედეგზე დიდი გავლენა იქონია. ეს გარემოება რომ არა, ჩვენს გუნდს წარმატებაზე ფიქრიც შეეძლო, რადგან მეტოქეზე უკეთესად ისროლა სამქულიანები – 9 ჩააგდო, მაშინ, როცა "ჰაპოელმა" 6 შორეული ტყორცნა გამოიყენა.

დანარჩენს სტატისტიკა და ქრონოლოგია მოგითხრობთ, ჩვენ კი დავძენთ, რომ არმიელებს მომდევნო მატჩი 13 ნოემბერს ბელგიის "ანტვერპენთან" თბილისში ელის.



უილსონი (N 32) და ანატოლი ბოისა



ფარლალავა, ჰილი (N 15) და შელბომი ბურთს ელიან

### ჰაპოელი-არმია

ქრონოლოგია

I პერიოდი

| | |
|---|---|
| 08:53 | ჰასელი (ჰაპოელი) 2ქ - 2:0 |
| 08:13 | ჰასელი (ჰაპოელი) 2ქ - 4:0 |
| 07:35 | დაისონი (ჰაპოელი) 3ქ - 7:0 |
| 07:35 | უილსონი (არმია) 3ქ - 7:3 |
| 07:02 | სმიტი (ჰაპოელი) 2ქ - 9:3 |
| 07:02 | სმიტი (ჰაპოელი) 1ქ - 10:3 |
| 05:59 | ჰილი (ჰაპოელი) 2ქ - 12:3 |
| 05:42 | უილსონი (არმია) 3ქ - 12:6 |
| 05:26 | ჰასელი (ჰაპოელი) 2ქ - 14:6 |
| 05:01 | უილსონი (არმია) 3ქ - 14:9 |
| 03:58 | მილეიჯი (არმია) 2ქ - 14:11 |
| 03:51 | დაისონი (ჰაპოელი) 2ქ - 16:11 |
| 03:18 | სმიტი (ჰაპოელი) 2ქ - 18:11 |
| 02:55 | უგრეხელიძე (არმია) 2ქ - 18:13 |
| 02:26 | ჰასელი (ჰაპოელი) 2ქ - 20:13 |
| 02:26 | ჰასელი (ჰაპოელი) 1ქ - 21:13 |
| 01:53 | ჰარუში (ჰაპოელი) 3ქ - 24:13 |
| 01:35 | მილეიჯი (არმია) 2ქ - 24:15 |
| 01:22 | როსენი (ჰაპოელი) 2ქ - 26:15 |
| 01:22 | როსენი (ჰაპოელი) 1ქ - 27:15 |
| 01:05 | გამყრელიძე (არმია) 2/1ქ - 27:16 |
| 00:43 | გამყრელიძე (არმია) 2/1ქ - 27:17 |
| 00:11 | ფარლალავა (არმია) 2ქ - 27:19 |
| 00:02 | დაისონი (ჰაპოელი) 2/1ქ - 28:19 |

II პერიოდი

| | |
|---|---|
| 09:39 | ჰასელი (ჰაპოელი) 2ქ - 30:19 |
| 08:42 | ჰარუში (ჰაპოელი) 2ქ - 32:19 |
| 08:17 | ფარლალავა (არმია) 2ქ - 32:21 |
| 07:00 | მილეიჯი (არმია) 2/2ქ - 32:23 |
| 06:53 | სმიტი (ჰაპოელი) 2ქ - 34:23 |
| 06:30 | მილეიჯი (არმია) 2ქ - 34:25 |
| 06:13 | დანიელი (ჰაპოელი) 2\2ქ - 36:25 |
| 05:53 | საყვარელიძე (არმია) 3ქ - 36:28 |
| 05:44 | ჰასელი (ჰაპოელი) 2ქ - 38:28 |
| 05:17 | საყვარელიძე (არმია) 2ქ - 38:30 |
| 05:00 | დანიელი (ჰაპოელი) 3ქ - 41:30 |
| 04:29 | მილეიჯი (არმია) 2ქ - 41:32 |
| 03:51 | ჰილი (ჰაპოელი) 2ქ - 43:32 |
| 02:18 | წივწივაძე (არმია) 3ქ - 43:35 |
| 01:54 | სმიტი (ჰაპოელი) 2/1ქ - 44:35 |
| 01:20 | ჰასელი (ჰაპოელი) 2/1ქ - 45:35 |
| 01:13 | სმიტი (ჰაპოელი) 2ქ - 47:35 |
| 00:57 | შელბომი (არმია) 2ქ - 47:37 |
| 00:39 | როსენი (ჰაპოელი) 2ქ - 49:37 |

III პერიოდი

| | |
|---|---|
| 09:29 | ჰასელი (ჰაპოელი) 2/2ქ - 51:37 |
| 09:02 | ფეისონი (არმია) 2/1ქ - 51:38 |
| 08:26 | სმიტი (ჰაპოელი) 2ქ - 53:38 |
| 07:54 | ჰასელი (ჰაპოელი) 2ქ - 55:38 |
| 07:14 | ფარლალავა (არმია) 3ქ - 55:41 |
| 06:36 | სმიტი (ჰაპოელი) 2/2ქ - 57:41 |
| 06:26 | ჯგერენაია (არმია) 2ქ - 57:43 |
| 06:01 | ჰასელი (ჰაპოელი) 2ქ - 59:43 |
| 05:15 | ფარლალავა (არმია) 2/1ქ - 59:45 |
| 04:52 | მილეიჯი (არმია) 2ქ - 59:46 |
| 03:56 | დაისონი (ჰაპოელი) 3ქ - 62:46 |
| 03:52 | მილეიჯი (არმია) 2ქ - 62:48 |
| 03:24 | ჯგერენაია (არმია) 2ქ - 62:50 |
| 02:54 | მილეიჯი (არმია) 2ქ - 62:52 |
| 02:33 | დაისონი (ჰაპოელი) 2/1ქ - 63:52 |
| 02:31 | ჰასელი (ჰაპოელი) 2ქ - 65:52 |
| 01:36 | როსენი (ჰაპოელი) 2/2ქ - 67:52 |
| 01:03 | როსენი (ჰაპოელი) 3ქ - 70:52 |
| 00:33 | დანიელი (ჰაპოელი) 2ქ - 72:52 |

IV პერიოდი

| | |
|---|---|
| 09:30 | სმიტი (ჰაპოელი) 2ქ - 74:52 |
| 08:34 | გამყრელიძე (არმია) 3ქ - 74:57 |
| 07:06 | მილეიჯი (არმია) 2ქ - 74:59 |
| 06:53 | ჰილი (ჰაპოელი) 2ქ - 76:59 |
| 05:22 | სმიტი (ჰაპოელი) 2ქ - 78:59 |
| 03:51 | როსენი (ჰაპოელი) 3ქ - 81:59 |
| 03:10 | ჰილი (ჰაპოელი) 2/1ქ - 82:59 |
| 02:58 | უილსონი (არმია) 3ქ - 82:62 |
| 02:02 | უილსონი (არმია) 3ქ - 82:65 |
| 02:06 | დაისონი (ჰაპოელი) 2ქ - 84:65 |
| 01:05 | მილეიჯი (არმია) 2ქ - 84:67 |
| 00:16 | ჯგერენაია (არმია) 2ქ - 84:69 |

ევროჩელენჯი. მეტოქეები

## გერმანული დასაწყისი

6 ნოემბერი

**ანტვერპენი-ბონი 72:81**

19:26, 13:10, 19:24, 21:21

**ანტვერპენი:** მოორსი (10ქ, 5პ), დრიესენი (6ქ), ბიგსი (15ქ, 7მ, 5პ, 3დ), ჰოპკინსი (18ქ), თონდიკე (9ქ, 11მ), დე ზეეუვი (7ქ), მვემა (1ქ), რადემაკერსი (1ქ), ლავი (5ქ).

**ბონი:** მაკრეი (3ქ), ენსმინგერი (5ქ, 6მ), ვეიკალასი (18ქ), იუინგი (7ქ, 7მ, 4პ), მანგოლდი (6ქ), თულინგი, ჯორდანი (14ქ, 4პ), ვიმსი (13ქ), ვადენი (7ქ, 6მ), ვოლფარტ-ბოტერმანი (8ქ).

ევროჩელენჯზე H ჯგუფის პირველი მატჩი 6 ნოემბერს გაიმართა. ბელგიაში "ანტვერპენმა" გერმანულ "ტელეკომ ბონს" უმასპინძლა და 9 ქულის სხვაობით დამარცხდა.

პირველივე ტურში სტუმრად გამარჯვება ნებისმიერი გუნდისთვის დიდი ფორაა და დღესვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ გერმანელები ჯგუფიდან გასვლის ერთ-ერთი მთავარი ფავორიტები არიან.

ისიც ნათელია, რომ ორივე გუნდში მნიშვნელოვან როლს ლეგიონერები თამაშობენ. "ბონის" მხრიდან მატჩის ბომბარდირი (18 ქულით) ლიტველი **ვეიკალასი** გახდა, ხოლო ბელგიელთაგან – ასევე 18 ქულით ამერიკელი **ჰოპკინსი**.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

ევროთასი

### ევროდებიუტანტები

**გიორგი ცინცაძემ** და ბექა **ბურჯანაძემ** ევროთასზე სადებიუტო მატჩები ჩაატარეს. პირველის "ბუდიველნიკი" სტუმრად ჩეხურ "ნიმბურკთან" დამარცხდა (78:91), ხოლო ბექას "კახასოლმა" სარდინიაში "დინამო სასარისთან" დათმო (84:87).

ცინცაძე ერთადერთი ბუდიველნიკელი იყო, რომელმაც ათქულიანი ზღვარი გადალახა: 25 წუთი, 14 ქულა (7-დან 3 ორქულიანი, 2-დან 1 სამიანი, 8-დან 5 საჯარიმო), 3 მოხსნა, 2 პასი.

ბურჯანაძემ 12 წუთში 4 ქულა (3-დან 2 ორქულიანი), 3 მოხსნა და 1 პასი მიითვალა.

ამავე შეჯიბრებაში ჩაერთო საქართველოს ნაკრების უკანახაზელი **ჯეიკობ პულენი**. მისმა "ჰაპოელმაც" წააგო, ლიტვაში, პრიენაისთან, 72:85.

ჯეიკობმა 32 წუთში 13 ქულას 2 მოხსნა და თითო ჩაჭრა-პასი მიამატა.

ინტერვიუ ნიაზ მამრიკიშვილთან

# ლელო და არმია ყველაზე სანახაობრივ რაგბის თამაშობენ

**საქართველოს ჩემპიონატში ნოემბრის ტესტების გამო დეკემბრამდე შესვენებაა. გათამაშებაში 10 ტური ჩატარდა, შეიძლება ითქვას, რომ ჩემპიონატის პირველი ეტაპი დასრულდა, რომლის შეფასებაც საქართველოს რაგბის კავშირის საშეჯიბრო კომიტეტის ხელმძღვანელს, ნიაზ მამრიკიშვილს ვთხოვეთ.**

- საქართველოს ჩემპიონატის პირველმა ეტაპმა ბევრი სიახლე წარმოაჩინა. თუმცა, გათამაშების ცხრილს სათავეში ისეთი გუნდები მოექცნენ, რომელთა იქ ყოფნაც ადვილად პროგნოზირებადი იყო. „ლელო" და „არმია" დღესდღეობით პოტენციალის მხრივ ყველას უსწრებენ. მათთან ახლოს დგას ქუთაისის „აია", რომელმაც დასაწყისში, როგორც ჩანს, ძალების კონცენტრირება ვერ მოახერხა, თუმცა პირველი წრის მეორე ნახევარში შესანიშნავად გამოიყურებოდა და ჩემპიონატში გამარჯვებაზე საფუძვლიანი ამბიცია აქვს.

**- მოდით, ლიდერები სათითაოდ დავახასიათოთ, დავიწყოთ პირველადგილოსანი „ლელოთი".**

- „ლელოს" საქართველოს ჩემპიონატში საუკეთესო უკანახაზი ჰყავს. რასაც ვერ ვიტყვით ამ გუნდის შერკინებაზე. მაშინ, როცა ლელოელები მეტოქისთვის თავისი თამაშის თავს მოხვევას ახერხებენ, მათი შეჩერება შეუძლებელია. ისინი მთელ მოედანზე ძალიან მაღალ ტემპში გადაადგილდებიან, რასაც მოწინააღმდეგეები ვერ უძლებენ.

მიმაჩნია, რომ „ლელოს" კონკურენტი „არმია" ყველა რგოლში თანაბრად დაბალანსებული გუნდია. თვალშისაცემია, ის ფაქტი, რომ არმიელები ყველა მეტოქეს მატჩის ბოლო 15-20 წუთში სერიოზულ პრობლემებს უქმნიან, ისინი ტემპს უმატებენ, რის საშუალებასაც გრძელი სათადარიგოთა სკამი აძლევს. „არმიამ" მოგებული მატჩების უმრავლესობაში გამარჯვებას სწორედ დასკვნით ფაზაში მიაღწია.

ძნელი სათქმელია, მომავალში როგორ განვითარდება მოვლენები, თუმცა ერთი რამ ცხადია, დღესდღეობით „ლელო" და „არმია" ყველაზე სანახაობრივ რაგბის თამაშობენ.

**- ყველასთვის მოულოდნელად ლიდერთა შორის არ არის ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი თბილისის „ლოკომოტივი"...**

- „ლოკომოტივის" ასეთი ჩავარდნა მოულოდნელი არ ყოფილა. ამის თქმის საფუძველს გუნდის შემადგენლობა მაძლევს. ის საგრძნობლად გადახალისებულია, თუმცა მაინც მგონია, რომ ჩემპიონატის განახლების შემდეგ „ლოკომოტივი" მაინც მოახერხებს ძალების მოკრებას. დარწმუნებული ვარ, რომ პლეი ოფში გავა, იქ კი ამ გუნდმა ყველაზე კარგად იცის, როგორ უნდა მოემზადოს ერთი კონკრეტული მატჩის მოსაგებად.

**- „ლოკომოტივის" შემთხვევაში არ დამეთანხმეთ, მაგრამ ალბათ იმაში მაინც შევთანხმდებით, რომ „არმაზის" ლიდერთა შორის გამოჩენა ნამდვილად მოულოდნელობა იყო...**

- არა, არც ამაში დაგეთანხმებით. „არმაზის" წარმატება მოულოდნელი არ ყოფილა. ეს გუნდი ამ გზას 3-4 წელიწადია ადგას და ბრძილისუნარიანობის თვალსაზრისით საქართველოში გამორჩეულია. ამას დაუმატეთ „არმაზის" „ტვინის", მოთამაშე მწვრთნელის დავით კიკნაძის შესანიშნავი გარჯა მოედანზე და შედეგი აღარ გაგაკვირვებთ..

**- კარგით, მაშინ მესამე ცდაზე იქნებ გამიმართლოს, თბილისის „ილიაუნი ჯიქის" შესანიშნავი ასპარეზობა ხომ მაინც არის ყველასთვის სიურპრიზი?**

- „ილიაუნი ჯიქი" მიმდინარე ჩემპიონატის აღმოჩენაა. მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდული გუნდია ხარისხიან რაგბის თამაშობს, განსაკუთრებით კარგად აქვთ ორგანიზებული დაცვაში თამაში. თუ ამ გუნდის მორაგბეებმა მოახერხეს ემოციების სათანადო მიმართულებით წარმართვა, პლეი ოფში აუცილებლად მოხვდებიან და იქ რას მოიმოქმედებენ, ძნელი სათქმელია.

**- ბოლო ორი სეზონია საკმაოდ შთამბეჭდავად თამაშობს რუსთავის „ხარები", თუმცა ამ გუნდს არასტაბილურობა დასჩემდა...**

- „ხარებისგან" ამ სეზონში ნამდვილად გაცილებით მეტს ველოდით, მაგრამ ჩემპიონატის დაწყების წინ ალმოჩნდა, რომ ტრავმების გამო 5-7 წამყვანი მოთამაშე დააკლდათ. რუსთაველებს გრძელი სათადარიგოთა სკამი არ აქვთ და, შესაბამისად, დანაკლისის სათანადოდ შეცვლა ვერ მოახერხეს. იმედი მაქვს, რომ მეორე წრეში შეძლებენ ისეთივე ხარისხის რაგბი ითამაშონ, როგორსაც უკანასკნელი ორი წელიწადის განმავლობაში აჩვენებდნენ და სატურნირო ცხრილშიც წინ წაიწევენ.

**- „ბათუმი" საქათველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში წლეულს დაბრუნდა. აქედან გამომდინარე, მათი მიზანი, ალბათ, მოწინავეთა შორის ადგილის შენარჩუნება უნდა იყოს...**

- ზღვისპირელებმა სეზონის დაწყების წინ სხვადასხვა გუნდიდან რამდენიმე კარგი მორაგბე მიიწვიეს. „ბათუმი" მატერიალურად ერთ-ერთი ყველაზე კარგად უზრუნველყოფილი გუნდია. აქედან გამომდინარე, მათგან გაცილებით უკეთეს თამაშს ველოდით. საკმაოდ უცნაური გუნდია, ნებისმიერ მეტოქესთან მატჩში პროგნოზის გაკეთება შეუძლებელია. ბათუმელებმა თუ საკუთარ სათამაშო სტილს მიაგნეს, არ გამიკვირდება მათი პლეი ოფში მოხვედრა.

**- დაბოლოს, აუტსაიდერები, „ყოჩები" და „აკადემია"....**

- „ყოჩები" და „აკადემია" საქართველოში ყველაზე სტაჟიანი გუნდებია. ორივე მათგანი წლევანდელ ჩემპიონატს „სისხლისგან დაცლილნი" შეხვდნენ. ამ კლუბებიდან უამრავი მოთამაშე გადაიბირეს. „აკადემიამ" ჩემპიონატში ასპარეზობა საკმაოდ საინტერესოდ დაიწყო, მაგრამ სექტემბრის ბოლოსთვის კიდევ რამდენიმე მოთამაშე დაკარგა. მწვრთნელებს ხელმეორედ მოუხდათ გუნდის თამაშის ახალ მოთამაშეებზე გადაწყობა. იმის გამო, რომ „აკადემიას" ყველა ასაკობრივ ჯგუფში ძალიან კარგი გუნდები ჰყავს, ახერხებს თავისივე სარეზერვო ფონდიდან ისარგებლოს და ასე შემატებული მოთამაშეების ხარჯზე მოითქვას სული.

წლევანდელი სეზონის წინ „ყოჩები" 90 პროცენტით გადახალისდა. ამასთან ერთად შეიცვალა გუნდის მწვრთნელიც. სანდრო ესაკიას არა მარტო მორაგბეების დამოძღვრა, არამედ თითქმის ყველა მატჩში ორი ტაიმის განმავლობაში მოედანზე ყოფნა უწევს. ის მოთამაშე მწვრთნელია და პირადი თავდადების ხარჯზე ახერხებს გუნდში სულიერი ტონუსის ამაღლებას.

სეზონის დასაწყისში „ყოჩები" სუსტად გამოიყურებოდა, თუმცა ბოლო ოთხი ტურია პროგრესს განიცდის და საინტერესოა, სად გადის ამ პროცესის ზღვარი.

**- მსაჯობის თემა ქართულ რაგბიში ერთ-ერთ ყველაზე მწვავე პრობლემაა...**

- დიახ, მსაჯობა ერთ-ერთ ყველაზე დელიკატურ თემად რჩება, ამჟამად მიმდინარეობს თაობათა ცვლა. იმ მსაჯებს, რომლებსაც ასაკმა უწიათ, მადლობა უნდა გადავუხადოთ გაწეული გარჯისთვის. ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ მსაჯთა კომიტეტის და მისი ხელმძღვანელის დავით შუბითიძის ხელებდაკაპიწებული შრომის შედეგი უკვე თვალნათლივ ჩანს. მოვიდა ძალიან კარგი ახალი თაობა. პრობლემას, ცხადია, გადაწყვეტილად ვერ ჩავთვლით, მაგრამ როგორც ყოველ დარგულ ნერგს სჭირდება ნაყოფის მოსასხამად დრო, ასევე ამ ახალ თაობასაც სჭირდება გარკვეული პერიოდი, რათა შეიძინონ გამოცდილება და აიმაღლონ კვალიფიკაცია.

**- რა მდგომარეობაშია ქვეყანაში სარაგბო ინფრასტრუქტურა?**

- დანამდვილებით ვიცით, რომ 2013 წლის დასაწყისში ექსპლუატაციაში უნდა შევიდეს რუსთავის სარაგბო ბაზა. მშენებლობის პროცესშია და სავარაუდოდ, მომავალ წელს დასრულდება ქუთაისის, მარტყოფის, ასპინძისა და დიდი დიღმის სარაგბო სტადიონები. ყველა ამ პროექტის სულისჩამდგმელი საქველმოქმედო ფონდი „ქართუა". მიმაჩნია, რომ მას შემდეგ, რაც ეს ბაზები რაგბის სამსახურში ჩადგებიან, ქართული რაგბი წინ დიდ ნაბიჯს გადადგამს.




ლელო-აია

სახელოვანი სტუმარი




ტანა უმაგა

# ტანა უმაგა საქართველოში

**დღეს ნაშუადღევს საქართველოში მსოფლიოს რაგბის ლეგენდა, ახლზელანდიელი ტანა უმაგა ჩამოვა. ის რაგბის კავშირისა და საქართველოს ნაკრების მწვრთნელის მილტონ ჰეიგის მოწვევით ჩვენს ეროვნულ გუნდს ნოემბრის ტესტებისთვის მზადებაში დაეხმარება.**

**ტანა უმაგა** საქართველოს ნაკრების მწვრთნელის დიდი ხნის მეგობარია და ახალზელანდიურ კლუბში „ქაუნთის მანუკაუში" მისი ასისტენტი იყო. თავისი ბრწყინავალე კარიერა სამოური წარმოშობის ახალზელანდიელმა საფრანგეთში, ელიტური, პირველი დივიზიონის „ტულონში" დაასრულა, სადაც „ბორჯღალოსანთა" მესამეხაზელის **გია ლაბაძის** მხარდამხარ ასპარეზობდა. „ლაბო" მაშინ ტულონელთა კაპიტანი იყო.

მოგვიანებით, უმაგამ მწვრთნელობას მიჰყო ხელი და „ტულონის" უკანა ხაზის დამრიგებლად დაინიშნა. იმ ხანად უკვე გუნდში კიდევ ერთი ქართველი, შერკინების ბურჯი **დავით ქუბრიაშვილი** თამაშობდა. ასე, რომ ჩვენებურებს უმაგა შესანიშნავად იცნობს და მათთან ძალიან კარგი, თბილი ურთიერთობაც ჰქონდა. ეს ფაქტორი, სავარაუდოდ, გადამწყვეტი გამოდგა, როცა საქართველოს ნაკრებთან მოკლევადიან თანამშრომლობას დათანხმდა.

ამას წინათ, „ლელოსთან" სტუმრობისას საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი **გიორგი ნიჟარაძე** დაგვპირდა ნოემბერში სიურპრიზს შემოგთავაზებთო. მაშინ საუბარი ორი მაღალი დონის სპეციალსტის სტუმრობას შეეხო. ერთი ტანა უმაგა ალმოჩნდა. იქვე ნიჟარაძემ ისიც გვითხრა, მათთან მოლაპარაკებას გავმართავთ, რათა 2015 წლის მოსოფლიოს თასზე საასპარეზოდ მზადებაში დაგვეხმარონო.

უმაგა, მისი ავტორიტეტით, შესანიშნავი კანდიდატია, მით უფრო, რომ მისმა გაწვრთნილმა გუნდმა „ქაუნთის მანუკაუმ" თავის დივიზიონში პირველი ადგილი დაიკავა და მომავალი წლიდან ITM-ის თასის გათამაშებაში, ანუ ახალი ზელანდიის ჩემპიონატის ელიტურ დივიზიონში, საუკეთესო შვიდეულში იასპარეზებს. ტანამ ამ გუნდთან კიდევ ორი წლით გაახანგრძლივა კონტრაქტი.

ცოტა რამ მისი სარაგბო ბიოგრაფიიდან. ტანა უმაგა ახალი ზელანდიის ნაკრების წამყვანი მორაგბე და კაპიტანი იყო. მისი წინამძღოლობით „ოლ ბლექსმა" 21 მატჩი გამართა და აქედან 19 მოიგო. სულ უმაგამ ეროვნულ გუნდში 74 კეპი მოიხვეჭა, ზე რაგბის გათამაშებაში კი 111 მატჩი აქვს გამართული. 2000 წელს ის ახალი ზელანდიის საუკეთესო მორაგბედ აღიარეს, 2005 წელს კი IRB-ის სეზონის საუკეთესო მორაგბის ნომინაციაზე იყო წარდგენილი.

ერთი საკმაოდ საინტერესო დეტალი. ტანა ბავშვობიდან რაგბი ლიგით იყო გატაცებული. რაგბიში გადაბარგება მას 1994 წელს მისმა ძმამ **მაიკმა** ურჩია, რომელიც იმხანად სამოას ნაკრებში თამაშობდა. ხუთი წლის შემდეგ, ახალი ზელანდიის ნაკრები ტესტ მატჩში სამოას ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდა. ძმებმა ერთმანეთის წინააღმდეგ ითამაშეს და ტანამ სამოელებს ორი ლელო გაუტანა. „ოლ ბლექსმა" მეტოქე 71:13 დაამარცხა.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

## უცხოური სპორტი

კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი


მაიკ ბრაუნი

# ბრაუნს გაუშვებენ, სლოუნი მოვა

## ლეიკერსში მწვრთნელის შეცვლას პირველი დეკემბრისთვის ელოდებიან

2012-13 წლების სეზონი ახალი დაწყებულია, მაგრამ „ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ მთავარი მწვრთნელი **მაიკ ბრაუნი** სერიოზული წნეხის ქვეშ მოექცა. თუმცა უკვე რეგულარულის სტარტის წინ ცხადი იყო, რომ მას მშვიდად მუშაობის საშუალება არ ექნებოდა. როცა გუნდში ასეთი შემსრულებლები გყავს და შედეგი არ ჩანს - ეს კრახის ტოლფასია. **კობი ბრაიანტი, დუაიტ ჰოვარდი, პაუ გასოლი** და **სტივ ნეში** NBA-ის ვარსკვლავები და დიდების დარბაზის მომავალი წევრები არიან, რომლებიც კარგად ავსებენ ერთმანეთს. ეს ვარსკვლავური შემადგენლობა არ უნდა აგებდეს „დალასთან“ **დირკ ნოვიცკის** გარეშე ან „პორტლენდის“ „თავხედ“ დებიუტანტთან **დამიელ ლილარდთან**. ეს წაგებები მთლიანად ბრაუნის სინდისზეა.

როცა „ლეიკერსი“ აგებს - დამნაშავე ბრაუნია, როცა „ლეიკერსი“ იგებს - „დამნაშავეა“ ბრაიანტი ან ჰოვარდი. ასეთია მწვრთნელის რთული ხვედრი ამ გუნდში. „ლეიკერსმა“ დაამარცხა „დეტროიტი“ და სეზონში პირველი გამარჯვება იზეიმა. თითქოს კალიფორნიელებს უნდა გახარებოდათ ის, რომ გუნდი ახალ გზას დაადგა, მაგრამ... ამ მოგებამ მხოლოდ გადადო ბრაუნის წასვლა. „ლეიკერსმა“ რეგულარულადაც რომ დაიწყოს მოგება, მისი გულშემატკივრებისგან მაინც გავიგონებთ ამ მწვრთნელის გადაყენების მოთხოვნას, რადგან არ ჩანს თამაში.

NBA-ის წრეებში მიაჩნიათ, რომ მაიკ ბრაუნის განთავისუფლება დროის საკითხია. **ჯერი სლოუნი** და **მაიკ დ'ენტონი** - აი, ორი სპეციალისტი, რომელთაგანაც ერთ-ერთს უწინასწარმეტყველებენ „ლეიკერსში“ მისვლას.

*„პირველ დეკემბერს ჯერი სლოუნი ლოს ანჯელესში იქნება, - ივარაუდა NBA-ში ერთ-ერთმა წყარომ. - ნეში და ჰოვარდი - ახალი სტოქტონი და მელოუნი არიან. სლოუნს ძალიან უნდა საჩემპიონო ბეჭდის მოგება. ალარაფერს ვამბობთ ხელფასზე. ზაფხულში ეს სპეციალისტი სერიოზულად არ განიხილავდა „ორლანდოს“, „შარლოტისა“ და „პორტლენდის“ შეთავაზებებს, რადგან იცოდა, რომ „ლეიკერსში“ პოსტი განთავისუფლდებოდა“.*

ოლიმპიზმი

# ჩამორთმეული მედლები

საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა ლონდონის ოლიმპიადის ბრინჯაოს მედალი ჩამორთვა თავისუფალი სტილით უზბეკ მოჭიდავეს **სოსლან ტიგიევს**.

სპორტმენი, რომელიც 74-კილოგრამამდე წონით კატეგორიაში გამოდის, დოპინგის მიღებაში გამოიჭირეს. მის ორგანიზმში აკრძალული პრეპარატი - მეთილგექსანამინი აღმოაჩინეს. ახლა, უზბეკის ბრინჯაოს მედალი უნგრელ **გაბორ ჰატოშს** გადაეცემა, რომელსაც ტიგიევმა მესამე ადგილისთვის ბრძოლაში მოუგო.

ამ წონით კატეგორიაში ოლიმპიური ჩემპიონი გახდა ამერიკელი **ჯორდან ბაროუზი**, ვინც ფინალში ირანელი **საიდ ჰუძარი** დაამარცხა.

სხვათა შორის, ტიგიევს კოლექციაში მაინც ექნება ერთი ოლიმპიური მედალი - 2008 წელს, პეკინში მან ვერცხლი დაისაკუთრა.

უზბეკი მეორე სპორტსმენია, რომელსაც ლონდონის ოლიმპიადის შემდეგ მედალი ჩამოართვეს. მანამდე, ანალოგიური სასჯელი მიიღო ბელარუსმა ბირთვის მკვრელმა **ნადეჟდა ოსტაპჩუკმა**, რომელსაც ოქროს მედლის დაბრუნებამ მოუწია.

■ ■ ■

ასევე დოპინგის მიღებისთვის დაისაჯა გრძელ დისტანციებზე რუსი მორბენალი **ინგა აბიტოვი**. 30 წლის სპორტსმენი 2012 წლის 11 ოქტომბრიდან ორი წლით არის დისკვალიფიცირებული. ამასთან, გაუქმდა რუსი მძლეოსნის შედეგები 2009 წლის ოქტომბრიდან დღემდე. შესაბამისად, აბიტოვს ჩამოერთმევა 2010 წელს, 10 ათას მეტრზე ევროპის ჩემპიონატის ოქროს მედალი. გარდა ამისა, წელს რუსი მეორე ადგილზე გავიდა ლონდონის პრესტიჟულ მარათონში.



სოსლან ტიგიევი (მარცხნივ)

# ისე, როგორც 1997-ში

მხოლოდ სამი მატჩი გაიმართა გუშინ NBA-ის რეგულარულ ჩემპიონატში. ერთ-ერთი გამორჩეული დაპირისპირება იყო ჩიკაგოში, სადაც სათამაშოდ ჩავიდა აღმოსავლეთ კონფერენციის მოულოდნელი ლიდერი - "ორლანდო". ამ უკანასკნელმა გუშინდელ მატჩშიც კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

"ჩიკაგოს" საიმედო დაცვის მიუხედავად, "მეჯიქი" დიდ შესვენებაზე ლიდერის რანგში გავიდა. არაფერი გასაკვირი არ არის იმაში, რომ შესანიშნავად მოქმედებდა "მეჯიქის" "არტილერია" (სულ სტუმრებმა სამქულიანების 42 პროცენტი გამოიყენეს). სამაგიეროდ, სიურპრიზი აღმოჩნდა წინა ხაზის კარგი თამაში - სტუმრების "მაღლები" ბევრით არაფრით ჩამორჩებოდნენ მასპინძელთა მძიმე ფორვარდებსა და ცენტრებს, ყოველ შემთხვევაში, მოხსნებისთვის ბრძოლაში სრული თანაფარდობა იყო. თუმცა ორლანდოელები შეტევაში მოიკოჭლებდნენ, რადგან **დევისმა** და **ვუჩევიჩმა** 35-დან მხოლოდ 12 ბურთი მოათავსეს კალათში. მაგრამ, ამ მხრივ, ვერც ჩიკაგოელმა **კარლოს ბუზერმა** იყოჩაღა - 18-დან 6 ბურთი მოათავსა კალათში.

"ორლანდოს" რიგებში მთავარი ძალა ისევ **აფლალო** იყო. ის მატჩის ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი აღმოჩნდა, ამასთან, თავისი 28 ქულიდან 19 მეორე ტაიმში დააგროვა და მაქსიმალურად ცდილობდა მისი გუნდი არ ჩამორჩენოდა მეტოქეს. კერძოდ, მან ბოლო ექვს წუთში ორი სამქულიანი ჩააგდო - სწორედ იმ დროს, როცა "ჩიკაგომ" შეძლო ინიციატივის მოპოვება და სხვაობის გაზრდა სცადა. საბოლოოდ, "ხარებმა" არ მისცეს მეტოქეს დაწევის საშუალება, თუმცა, მეორე მხრივ, პარალელურად ისეთი სულელური შეცდომები დაუშვეს, რომ კინაღამ წყალში ჩაყარეს ყველანაირი მონდომება.

"მეჯიქს" ამ შეცდომებისას უფრო აგრესიულად რომ ეთამაშა, "ბულზს" მართლაც არ დაადგებოდა კარგი დღე. **გიბსონის** აცილების შემდეგ, სტუმრებს საფინალო სირენამდე წუთით ადრე სხვაობის მინიმუმამდე შემცირების შანსი მიეცათ - საჭირო იყო ზუსტი სამქულიანი. ეს სროლა რატომღაც **გლენ დევისმა** შეასრულა და ეს მცდელობა თავიდანვე განწირული იყო, რადგან ამ კალათბურთელს მთელი კარიერის განმავლობაში მხოლოდ ექვსი სამქულიანი აქვს ჩაგდებული. მოგვიანებით კი ვერც აფლალომ ივარგა, რომელმაც ჯარიმა აილო გიბსონზე და თან ბურთი ჩააგდებინა მას. 39 წამში შვიდქულიანი ჩამორჩენის გაბათილება შეუძლებელი იყო.

"ჩიკაგოს" გულშემატკივრებმა კი კარგი ნიშანი მიიღეს: მხოლოდ მეორედ ამ გუნდის ისტორიაში, "ბულზი" სეზონის საწყის ოთხ მატჩში მეტოქეებს 93-ზე მეტ ქულას არ აგროვებინებს. პირველად ასეთი რამ 1997-98 წლების სეზონში მოხდა და მაშინ გუნდი ჩემპიონი გახდა.

■ ■ ■

არაფერი გამოუვიდა "ტორონტოს" "ოკლაჰომას" წინააღმდეგ მატჩში. კანადელებმა ყოვლად უაზრო კალათბურთი ითამაშეს და მთელი აქცენტი შორეულ ტყორცნებზე გადაიტანეს, რომელიც იმ დღეს საერთოდ არ გამოსდიოდათ - "რეპტორზმა" შორიდან 30-ჯერ ისროლა და მხოლოდ შვიდჯერ მიაღწია მიზანს. ამასთან, **ფილდსის, ლოურის, დეროზანის, კალდერონის, ლუკასისა** და **ანდერსონის** ექვსეულმა 21-დან მხოლოდ ორჯერ მოახვედრა მიზანში. ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ კატასტროფული იყო თამაშიდან სროლების ეფექტურობა - 35.7 პროცენტი. ამ ყველაფრის ფონზე, NBA-ში საუკეთესო მატჩი ჩაატარა ლიტველმა ვუნდერკინდმა **იონას ვალანჩუნასმა**. თუ არ ჩავთვლით სამ დაკარგვას, კანადელთა ცენტრი თავის გუნდში საუკეთესო იყო 18 ქულითა და 6 მოხსნით. მან თამაშიდან რვაჯერ ისროლა და ექვსჯერ ზუსტად, თან ექვსიდან ექვსი საჯარიმო გამოიყენა. ასევე კარგად გამოიყურებოდა კიდევ ერთი ახალბედა - **ტერენს როსი** (10 ქულა 14 წუთში), მაგრამ ახალგაზრდებმა "რეპტორზის" გადარჩენა ვერ შეძლეს.

■ ■ ■

სამ-სამი წაგებით შეხვდნენ ერთმანეთთან დაპირისპირებას "დენვერი" და "დეტროიტი". შესაბამისად, რომელიმეს სეზონში პირველი გამარჯვება უნდა მოეპოვებინა. ამ მომენტისთვის "პისტონზი" რეგულარულის ერთ-ერთი ყველაზე უსახური გუნდია და მისგან ასეთი შედეგები არავის უკვირს, "დენვერს" კი ზედიზედ სამი წაგებისთვის იმაზე მეტი კრიტიკა დაატყდა თავს, ვიდრე "ლეიკერსს".

"ნაგეტსს" პირველი გამარჯვების მოპოვებაში ხელი შეუწყო "დეტროიტის" წამყვანი ტრიოს საშინელმა თამაშმა: **სტაკიმ, ნაითმა** და **პრინსმა** თამაშიდან 31 სროლა შეასრულეს და მხოლოდ რვა მოათავსეს კალათში! და მეტოქის ლიდერთა ასეთი "ეფექტურობის" მიუხედავად, მასპინძლები დიდი ხანი ვერ ახერხებდნენ სოლიდური სხვაობით წინ გასვლას. მესამე მეოთხედის შუაში ანგარიში თანაბარი იყო და სწორედ ამ 12-წუთეულის ბოლოს განხორციელებული 11:3 სპურტის შემდეგ ამოისუნთქეს "დენვერის" ფანებმა, თუმცა გუნდის თამაშის შემხედვარე, ისინი ბოლომდე კმაყოფილი ვერ იქნებოდნენ.

**ჩიკაგო-ორლანდო 99:93**

23:24, 22:24, 23:22, 31:23

**ჩ:** დენგი (23+8 მოხსნა), ნოა (20+9 მოხსნა+5 დაფარება), ბუზერი (12+8 მოხსნა), გიბსონი (12+5 მოხსნა), რობინსონი (11+6 პასი).

**ო:** აფლალო (28+5 მოხსნა+5 პასი), მური (17+5 მოხსნა), დევისი (16+10 მოხსნა), ვუჩევიჩი (16+10 მოხსნა), რედიკი (10+7 პასი).

**ოკლაჰომა-ტორონტო 108:88**

30:17, 27:21, 28:25, 23:25

**ო:** უესტბრუკი (19+8 პასი), იბაკა (17), დურანტი (15+6 მოხსნა), მარტინი (15), სეფოლოშა (11+5 მოხსნა), ტაბიტი (10+5 მოხსნა).

**ტ:** ვალანჩუნასი (18+6 მოხსნა), ბარნიანი (16+6 მოხსნა).

**დენვერი-დეტროიტი 109:97**

24:21, 34:30, 27:25, 24:21

**დენ:** იგუოდალა (17+10 მოხსნა), მაკგი (16+3 დაფარება), ლოუსონი (15+9 პასი), ფარიდი (15+8 მოხსნა), კუფოსი (14+3 დაფარება), ბრიუერი (11+8 მოხსნა).

**დეტ:** მონრო (27+10 მოხსნა), სტაკი (17), ჟერებკო (11+6 მოხსნა+3 ჩაჭრა).



ჩიკაგო-ორლანდო

ამბები

**მოტოსპორტი**

## ბიაჯი წავიდა

კარიერის დასრულების შესახებ გამოაცხადა ლეგენდარულმა იტალიელმა მოტომრბოლმა **მაქს ბიაჯიმ**.

*„დღეს ჩემთვის ყველაფერი განსხვავებულადაა. მოტოსპორტიდან ჩემპიონის რანგში წასვლა გადავწყვიტე“*, - განაცხადა მაქსმა.

კარიერის განმავლობაში, ბიაჯის მოტოგრანპრის კლასში 13 ეტაპი აქვს მოგებული და 58 პოული მოპოვებული. გარდა ამისა, იტალიელი ორჯერ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი სუპერბაიკში - 2010 და 2012 წელს.

**ჰოკეი**

## კონკრეტული არაფერია

ჰოკეის ეროვნულმა ლიგამ და მოთამაშეთა პროფკავშირმა მოლაპარაკებათა მორიგი რაუნდი გამართეს ახალი კოლექტიური ხელშეკრულების გასაფორმებლად და სეზონის ნაწილის გადასარჩენად.

შეხვედრა ნიუ იორკში თითქმის რვა საათი მიმდინარეობდა. სხდომის შემდეგ, ორივე მხარემ გამოაქვეყნა პრესრელიზი, რომელიც არ შეიცავდა კონკრეტულ ინფორმაციას. ცნობილია მხოლოდ ის, რომ მოლაპარაკებები დღეს გაგრძელდება.

**ფორმულა 1**

## ახალგაზრდები აბუ დაბიში

ამ დღეებში, აბუ დაბის ტრასაზე მიმდინარეობს ახალგაზრდა პილოტების ტესტები. პირველ დღეს საუკეთესო დრო აჩვენა „მაკლარენის“ წარმომადგენელმა **კევინ მაგნუსენმა**. შეგახსენებთ, რომ ზოგიერთმა გუნდმა უკვე ჩაატარა მსგავსი ტესტები, ამიტომაც ისინი აბუ დაბიში არ ჩავიდნენ.

პირველი დღის შედეგები: 1. **მაგნუსენი** („მაკლარენი“) - 1.42,651; 2. **და კოსტა** („რედ ბული“) - +0,066; 3. **პაფეტი** („მაკლარენი“) - +0,756; 4. **ფრინსი** („ზაუბერი“) - +1,124; 5. **პროსტი** („ლოტუსი“) - +1,543; 6. **რაზია** („ტორო როსო“) - +2,040; 7. **ვან დერ გარდე** („კატერჰემი“) - +3,285...

**ჩოგბურთი**

## მირნიმ მეწყვილე შეიცვალა

წყვილთა თანრიგში „დიდი სლემის“ ტურნირების ცხრაგზის ჩემპიონი, ბელარუსი **მაქს მირნი** 2013 წლისთვის პარტნიორს შეიცვლის. წელს, მირნი კანადელ **დანიელ ნესტორთან** ერთად გამოდიოდა, გაისად კი მისი მეწყვილე იქნება რუმინელი **ჰორია ტეკეუ**.

რაც შეეხება ნესტორს, 2013 წელს ის ინდოელ **მაეშ ბჰუპატის** შეუწყვილდება.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

## ჩოგბურთი. ATP. შემაჯამებელი ტურნირი

# იდეალური ფედერერი


როჯერ ფედერერი

ლონდონის წინ შემაჯამებელ ტურნირზე ბრძოლაში B ჯგუფის მონაწილეები ჩაებნენ. საყოველთაო შეფასებით, ეს ოთხეული შემადგენლობით ჩამორჩება A ჯგუფს, სადაც ორი გამოკვეთილი ფავორიტია **ჯოკოვიჩისა** და **მიურეის** სახით. B-ში კი სტატისტიკის მიხედვით **როჯერ ფედერერს** ბადალი არ ჰყავს: ურთიერთშეხვედრებში ის 5:0-ს უგებს **იანკო ტიპსარევიჩს**, 13:3-ს **ხუან მარტინ დელ პოტროსა** და 13:0-ს **დავიდ ფერერს**.

პირველს ფედერერის მზადყოფნის შემოწმება ტიპსარევიჩს უწევდა. თავიდანვე უნდა ითქვას, რომ შვეიცარიელმა იდეალურთან მიახლოეული ჩოგბურთი აჩვენა. თამაშის პერიპეტიების ალწერას აზრი არ აქვს - რამდენიმე სტატისტიკური მონაცემი ნათლად ასახავს ფედერერის უპირატესობას. საათსა და 8 წუთში შვეიცარიელმა 9 ბრეიკ-პოინტი მიიღო და ოთხჯერ მოიგო მეტოქის მოწოდება, მაგრამ განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო ფედერერის მოქმედება მის პირველ მოწოდებაზე, რომელზეც ქულების 95 (!) პროცენტი აიღო - 21-დან 20.

ეს გამარჯვება მე-40 იყო ფედერერისთვის წლის შემაჯამებელ ტურნირებზე და ამით შვეიცარიელმა დაამხო ლეგენდარული **ივან ლენდლის** რეკორდი, რომელიც 39 გამარჯვებას უდრიდა (1980-91).

■ ■ ■

ღამის მატჩში ერთმანეთს ხვდებოდნენ **დავიდ ფერერი** და **ხუან მარტინ დელ პოტრო**. ორივე ჩოგბურთელი შემოდგომაზე კარგად გამოიყურება. არგენტინელმა ოქტომბრის ბოლოს ზედიზედ მოიგო ვენასა და ბაზელში, თუმცა ჩააგდო პარიზის მასტერსი, რითაც შემაჯამებელ ტურნირამდე დასვენების საშუალება მიიღო. ფერერს კი ასეთი საშუალება არ ჰქონია: ვალენსიაში გამარჯვების შემდეგ, ის პარიზში გაემგზავრა და იქ მასტერსი მოიგო. საერთო ჯამში, ესპანელი ბოლო 15 დღეში მე-11 შეხვედრას ატარებდა, თუმცა მხნედ გამოიყურებოდა.

ფერერი პირველ პარტიაში უკეთ მოქმედებდა - ის თითქმის არ უშვებდა უნებლიე შეცდომებს, იმ დროს, როცა არგენტინელი ბევრ შანსს ანიავებდა. დელ პოტროს დიდად მოწოდებაც არ მისდიოდა და მეხუთე გეიმში დათმო საკუთარი მოწოდება. აღსანიშნავია, რომ მანამდე თავად არგენტინელმა ვერ გამოიყენა ბრეიკ-პოინტი.

მეორე სეტში საპირისპირო სურათი ვიხილეთ - დავიდს ჰქონდა ოთხი ბრეიკ-პოინტი, მაგრამ გაფლანგა ეს შანსი და იქვე დათმო საკუთარი მოწოდება. არგენტინელმა შეამცირა შეცდომების რიცხვი, უფრო სწრაფად და აქტიურად ათამაშდა, ესპანელმა კი წუნს უმატა. ფერერს პარტიაში ინტრიგის დაბრუნების შანსი მხოლოდ მაშინ ჰქონდა, როცა დელ პოტრო სეტზე აწვდიდა, მაგრამ არგენტინელმა უპირატესობა შეინარჩუნა.

მესამე სეტი ფერერმა უკეთ დაიწყო და ბრეიკით დაწინაურდა, მაგრამ შემდეგ ისევ ჩავარდნა ჰქონდა და დელ პოტრომ დაკარგული მოწოდება დაიბრუნა. მაგრამ, ყველაზე მნიშვნელოვან მომენტში თავად ხუან მარტინმა ითამაშა ძალიან ცუდად, 4:5-ზე საკუთარ გეიმში ზედიზედ ოთხი ქულა და მასთან ერთად მატჩი წააგო - 3:6, 6:3, 4:6. სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ ესპანელს დიდი უპირატესობა ჰქონდა - მან სამით მეტი "ვინერსი" და რვით ნაკლები უნებლიე შეცდომა დააგროვა.

**B ჯგუფი**

**როჯერ ფედერერი** (შვეიც, 2)-იანკო ტიპსარევიჩი (სერ, 8) 6:3, 6:1; **დავიდ ფერერი** (ესპ, 4)-ხუან-მარტინ დელ პოტრო (არგ, 6) 6:3, 3:6, 6:4.

## ველოსპორტი



მიკელე სკარპონი

# სკანდალებს ბოლო არ უჩანს

სამხრეთ აფრიკის ველოსპორტის ფედერაციამ გამოაცხადა მაიუნტინბაიკერ **დევიდ ჯორჯის** დადებითი დოპინგტესტის შესახებ. სპორტსმენს აკრძალული პრეპარატი - ერითროპოეტინი აღმოუჩინეს. დოპინგ-სინჯი 29 აგვისტოს იქნა აღებული.

1999-2000 წელს, ჯორჯი **ლენს არმსტრონგის** პარტნიორი იყო ველოსაჯინიბო US Postal-ში. 36 წლის მრბოლელს მონაწილეობა აქვს მიღებული ორ ოლიმპიადაში (1996, 2000), 2008 წელს კი მაუნტინბაიკში გადავიდა.

ჯორჯს არ მოუთხოვია B სინჯის გახსნა და აღიარა დოპინგის გამოყენება.

■ ■ ■

ცნობილმა იტალიელმა ველომრბოლმა **მიკელე სკარპონიმ** იტალიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ანტისადოპინგო გამომძიებლებთან დაკითხვის დროს აღიარა ექიმ **მიკელე ფერარისთან** თანამშრომლობა, რომელიც ცხოვრების ბოლომდე მოკვეთილია სპორტიდან.

*„შევეკითხე იურისტებს - აკრძალულია თუ არა ფერარისთან მუშაობა. მათ მითხრეს, რომ არა. იმედია, დისკვალიფიკაციას არ მომცემენ, რადგან მასთან ერთად მხოლოდ ორი ვარჯიში ჩავატარე"*, - ამბობს მრბოლელი.

ადრე სკარპონი წელიწადნახევრით იყო დისკვალიფიცირებული იმ დოპინგ-სკანდალში მონაწილეობისთვის, რომელსაც „ოპერაცია პუერტო" ერქვა. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ იტალიელი მრბოლელი **ფილიპო პოცატო** წელს ექვსი თვით ჩამოაშორეს დიდ სპორტს ფერარისთან მუშაობისთვის. ვარაუდობენ, რომ სკარპონიც ანალოგიურ სასჯელს მიიღებს.

იტალიელმა აღიარება მას შემდეგ გააკეთა, რაც პოლიციამ მიიღო ველომრბოლისა და ექიმის საუბრის სატელეფონო ჩანაწერი. მასში ისინი ლაპარაკობდნენ 2010 წლის ჯირო დ'იტალიას შედეგებზე. ფერარი სკარპონის ეუბნება - პაკეტი რომ ჰქონოდა, რბოლას აუცილებლად მოიგებდა.

■ ■ ■

ჩვენ უკვე ვწერდით ყაზახი **ალექსანდრ ვინოკუროვისა** და რუსი **ალექსანდრ კოლობნევის** კორუფციული გარიგების შესახებ, რომლის მიხედვითაც რუსმა 2010 წელს „ლიეჟი-ბასტონი-ლიეჟის" კლასიკური რბოლის დროს, გამარჯვება მიჰყიდა ყაზახ ველომრბოლს.

ეს ინფორმაცია იტალიურმა გაზეთმა La Corriere della Sera-მა გამოაქვეყნა და მანვე გუშინ დაბეჭდა ველომრბოლებს შორის ელექტრონული მიმოწერა და საბანკო გადარიცხვების დეტალები. შეგახსენებთ, რომ ბელგიურ რბოლაში ვინოკუროვი და კოლობნევი პელოტონს გაექცნენ და მარტო გაითამაშეს პირველობა. ფინიშზე პირველი ვინოკუროვი მივიდა.

*„შენ კარგად გახსოვს, რომ მოგების კარგი შანსი მქონდა. ჩემი ცოლიც კი იმედგაცრუებულია იმით, რომ მეორე მივედი ფინიშთან. ველოდები"*, - დაწერა რბოლის მეორე დღეს კოლობნევმა. წერილში მითითებული იყო რუსის საბანკო ანგარიში.

*„სალამი. ბოდიში, რომ დიდი ხანი ვერ გიპასუხე. არ ინერვიულო, შენ სწორად მოიქეცი. ყველაფერს შევასრულებ. ცოტა ხანი მოცდა მოგიწევს"*, - უპასუხა ვინოკუროვმა ორი კვირის შემდეგ.

La Corriere della Sera-ს ჟურნალისტებმა დოკუმენტები პოლიციელებისგან მიიღეს. ისინი ამტკიცებენ, რომ კოლობნევმა ბელგიური წაგებისთვის თითქმის 150 ათასი ევრო მიიღო.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ჩემპიონთა ლიგა**

| | |
|---|---|
| ჩელსი-შახტარი | 3:2 |
| იუვენტუსი-ნორდსილანდი | 4:0 |
| ბაიერნი-ლილი | 6:1 |
| ვალენსია-ბატე | 4:2 |
| ბენფიკა-სპარტაკი | 2:0 |
| სელტიკი-ბარსელონა | 2:1 |
| ბრაგა-მანჩესტერ იუნ | 1:3 |
| კლუჟი-გალათასარაი | 1:3 |

**ევრო 2013**

**UNDER 19**

| | |
|---|---|
| უნგრეთი-ავსტრია | 1:2 |
| ბულგარეთი-ანდორა | 7:0 |

**ინგლისი**

**I ლიგა**

| | |
|---|---|
| ჰარტლპული-ტრანმერი | 0:2 |
| მილტონი-ლეიტონი | 1:0 |

**II ლიგა**

| | |
|---|---|
| პლიმუტი-ბარტონი | 1:2 |

**გერმანია**

**რეგიონალლიგა (ჩრ-ალმ)**

| | |
|---|---|
| ცვიკაუ-მოისელვიცი | 2:0 |

**საფრანგეთი**

| | |
|---|---|
| სოშო-ევიანი | 2:1 |

**საფრანგეთი**

**ლიგის თასი. 1/8 ფინალი**

| | |
|---|---|
| ბასტია-ოსერი | 1:0 |

**შოტლანდია**

| | |
|---|---|
| მოზერველი-დანდი იუნ | 0:1 |

**დანიის თასი**

**1/8 ფინალი**

| | |
|---|---|
| ბრონდბიუ-სილკებორგი | 3:0 |

**ნორვეგია**

| | |
|---|---|
| სანდნესი-ტრომსიო | 5:1 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| ფორვარდი-ფალკენბერგი | 0:0 |
| ლუნდსი-ვარნამო | 0:2 |

**თურქეთის თასი**

**III რაუნდი**

| | |
|---|---|
| არსინი-გაზიანთეფი | 0:1 |
| ქაისერი-სარიერი | 4:1 |

**კვიპროსის თასი**

**I რაუნდი**

| | |
|---|---|
| არისი-აეპ | 1:1 დ.დ. 1:3 |

**ჩეხეთის თასი**

**1/8 ფინალი**

| | |
|---|---|
| იუსკრა-ტეპლიცე | 0:2 |

**სლოვენია**

| | |
|---|---|
| ალუმინი-პუბლიკუმი | 1:2 |
| ტრიგლავი-მურა | 3:1 |
| დომჟალე-გორიცა | 0:1 |
| კოპერი-ოლიმპია | 2:0 |

**ბოსნიის თასი**

**1/4 ფინალი**

| | |
|---|---|
| ოლიმპიკ-ჟელეზნიჩარი | 0:1 |
| გოსპი-სლოგა | 1:2 |
| შიროკი ბრიეგი-სელიკი | 1:1 |

**[illegible]**

**1/16 ფინალი**

| | |
|---|---|
| სოპრონი-ბეკეშჩაბა | 1:1 დ.დ. 1:2 |

**ლიტვის თასი**

**1/4 ფინალი**

| | |
|---|---|
| კრუოია-ეკრანასი | 0:2 |
| შიაულიაი-ლიეტავა | 4:1 |
| ატლანტასი-სილუტე | 1:1 დ.დ. 4:1 |

**ჩერნოგორიის თასი**

**1/4 ფინალი**

| | |
|---|---|
| პეტროვაცი-მლადოსტი | 0:1 |
| გრბალი-მორნარი | 1:0 |
| სელიკი-ლოვჩენი | 2:0 |

**იაპონია**

| | |
|---|---|
| ვეგალტა-სერეზო | 1:1 |
| ომიია-კაშიმა | 0:0 |
| კაშივა-გამბა | 2:2 |
| კავასაკი-ურავა | 4:2 |
| შიმიცუ-ნიიგატა | 0:1 |
| ნაგოია-ტოკიო | 1:0 |
| კობე-იოკოჰამა | 1:2 |
| ჰიროშიმა-საპორო | 3:0 |
| ტოსუ-ივატა | 3:2 |

**ფუტსალი**

**მსოფლიოს ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| კოსტა რიკა-უკრაინა | 1:6 |
| პარაგვაი-ტაილანდი | 3:2 |
| იაპონია-ლიბია | 4:2 |
| პორტუგალია-ბრაზილია | 1:3 |

**კალათბურთი**

**ევროთასი**

| | |
|---|---|
| აკადემიკი-შარლერუა | 93:75 |
| დონეცკი-ლომოკოტივი | 75:78 |
| ნიმბურკი-ბუდიველნიკი | 91:78 |
| რუდუპისი-ჰაპოელი (ი) | 85:72 |
| ციბონა-სპარტაკი | 56:64 |
| სტელმეტი-უნიქსი | 67:74 |
| ცრვენა ზვეზდა-ორლეანი | 93:73 |
| ერტლანდი-ვეფ რიგა | 72:82 |
| სოპოტი-გალათასარაი | 65:94 |
| შოლე-ულმი | 71:93 |
| ბილბაო-ბუდუჩნოსტი | 85:78 (ო) |
| ლე მანი-ტრიუმფი | 71:76 |
| ოსტენდე-პანიონიოსი | 84:65 |
| სასარი-სევილია | 87:84 |

**ევროჩელენჯი**

| | |
|---|---|
| კრ. კრილია-კერავნოსი | 79:74 |

**ჰოკეი**

**ევროტური**

| | |
|---|---|
| რუსეთი-ფინეთი | 1:2 (ბ) |
| ჩეხეთი-შვედეთი | 3:1 |

**ჩოგბურთი**

**ATP. ლონდონი**

| | |
|---|---|
| ჯოკოვიჩი-მიურეი | 4:6, 6:3, 7:5 |
| ბერდიხი-ცონგა | 7:5, 3:6, 6:1 |

## TV პროგრამა

**8 ოქტომბერი. ხუთშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. სელტიკი-ბარსელონა.
**12:00** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ჩელსი-შახტარი.
**14:00** გერმანიის ჩემპიონატი. X ტური. ჰოფენჰაიმი-შალკე.
**16:00** ინგლისის ჩემპიონატი. X ტური. მანჩესტერ იუნ-არსენალი.
**18:00** არგენტინის ჩემპიონატი. XIII ტურის მიმოხილვა.
**19:00** გერმანიის ჩემპიონატი. X ტური. ჰამბურგი-ბაიერნი.
**21:00** ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტურის წინ.
**22:00** ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. მარსელი-ბორუსია (მ) (LIVE).
**00:00** ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ბილბაო-ლიონი (LIVE).

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-ფორტუნა.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. ლეგენდარული მატჩები. ბოსტონი-ატლანტა. 1985 წელი.
**14:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**15:00** ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. აიაქსი-ვიტესი.
**17:00** რაგბი. ჰაინეკენის თასი. ჰარლიქვინი-ბიარიცი.
**19:00** მსოფლიო კალათბურთის ლიდერები. გაბრიელ ომარ ბატისტუტა.
**20:00** კალათბურთი. ევროლიგა. რეგულარული სეზონი. V ტური. ცსკა-ბარსელონა (LIVE).
**22:00** ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ნაპოლი-დნიპრო (LIVE).
**00:00** კალათბურთი. ევროლიგა. რეგულარული სეზონი. V ტური. ალბა-მაქაბი (LIVE).

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. წლის შემაჯამებელი ტურნირი. ლონდონი. ბრიტანეთი.
**12:30** სპორტ-NEWS.
**13:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. პარიზი. საფრანგეთი.
**15:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**16:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ლეიკერსი-დალასი.
**18:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. წლის შემაჯამებელი ტურნირი. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
**20:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. პარიზი. საფრანგეთი.
**22:00** ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. უდინეზე-იანგ ბოიზი (LIVE).
**00:05** ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. პარტიზანი-ინტერი (LIVE).

## ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 10 | 18 | (მზე) |
| ქუთაისი | 17 | 18 | (წვიმა) |
| ბათუმი | 16 | 17 | (წვიმა) |
| ფოთი | 15 | 16 | (წვიმა) |
| ზუგდიდი | 13 | 17 | (წვიმა) |
| გორი | 8 | 16 | (წვიმა) |
| თელავი | 11 | 20 | (მზე) |
| სიღნაღი | 10 | 18 | (წვიმა) |
| ბაკურიანი | 3 | 15 | (წვიმა) |
| ბორჯომი | 4 | 18 | (წვიმა) |
| მესტია | 3 | 9 | (წვიმა) |

## ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.1330 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6599 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.6568 |
| 100 რუსული რუბლი | 5.3026 |

ფორმულა 1

# ნიკი ლაუდა: ჩემპიონს სან პაულუში გავიცნობთ

**ფორმულა 1-ში მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულებამდე ორი ეტაპია დარჩენილი და გენერალურ კლასიფიკაციაში სებასტიან ფეტელის უპირატესობა ფერნანდო ალონსოზე 10 ქულას შეადგენს. მსოფლიოს სამგზის ჩემპიონის, ლეგენდარული ავსტრიელის ნიკი ლაუდას აზრით, „რედ ბულის“ მანქანები უკონკურენციოდ არიან და თუ დარჩენილ ორ რბოლაში ეს გუნდი ყველაფერს სწორად გააკეთებს, ალონსოს არ დარჩება მოქმედი ჩემპიონის გასწრების შანსი.**

**- შეიძლება თუ არა იმის თქმა, რომ აბუ დაბიში სეზონის ერთ-ერთი ყველაზე არაპროგნოზირებადი რბოლა ვიხილეთ?**

- რა თქმა უნდა. რთული იყო იმის წინასწარმეტყველება, რომ ფეტელი ბოლო ადგილიდან პოდიუმზე ასვლას შეძლებდა, რაიკონენი დაბრუნების შემდეგ პირველ რბოლას მოიგებდა, ხოლო რბოლაში მოხდებოდა სერიოზული ავარია, რომელშიც, საბედნიეროდ, არავინ დაშავებულა.

**- ვარაუდობით, რომ სებასტიანი ასეთ სასწაულს მოახდენდა?**



ნიკი ლაუდა (მარჯვნივ)

- მას სწრაფი და კონკურენტუნარიანი მანქანა ჰყავს, ამიტომაც ეჭვი არ მეპარებოდა, რომ ის გაუსწრებდა უფრო ნელ მეტოქეებს. გარდა ამისა, მას დაეხმარა ლუის ჰემილტონის გავარდნა. სხვათა შორის, ის სულელური შეცდომა რომ არა, რის გამოც ფეტელმა წინა ანტიფრთა დააზიანა, ის კიდევ უფრო მაღალი შედეგის მიღწევას შეძლებდა.

**- როგორი იქნება ტიტულისთვის ბრძოლა?**

- არაფერი შეცვლილა. „რედ ბულში“ წინა შეცდომებისგან საჭირო დასკვნები გააკეთეს და ყველანაირად ეცდებიან, რომ ბოლო ორმა რბოლამ ტექნიკური თვალსაზრისით იდეალურად ჩაიაროს. მაშინ ყველაფერი ფეტელზე იქნება დამოკიდებული - მას ყველაზე სწრაფი მანქანა ჰყავს, ამიტომაც მიმაჩნია, რომ ის უპრობლემოდ მოიგებს მესამე ტიტულს.

**- მაგრამ ფერნანდო ალონსო არ ნებდება...**

- სწორედ ამის გამო უხდიან ფულს და მან ასეთ სტილში უნდა გააგრძელოს. ის ყველაფერს სწორად აკეთებს, მაგრამ ეს საკმარისი არ არის, რადგან „ფერარის“ არ შეუძლია „რედ ბულთან“ მეტოქეობა.

**- შეუძლია თუ არა სებასტიანს ოსტინში ტიტულის გაფორმება?**

- არ მგონია. სავარაუდოდ, როგორც მოსალოდნელი იყო, ჩემპიონატში კვანძის გახსნა სან პაულუში, სეზონის ბოლო ეტაპზე მოხდება.

# კიმი რაიკონენი: 373-დან მეათემდე

**კიმი რაიკონენის** გამარჯვება აბუ დაბის გრანპრიზე სენსაცია არ ყოფილა, მაგრამ დიდ მოულოდნელობად მოინათლა. „ლოტუსმა“ ამ მოვლენასთან დაკავშირებით გრანდიოზული სალამო მოაწყო, სარბოლო სტატისტიკის მოყვარულებმა კი ფინელის გამოსვლა შეისწავლეს და როგორც გაირკვა, წლევანდელ არასრულ სეზონში, 33 წლის რაიკონენმა Castrol-ის რეიტინგში 373-ე პოზიციიდან პირველ ათეულში შეაღწია!

უფრო მეტიც, დარჩენილ ორ რბოლაში კიმის უფრო მაღლა ასვლა და მეხუთე ადგილზე მყოფი **ჯენსონ ბატონის** შევიწროება შეუძლია. თუმცა ამ საკითხს 25 ნოემბერის შემდეგ დავუბრუნდებით, მანამდე უნდა შევაფასოთ - რა გადაადგილებები მოხდა პლანეტის საუკეთესო მრბოლელებს შორის გასული სარბოლო უქმეების შემდეგ.

**სებასტიან ფეტელმა** დაკარგა ქულები ინდოეთში შარშანდელი ეტაპის გამო. ბოლო 27 თვის განმავლობაში, გერმანელმა მინიმალური რაოდენობის ქულები მოიპოვა, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია მისთვის ლიდერობა შეენარჩუნებინა სიის სათავეში. **ფერნანდო ალონსომ** კი პირიქით, ოდნავ შეავსო თავისი ქულათა მარაგი და მანაც შეინარჩუნა მეორე ადგილი. რაც შეეხება **მარკ უებერს**, აბუ დაბიში ავარიის გამო მან ვერ შეძლო შარშანდელი მეოთხე ადგილის შენარჩუნება და მესამე ადგილზე გაუშვა **სებასტიან ლოები**.

ასევე ვერ მიაღწია ბოლო რბოლაში ფინიშამდე **ნიკო როსბერგმა**, რის გამოც ის მე-14 ადგილიდან მე-18 პოზიციამდე ჩამოქვეითდა. სამაგიეროდ, **ფელიპე მასამ** ორი საფეხურით აიწია ზემოთ და ახლა, პლანეტის საუკეთესო პილოტებს შორის 24-ე ადგილზეა.

ქვეყნების ჩათვლაში სერიოზული ცვლილებები არ მომხდარა: გერმანია ისევ უსწრებს პირველი ადგილისთვის ბრძოლაში ავსტრალიასა და ბრიტანეთს. საინტერესოა, რომ ესპანეთი მხოლოდ მე-7 ადგილზეა - ფერნანდო ალონსოს ყველა მცდელობის მიუხედავად, ამ ქვეყანას ჯერ არ ჰყავს ძლიერი „მეორე ნომერი“. მაგალითად, ფინელები **კიმი რაიკონენისა** და რალისტი **მიკო ჰირვონენის** წყალობით, მეექვსე ადგილზე არიან.

რეიტინგის ახალი ათეული ასე გამოიყურება:

| | |
|---|---|
| 1. ს. ფეტელი (ფორმულა 1) | 22 232 |
| 2. ფ. ალონსო (ფორმულა 1) | 19 105 |
| 3. ს. ლოები (რალი) | 18 631 |
| 4. მ. უებერი (ფორმულა 1) | 18 447 |
| 5. ლ. ჰემილტონი (ფორმულა 1) | 18 242 |
| 6. ჯ. ბატონი (ფორმულა 1) | 16 370 |
| 7. უ. პაუერი (IndyCar) | 16 305 |
| 8. ჯ. ჯონსონი (NASCAR) | 16 074 |
| 9. კ. რაიკონენი (ფორმულა 1) | 15 412 |
| 10. ა. ლოტერერი (ლე მანი) | 14 834 |

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



კიმი რაიკონენი

კრივი



# ვიტალი დეპუტატია

უკრაინაში ჩატარებული რადას არჩევნების შემდეგ, ქვეყნის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ამ მომენტისთვის ბიულეტენების 50 პროცენტი დათვალა.

როგორც ირკვევა, სუპერმძიმე წონაში WBC-ის ჩემპიონის **ვიტალი კლიჩკოს** პარტია „უდარი“ პარლამენტში შედის. ამ პოლიტიკურმა ორგანიზაციამ ხმების 12.87 პროცენტი მიიღო. ასე რომ, 41 წლის კლიჩკო უკრაინის რადას დეპუტატი გახდება. ადრე თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო მოკრივე აცხადებდა, რომ პარლამენტში შესვლის შემთხვევაში, აქცენტს პოლიტიკურ კარიერაზე გააკეთებდა და კრივიდან საბოლოოდ წავიდოდა.

■ ■ ■

ამასობაში, ვიტალის უმცროსი ძმა - **ვლადიმერ კლიჩკო** არ გამორიცხავს თავის ყოფილ მწვრთნელთან, გერმანელ **ფრიც ზდუნეკთან** თანამშრომლობის განახლებას.

*„1996 წელს, პროფესიული კარიერა სწორედ ფრიც ზდუნეკის ხელმძღვანელობით დავიწყე. სავსებით შესაძლებელია, რომ მომავალში კარიერაც მისი ხელმძღვანელობით გავაგრძელო“,* - განაცხადა უკრაინულ პრესაში სუპერმძიმე წონაში სამი ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონმა.

შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა უმცროსი კლიჩკოს მწვრთნელი, ლეგენდარული ამერიკელი **ემანუელ სტიუარტი**. ეს სპეციალისტი უკრაინელთან ბოლო რვა წლის განმავლობაში მუშაობდა.

ვლადიმერ კლიჩკო 10 ნოემბერს, გერმანიის ქალაქ ჰამბურგში გამართავს საჩემპიონო ბრძოლას პოლონელი **მარიუშ ვახის** წინააღმდეგ. ამ ბრძოლისთვის კლიჩკოს ამზადებს სტიუარტის მოსწავლე - ამერიკელი **ჯონათან ბენქსი**.

ცნობილია, რომ ამ მომენტისთვის ფრიც ზდუნეკი ვიტალი კლიჩკოს მწვრთნელი გახლავთ.

■ ■ ■

გუშინ, მარიუშ ვახმა და ვლადიმერ კლიჩკომ ჟურნალისტებისთვის ღია ვარჯიში ჩაატარეს. უკრაინელის მეცადინეობამ სტანდარტულ რეჟიმში ჩაიარა, პოლონელმა კი თავის ვარჯიშში შოუს ელემენტების ჩართვა გადაწყვიტა. კერძოდ, ვახის მწვრთნელის ხელთათმანებზე დამაგრებული იყო ძმები კლიჩკოების ფოტოები, რომლებსაც პოლონელი მოკრივე დიდი სიამოვნებით სცემდა.




დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი; მხატვრული რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.
ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge
ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:10
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608